



ევროკავშირი
საქართველოსთვის



გამოწევები, აღქმა, რეაგირება

(საქართველოს მაგადითი)

კლიმატის ცვლილება

სოციალურ პერსპექტივაში



ევროკავშირი
საქართველოსთვის



გამოწვევები, აღქმა,
რეაგირება

(საჯარო ფელოს მაგალითი)

სერჩევი

01 ძირითადი გამოწვევები

6

1.1.	ძირითადი გამოწვევები - გლობალური დონე	10
1.2.	სხვადასხვა დონის გამოწვევათა ურთიერთმიმართება	14
1.3.	ძირითადი გამოწვევები - ეროვნული დონე	16
1.4.	ძირითადი გამოწვევები - რეგიონული/ლოკალური დონე	20
1.4.1.	ახმეტა/თუშეთი	21
1.4.2.	მაღალმთიანი აჭარა	23
1.4.3.	დედოფლისწყარო	25
1.4.4.	ბათუმი	27
1.4.5.	თბილისი	28

02	კლიმატის ცვლილება, როგორც გამოწვევა - დამოუკიდებლად შეფასების ეტაპი	30
2.1.	„კლიმატის ცვლილება“ - ტერმინის გაგება და ძირითადი ასოციაციები	34
2.2.	„კლიმატის ცვლილება“ vs. „ამინდი“	38
2.3.	„კლიმატის ცვლილება“ vs. „გლობალური დათბობა“ და „კლიმატის ცვლილება“ vs. „ეკოლოგია/ეკოლოგიური“	40
2.4.	კლიმატის ცვლილების შედეგები და მათი მნიშვნელობის დასკვნითი ეტაპი	48
2.5.	კლიმატის ცვლილების შედეგები და მათი მნიშვნელობის შეფასება/გაცნობიერება - დამოუკიდებელი შეფასების დასკვნითი ეტაპი	50
2.5.1.	გლობალური დონე	52
2.5.2.	დიდი ქალაქები	54
2.5.3.	ახმეტა/თუშეთი	57
2.5.4.	მაღალმთიანი აჭარა	61
2.5.5.	დედოფლისწყარო	64
03	კლიმატის ცვლილების მიმართ პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმები	68
3.1.	პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმები - პრეფერენციების პერსპექტივა	72
3.1.1.	ბათუმი	75
3.1.2.	მაღალმთიანი აჭარა	78
3.1.3.	ახმეტა/თუშეთი	80
3.1.4.	დედოფლისწყარო	82
3.1.5.	თბილისი	84
3.2.	პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმები - პრეფერენციების პერსპექტივა	86
3.2.1.	ადამიანის როლისა და შესაძლებლობების ზოგადი შეფასება	88
3.2.2.	პასუხისმგებლობის განაწილება	91

04	ინფორმაცია: ძირითადი წყაროები, დამოკიდებულება, მოთხოვნები	96
05	ქცევის ანალიზი - ინდივიდის/პერსონალური დონე	110
5.1.	გადაადგილება	114
5.1.1.	ველოსიპედის გამოყენება	122
5.2.	დამოკიდებულება ბიოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტის/ ბიოპროდუქტის მიმართ	126
5.3.	დამოკიდებულება ენერგორესურსების მიმართ	134
5.3.1.	ენერგოეფექტური ნათურების გამოყენება	136
5.3.2.	დამოკიდებულება ელექტროენერგიის დაზოგვის მიმართ - ნათურების შემთხვევა	140
5.3.3.	ენერგორესურსების დაზოგვის ძირითადი ფორმები	143
06	გარემოს დამაზიანებელი სოციალურ- ეკონომიკური აქტივობები/ფაქტორები	150
6.1.	აჭარა	154
6.1.1.	ბათუმის ჯგუფები	158
6.1.2.	მაღალმთიანი აჭარის ჯგუფები	159
6.1.3.	ახმეტა/თუშეთი	
07	ემოციები და გზავნილები	160
7.1.	ემოციები	164
7.2.	გზავნილები	172
	დანართი	180
	დანართი 1	182
	დანართი 2	183
	დანართი 3	186
	ფოკუსჯგუფის სახელმძღვანელო	

ქიმიოთარი ცნებები

კლიმატურისტური (Climate-friendly): ტერმინი გამოიყენება უზოგადესი გაგებით - მოვლენა (ქცევა, ქმედება და ა.შ.), რომელიც არ იწვევს კლიმატის ცვლილებას და ხელს უწყობს მის შერბილებას ან მასთან ადაპტაციას.

ზემოქმედება (Impact): ბუნებრივ ან ადამიანურ სისტემებზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შედეგები.

ადაპტაცია/ადაპტაციის უნარი (Adaptivity/Adaptive capacity): ბუნებრივი ან სოციალური სისტემის უნარი, ადაპტირდეს კლიმატის ცვლილებასთან, შეამციროს პოტენციური ზიანი, სათანადოდ ისარგებლოს სხვადასხვა შესაძლებლობითა და დაძლიოს ზემოქმედებით გამოწვეული შედეგები.

მოწვლადობა (Vulnerability): კლიმატის ცვლილებისა და ექსტრემულების მიმართ სისტემის მცირებლივობის ან შეუგუებლობის ხარისხი.

შერბილება (Mitigation): ადამიანის ნებისმიერი მცდელობა, შეარბილოს კლიმატის ცვლილების ზემოქმედება.

არმაციას
ება

ემოს



ქურთაღი გამოწვევი

ფოტო: თავის რობაები



კლიმატის ცვლილება სოციალურ პერსპექტივაში

პირითაღი გამოწვევები



კლიმატის ცვლილება
სოციალურ პერსპექტივაში

1

ბუნებრივ გარემოსა და, კონკრეტულად, კლიმატის ცვლილების საკითხებზე ფოკუსირებას წინ უძღვდა დისკუსია ზოგადად, გლობალური, ეროვნული და რეგიონული/ლოკალური დონეების უმნიშვნელოვანეს გამოწვევებზე.

ამ ნაწილის უმთავრესი ფუნქციაა სამივე დონის ძირითად გამოწვევათა იდენტიფიკაცია და რანჟირება, რათა შეფასდეს ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული სირთულეები, მათ შორის, კლიმატის ცვლილება, როგორც გამოწვევა.

დისკუსიით მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით ვასკვნით, რომ ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და მათ მნიშვნელობას საკმაოდ კარგად აცნობიერებენ მონაწილეები: ზოგადი გამოწვევების რანჟირებაში ამ თემას ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი უკავია.

1.1.

პირითაღი გამოწვევები - გრობაღური რონი

დისკუსია დაიწყო კითხვით:

თქვენი აზრით, რა
ძირითადი/უმნიშვნელოვანესი
გამოწვევების წინაშე დგას
დღეს მსოფლიო?



„ჩემი აზრით, კლიმატის ცვლილება არის მთავარი პრობლემა, ალბათ, ჯერჯერობით ესე ვფიქრობ ამ ეტაპზე, აზლა ეკონომიკური“...

(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„ამ პანდემიის გამო, ჩემი აზრით, დღეს უძუშევრობაა ყველაზე დიდი პრობლემა მთელს მსოფლიოში“

(ახმეტა, ქალი, 26 წ).

„მიმართია, რომ პირველი პრობლემა ამ ეტაპზე არის პანდემია, მსოფლიო გამოწვევა. პლეს ამას, კოლონგია, რა თქმა უნდა, რაც ზოგადად, მთელი მსოფლიოსთვისაა პრობლემა“

(ახმეტა, ქალი, 42 წ).

„მეც მგონია, უფრო მეტი განათლება, უფრო მეტი ცნობიერების ამაღლებაა საჭირო“

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

„ცოტა რთული შეკითხვაა, რა ვიცი. ალბათ, ჩემი აზრით, ისევ არაცნობიერება ალბათ იმიტომ რომ რა ზიანის მიუწება შეუძლია თითოეულ ადამიანს ბუნებისთვის გარემოსთვის აი ამის არცოდნა. იგივე ნაგვის გადაყრით, ქუჩაში გადაგდებით, ნაგვის დაწვით, იგივე ხანძრის გაჩენით და რაღაც ვითომ წვრილმანი მარა ძალიან დიდი საქმეები არცოდნით“

(ახმეტა, კაცი, 42 წ).

„ბლობალური დათბობა ალბათ, ყველაზე ისეთია“

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

„შემდეგ მსოფლიო არაჯანსაღად იკვებება და ეს არის ჩემი აზრით ძალიან დიდი სირთულე და მეორე ეს არის რომ ბევრს სვამებ - ორი დიდი კომპონენტი რამაც მსოფლიოს ჯანმრთელობა დააკნინა და შედეგიც სახეზეა“

(ახმეტა, კაცი, 62 წ).

„დღეს პანდემია და ისე ბლობალური დათბობა“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).

ამ პროცესი ყველაზე ხშირად
ფიგურირებდა კოვიდ-19-ის
პანდემიასთან, კონიმიკურ
მდგომარეობასა და ბუნებრივ
გარემოსთან დაკავშირებული
საკითხები.

სხვა გამოწვევებს შორის

აღსანიშნავია:

განათლების/ცნობიერების
ამდგლების საჭიროება (სხვადასხვა,
მათ შორის, ბუნებრივ გარემოსთან
დაკავშირებულ კონტექსტში),
დაბინძურება, არაჯანსაღი საკვები,
ალკოჰოლი, მოსახლეობის
ძალიანოვი ზრდა, ბირთვული
შეირაღება, პოლიტიკური
კრიზისები, ტერორიზმი და
ადამიანის უფლებები.

„მოსახლეობის მასობრივი ზრდა მსოფლიოში“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 26 წ.).



მოდერატორი: რა
ძირითადი პრობლემის
წინაშე დგას დოქს
მსოფლიო?

ნაირა: კორონა ვირუსის“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 36 წ.).

„რა თქმაუნდა, პირველ რიგში, პანდემია, მერეეკონომიკური
მდგომარეობა, ყველანაირად, ყველამხრივ და წლების
წინ მაგალითად გაჩეხილი ტყეები, დღეს ვიკით ამ
კატასტროფებს სამწესაროდ... ეკოლოგიაც ემატება ამას“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 36 წ.).

„ბლობალური დათბობა, ეკოლოგია, თუ გადავხედავთ
მსოფლიოში რა ხდება, ბევრი საშინელი მაგალითია“
(დედოფლისწყარო, ქალი, 29 წ.).

„ეკონომიკური, სიღარიბე, ეკოლოგიაც“

(დედოფლისწყარო, ქალი, 36 წ.).

„ბირთვული შეიარაღება“

(დედოფლისწყარო, კაცი, 57 წ.).

„პანდემია, ბუნება, ბლობალიზაცია“

(დედოფლისწყარო, კაცი, 27 წ.).

„ამ წუთისთვის ყველაზე დიდი პრობლემა პანდემია
რა თქმა უნდა, მისგან გამოწვეული პრობლემები და
შედეგები.... პოლიტიკური, ეკონომიკური კრიზისები
თავისთავად. ... და ამ ყველაფერის ფონზე ეკოლოგიაც
ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია რაც ყველას ავიწყდება“
(ბათუმი, კაცი, 41 წ.).

„მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი პანდემიაა
რა თქმა უნდა. მაგრამ, მე უფრო მეტადაც ვფიქრობ
გამონაბოლქვთან დაკავშრებით“
(ბათუმი, კაცი, 46 წ.).

„ალბათ გარემოს დაცვა ერთ-ერთი უმთავრესია, იმიტომ
რომ ბევრი ნიუანსია ამაზე დამოკიდებული და მეორე,
თავისთავად პანდემია“
(ბათუმი, ქალი, 38 წ.).



„პანდემია, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და კლიმატის ცვლილებები“

(ბათუმი, ქალი, 31 წ).

„ალბათ ეკონომიკა და ეკოლოგია: თუ გადავხედავთ მსოფლიოში რა ხდება, ბევრი საშინელი მაგალითია. მყინვარები დნება, ბუნება იცვლება“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„მსოფლიოში ტერორიზმი და აღამიანის უფლებები, რომლებიც მთლიანად იღებება“

(თბილისი, ქალი, 22 წ).

„პირველ რიგში ალბათ პანდემია, გლობალური დათბობა“

(თბილისი, ქალი, 60 წ).

„მსოფლიოს ყველაზე დიდი გამოწვევა არის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დაწყებულია დაახლოებით 12 წლია, 2008 წლიდან. ამას თან დაერთო პანდემია, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს კრიზისს“

(თბილისი, კაცი, 62 წ).



მოდერატორი: ლადო,
თქვენ რას მიიჩნევთ
მსოფლიოს ყველაზე
მნიშვნელოვან
გამოწვევად?

ლადო: დღეისათვის პერსპექტივაში კლიმატის გლობალურ ცვლილებას“

(თბილისი, კაცი, 26 წ).

„ჩემი აზრით კაცობრიობის დიდი პრობლემა არის სიბინძურე გარშემო და ამას არავინ არ აქცევს ყურადღებას. ჩემთვის ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა“

(თბილისი, კაცი, 29 წ).

„მე განათლებას დავსახლებდი. ადამიანები ხშირ შემთხვევაში არ იციან რას აკეთებენ და რომ მათმა ქმედებებმა შეიძლება ზიანი მოუტანოს გარემოს“

(თბილისი, კაცი, 26 წ).

„აჭარის რეგიონისთვისაც იგივე პრობლემები შემიძლია გამოვყო“

(ბათუმი, კაცი, 24 წ).

„ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები. ისევ ამას დავასახელებდი“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

1.2.

სხვადასხვა ღონის გამოწვევათა უგთიერთმიმართება

ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები,
ცხადია, სოციუმის სუბჯექტებზეც აისახება,
რასაც ფოკუს ჯდუფის მონაწილეებიც კარგად
აცნობიერებენ.

ტენდენციის სახით გამოიკვეთა კონკრეტული
დონის გამოწვევითა დაკავშირება უფრო ზოგად
დონეზე მიმდინარე პროცესებთან. უროვნელი და
რეგიონული დონის ყველაზე მნიშვნელოვანი
გამოწვევები, ძირითადად, მოიაზრება გოთბალურ
კონტექსტში (როგორც გლობალურ გამოწვევათა
ნაწილი ან შედეგი).

„მუნიციპალიტეტს რაც შეეხება მაინც პატარაა და ქვეყნის ჰულსს მიჰყვება“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ).



მოდერატორი:

საქართველოზე

რას იტყოდით, რა
ძირითადი გამოწვევების/
სირთულეების წინაშე
დგას ამჟამად ჩვენი
ქვეყანა? გამოწვევად?

ნაირა: „იბივეა“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი 36 წ).

„ეკონომიკური სიტუაცია საზოგადოებას და ადამიანს არ
აძლევს განვითარების საშუალებას და ეს ავტომატურად
აისახება რეგიონზეც“

(დედოფლისწყარო, კაცი 51 წ).

„საქართველოში ბევრი პრობლემაა; ცალკე აღებული
დედოფლისწყარო ვერ იქნება“

(დედოფლისწყარო, კაცი 27 წ).

„მსოფლიოში რაც ხდება, ჩვენზეც ახდენს გავლენას:
ეკონომიკური გასაჭირი, პანდემია“

(დედოფლისწყარო, ქალი 45 წ).

„სწორედ პანდემია პირდაპირ უკავშირდება თუმეთსაც
და იმ დარგსაც რომელიც აქ ვითარდება ტურიზმს
და მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრმა სასტუმრომ
სრულფასოვნად ვერ იმუშავა შარშან და ცუდად აისახა ეს
თუმეთზე“

(ახმეტა, კაცი, 20 წ).

„ამ პანდემიამ ძალიან უკან დაწია ეს მსოფლიო,
მსოფლიოს ეკონომიკა, ტურიზმი, ძირითადად, ეს თუმები
მესაქონლეობითა და ტურიზმით იყვნენ დაკავებული და
ძალიან ცუდი სიტუაცია იყო შარშანაც და წელსაც მგონი
ასეთი იქნება, როგორც ვხედავ“

(ახმეტა, ქალი, 50 წ).

„უხარისხო საწვავი არ არის ლოკალური პრობლემა,
ზოგადი პრობლემაა“

(თბილისი, კაცი, 26 წ).

„მსოფლიოსთვის პანდემია, ეკონომიკური მდგომარეობა.
საქართველოში და თბილისშიც, ანალოგიურად,
სიღარიბე“

(თბილისი, ქალი, 40 წ).

1.3.

პირითაღი გამოწვევები - ისტორიული ღონი

ეროვნულ დონეზე ფოკუსირებისას,
პანდუმიასთან, უკონიმიკურ მდგომარეობასა
(სიღარიბე, უმუშევრობა, ეკონომიკური
კრიზისი და ა.შ.) და ბუნებრივ გარემოსთან
დაკავშირებულ გამოწვევათა პარალელურად,

გამოიკვეთა: **ტერიტორიული მთლიანობა/**
რესული თემაცია, მასობრივი უმიმრავისი
უცხოური და განათლების/ცნობიერების
ამაღლების საჭიროება; ცალკეულ
შემთხვევაში, დასახლდა ქუყნის
განვითარების ზოგადი კურსი, შიდა პოლიტიკა
და უროკზული თვითშეგნებაც.

**„მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის
მხრივ“**

(ახმეტა, კაცი, 55წ).

**„საქართველოსთვის პანდემიასთან გამკლავება და
უკონომიკური და სოციალური მდგომარეობა“**

(ახმეტა, კაცი, 27წ).

**„ქვეყანა სიდარიბის ძალიან დაბალ ნიშნულზეა ...
პროგრესის ნაცვლად რეგრესით ანუ უკუსვლით მიდის
ქვეყანა ... ამისი მიზეზია ის რომ შედარებით ნაკლები
დარჩა ის მშრომელი ანუ შრომისუნარიანი მუშახელი
ქვეყანაში. ყველა ვისაც ხელის გატოკება შეუძლია,
საზოვარგარეთ მიედინება ... ახალჩამოსული, მე ვიტყოდი
ფულნაშოვნი ხალხი დიდს ვერაცერს აკეთებს, ვერც
ქვეყნისთვის, ვერც სოფლისთვის“**

(ახმეტა, კაცი, 62წ).

**„რთული არის ზოგადად ემიგრაცია, მე საქართველოს
მაგალითზე ესე შემიძლია ვთქვა. ყველაზე დიდი
პრობლემები არის ოჯახების დაცალკევება, შვილების
დატოვება, მე 4 შვილი დავტოვე, 6 წელი საერთოდ არ
მენახა დედაჩემი“**

(ახმეტა, ქალი, 57წ).

**„უმუშევრობაა ყველაზე დიდი პრობლემაა მთელს
მსოფლიოში, სამყაროში, საქართველოშიც, იმიტომ, რომ
ამ ჩაკეტვამ უამრავი ბიზნესი გაანადგურა“**

(ახმეტა, ქალი, 26წ).

**„უკონომიკური კრიზისი, დაკარგული ტერიტორიები,
განათლება“**

(დედოფლისწყარო, კაცი, 29წ).

„დასაქმება და მიგრაცია“

(დედოფლისწყარო, ქალი, 67 წ).

„საქართველოში ეკოლოგია, სიღარიბე, უძუშევრობა“

(მაღალმთიანი აჭარა, ქაცი, 54 წ).

„ეროვნული საკითხების უკან წამოწევა“

(მაღალმთიანი აჭარა, ქაცი, 34 წ).

„ეკოლოგია და ეკონომიკა“

(ბათუმი, ქალი, 45 წ).

„პანდემიაში გამოიწვია დიდი ეკონომიკური ზარალი ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც“

(ბათუმი, ქაცი, 43 წ).

„საქართველოსთვის ალბათ პირველ რიგში უძუშევრობა“

(თბილისი, ქალი, 52 წ).

„საქართველოსთვის ოკუპაცია, განათლება“

(თბილისი, ქაცი, 26 წ).

„საქართველოსთვის ყველაზე დიდი პრობლემა ჩემი აზრით არის გარემოს დაბინძურება“

(თბილისი, ქაცი, 21 წ).



„საქართველოსთვის ყველაზე დიდი პრობლემა ისევე
როგორც მსოფლიოსთვის, კოვიდი და პანდემიის
დამარცხება, შიდა პოლიტიკა“

(თბილისი, კაცი, 49 წ).

1.4.

პირითაღი გამოწვევები - ჩეზიონული/ღოვანური ღონის

რეგიონული/ლოკალური დონის
გამოწვევებზე ფოკუსირებისას თავი იჩინა
განსხვავებაში საცხოვრებელი ადგილის/
დასახლების ტიპის მიხედვით:

ზოგად გამოწვევებთან ერთად, დიდი
ქალაქების - თბილისისა და ბათუმის
აგუაზებში, ძირითადად, ურბანული
საჭირებები დომინირებდა, მაშინ, როდესაც
სხვა აგუაზებში წინა პლანზე წამოიწია
ულემნურარელ ყოფით პირობებთან
დაკავშირებულმა პრობლემებმა.

1.4.1. ახმეტა/ თუშეთი



თუშეთი მაღალმაღალმთანი სოფელია, რომელიც, კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში, კვლევის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგინდა. იქ მოსახლეობა მუდმივად, ფაქტობრივად, არ ცხოვრობს. ამიტომ, ახმეტის ჯგუფების წევრების შეირჩნენ მუნიციპალიტეტის იმ მცხოვრებთაგან, რომელთაც, საცხოვრებელი თუშეთშიც აქვთ.

თუშეთი, რომელიც განთქმულია იშვიათი სილამაზის ბუნებით, კულტურული თუ ყოფითი ტრადიციებით, მეცხვარეობითა და გუდის ყველის დამზადების ტექნოლოგიით, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იყო ორიენტირებული ტურიზმზე. შესაბამისად, ამ ჯგუფებში განსაკუთრებულად სენსიტური დამოკიდებულება გამოვლინდა პანდემიის შედეგებისა და ბუნებრივ გარემოში მიმდინარე უარყოფითი ცვლილებების მიმართ.

რეგიონის წინაშე არსებულ უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს შორის დომინირებს: პანდემია, ეკონომიკურ მდგრადირებულებისთვის დაკავშირებული სირთულეები (სიოარიბე, უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები და ა.შ.), ბუნებრივ გარემოში მიმდინარე უარყოფითი ცვლილებები, ნარჩენების დაწვა, შიდა და ცენტრალური გზების უკიდურესად ცუდი მდგრადირება და სასმელი წყლის დეფიციტი.

„უძუშევრობა და დაბალი ხელფასი“

(ახმეტა, ქალი, 55 წ).

„თუშები ... ტურიზმით იყვნენ დაკავებულნი“

(ახმეტა, ქალი, 50 წ).

„პლუს ამას, ეკოლოგია, რა თქმა უნდა“

(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„ნარჩნების დაწვასთან დაკავშირებით“

(ახმეტა, კაცი, 55 წ).

**„თუშეთისთვის ელემენტარული საცხოვრებელი
ჰირობების გაუმჯობესებას ვგულისხმობ შიდა და
ცენტრალურ გზებს, სასმელ წყალს, რომელიც თითქმის
ყველა სოფლისთვის პრობლემაა და მსგავს პრობლემებს“**


(ახმეტა, კაცი, 27 წ).

**„მთავარი პრობლემა აობათ თუშებისთვის ძაინც გზის
პრობლემაა. დაწყებული სასტუმროს მეპატრონიდან,
დამთვრებული მწყემსით სწორედ აი ამ გზაზე
დამოკიდებული და თუ ეს გზა არ იქნება წესრიგში და
მუდმივად პრობლემატურ სიტუაციაში იქნება, მაშინ
თუშეთის განვითარებისათვის საქმეს დიდი საფრთხე
უქმნება. მე ვისურვებდი რომ ეს საკითხი ერთხელ და
სამუდამოდ მოგვარდეს და მოწესრიგდეს“**

(ახმეტა, კაცი, 20 წ).

მაღალმთიანი აჭარის შემთხვევაში, უმნიშვნელოვანეს გამოწვევებს ძორის გამოიკვეთა: პანდემია (ტურიზმი აჭარის, მათ შორის, მაღალმთიანი აჭარის ეკონომიკური ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს); ბუნებრივ გარემოში მიმდინარე უარყოფითი ცვლილებები (გაჩეხილი ტყეები, მეწყერი, გვათვები); ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სირთულეები (სიოპიტე, უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები და ა.შ.); მოსახლეობის მიგრაცია; გზების ცუდი მდგომარეობა; დასასმელი წყლის დეფიციტი.

1.4.2. მაღალმთიანი აჭარა



„ტურისტი რომ არაა, აქარას შემოსავალიც აღარ აქვს და
გავღარიბდით. მოსახლეობასაც დაარტყა ამან, ვირუსმა“
(მაღალმთიანი აქარა, ქალი, 36 წ).

„ტყეების გაჩეხვა იწვევს მეწყერებს. მეწყერული რაიონია
ჩვენი“

(მაღალმთიანი აქარა, ქალი, 41 წ).

„რაიონიდან ხალხის მიგრაცია. საცხოვრებელი პირობები
ნაკლებია“

(მაღალმთიანი აქარა, კაცი, 41 წ).

„მე პირადად არაფერი არ მაჩერებს სოფელში და
მოვდივარ ქალაქში, ასევე ბევრს არ აქვს სასძლო წყალი
ამ გვალვის პირობებში, რაც ერთ-ერთი მიზეზია ქალაქში
წამოსვლისთვის“

(მაღალმთიანი აქარა, კაცი, 19 წ).

„რომ შრომობენ და ფასი არ აქვთ? ჩვენს ბუნებრივად
მოყვანილ ყველაფერს ფასი არ აქვს“


(მაღალმთიანი აქარა, ქალი, 35 წ).

„უფრო გზები“

(მაღალმთიანი აქარა, ქალი, 37 წ).

დედოფლისწყაროს წინაშე არსებულ უმნიშვნელოვანეს გამოწვევათა სპექტრში დომინირებს: ჰანდემია; ბუნებრივ გარემოში მიმდინარე უარყოფითი ცვლილებები (გაუდაბნოება, გვალვები, წყლის „დაკარგვა“/დაშრობა, ქარიშხლები, ეკოლოგია); ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სირთულეები (სიღარიბე, უმუშევრობა და ა.შ.); ბუნებრივი რესურსების მართვის არასწორი პოლიტიკა; რეგიონის არასწორი მართვა; მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია; განათლებისა და სასმელო წყლის დაფიციტი:

1.4.3. დედოფლისწყარო



„დედოფლისწყაროს მთავარი პრობლემა არის გაუდაბნოება და წყალი; აღარ მოდის მარცვლეული; მზესუმზირა“

(დედოფლისწყარო, კაცი, 28 წ).

„ეკონომიკური გასაჭირი, პანდემია, ეკოლოგია, პლიუს განათლება... არ არის დასაქმებული ხალხი. რეგიონის ყველაზე დიდი პრობლემაა დასაქმება და წყალი“

(დედოფლისწყარო, ქალი, 45 წ).

„განათლება, ხალხს უჭირს“

(დედოფლისწყარო, ქალი, 52 წ).

„ეკონომიკური გასაჭირი; ბუნებრივი რესურსების მართვის პოლიტიკა; სასმელი წყალი. წყალი, ფაქტობრივად, დაკარგულია. რესურსებს ვერ ვიყენებთ სწორად. სასმელი წყალი ეს ყველაზე პირველია. ოჯახში მოგვარებული მაქვს იმით, რომ ავზი მაქვს. დედოფლისწყარო იყო ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონი და ახლა ყველაზე დარიბია; სამუშაო ადგილები არ არის; არ ხდება წარმოება; არასწორად იძართება რეგიონი“

(დედოფლისწყარო, ქალი, 41 წ).

„ეკონომიკა. არ ხდება ეკონომიკური განვითარება და ეს თითოეულ ოჯახამდე დადის“

(დედოფლისწყარო, კაცი, 45 წ).

„უმუშევრობა. დაიცალა დედოფლისწყარო. აღარავის არ უნდა აქ ცხოვრება“

(დედოფლისწყარო, ქალი, 29 წ).

ბათუმი ტურიზმისა და დასვენების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენს. მის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევათა დასახელებისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადი გამოწვევების (პანდემია, ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სირთულეები) პარალელურად, აქცენტი ურბანული ხასიათის გამოწვევებზე კეთდება: ნაგავსაყრელის პრობლემა; ავტომობილების გამონაბოლქვი, გადატვირთული საგზაო მოძრაობა; ინტენსიური მშენებოლობები; მტვერი, უსუფთაობა და ეკოლოგიური პრობლემები.

„ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები“
(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„მტვერი, უსუფთაობა, მშენებლობები“
(ბათუმი, ქალი, 52 წ).

1.4.4. ბათუმი




„პანდემია და, რა თქმა უნდა, პანდემიამ გამოიწვია დიდი ეკონომიკური ზარალი ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ასევე ბათუმშიც და თუ გარემოს მხრივ გავითვალისწინებთ, ნაგავსაყრელების სიტუაცია არის ძალიან მძიმე, რომელიც ტელევიზიაშიც იყო გადაცემული და, რა თქმა უნდა, გარემოს და ბუნების დაზიანებაც არის; არის ეკოლოგიური გამონაბოლქვი, ძალიან ბევრი მანქანა დადის. განსაკუთრებით, სხვათაშორის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ძველი ავტობუსების გამონაბოლქვი აწუხებს ბათუმს და უკვე მიღილი მიღონი ახალი ავტობუსებიც გამოჩნდა ბათუმში, ელექტრო ავტობუსები, რაც ძალიან კარგია და მივესალმები ამას“
(ბათუმი, კაცი, 43 წ).

„მე ვფიქრობ, ბათუმში ყველაზე მნიშვნელოვანი არის არის მანქანის გამონაბოლქვი... ბათუმში ისეთი მდგომარეობაა რომ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე რომ გადაადგილდე ერთი კი არა ორი საათ დაგჭირდება“
(ბათუმი, კაცი, 46 წ).

„ეკონომიკური სიდუხჭირე, პირველ რიგში“
(ბათუმი, კაცი, 41 წ).

ბათუმთან შედარებით, კიდევ უფრო „ურბანიზებულია“ თბილისის უმნიშვნელოვანეს გამოწვევათა სპექტრი: ზოგადი პრობლემების პარალელურად (პანდემია, ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული სირთულეები), გამოიკვეთა: არასწორი ურბანული დაგეგმარება, ინტენსიური მშენებლობები, რეგიონებიდან დედაქალაქში მიგრირების მაღალი სიხშირე, გადატვირთული საგზაო მოძრაობა და ეკოლოგიური დაბინძურება/ეკოლოგია.

1.4.5. თბილისი



“თბილისშიც ანალოგიურად სიღარიბე, კიდევ
მშენებლობებს ვიტყოდი”
(თბილისი, ქალი, 40 წ).

„თბილისის მასშტაბით ეკოლოგიური დაბინძურება,
მანქანები“
(თბილისი, ქალი, 52წ).

„...მშენებლობები
(თბილისი, ქალი, 18 წ).

„...უმუშევრობა და ჰაერის დაბინძურება“
(თბილისი, კაცი, 35 წ).

„...ეკოლოგია, საცობები“
(თბილისი, კაცი, 32 წ).

„...არასწორი ურბანული დაგეგმარება“
(თბილისი, კაცი, 26წ).

„...ურბანიზაცია“
(თბილისი, კაცი, 26 წ).

„და თბილისიც იგივეა: პანდემია, უმუშევრობა და
დავამატებდი ურბანიზაციას, უაზრო მშენებლობები“
(თბილისი, კაცი, 35 წ).

„დეცენტრალიზებული არის ქალაქი, მთელი ქვეყანა
მოდის თბილისში“
(თბილისი, კაცი, 26 წ).

„თბილისისთვის დაბინძურება“
(თბილისი, კაცი, 29 წ).



კლიმატის
ცვლილება, როგორც
გამოწვევა -
დამოუკიდებელ
მეცნასების ეფექტი

ფოტო: თავის რობაჟიშვილი



კლიმატის ცვლილება სოციალურ პერსონალისთვის

კლიმატის ცვლილება,
აოგორებ გამოწვევა -
დამოუკიდებელ
შეფასების ეფავი

2

კლიმატის ცვლილება, როგორც გამოწვევა, **დამოუკიდებლად** (სხვა გამოწვევათა ზოგად ფონთან შედარების გარეშე) შეფასდა ორ ეტაპად:

- პირველი (მოსამზადებელი) ეტაპის ფოკუსი იყო ტერმინის ცნობადობა და გაგება იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომლებსაც ფოკუსზე ფოკუსის მონაწილეები ფლობდნენ;
- მეორე (დასკვნითი) ეტაპის დასაწყისში ფოკუსზე მონაწილეებმა მოისმინეს, თუ როგორ განიმარტება ტერმინები: „კლიმატი“ და „კლიმატის ცვლილება“, შემდეგ კი კლიმატის ცვლილება, როგორც გამოწვევა, დამოუკიდებლად შეაფასეს სამივე დონის (გლობალური, ეროვნული, რეგიონული/ლოკალური) გათვალისწინებით.



2.1.

„კლიმატის ცვლილება“ - გეოგრაფიული განვითარების ასოციაციები

საყოველთაოდ ცნობილი და საყოველთაოდ
გამოყენებაზე გეოგრაფიული განვითარების

თვისებრივი კვლევით დადასტურდა რაოდენობრივი კვლევის
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი:

ტერმინი „კლიმატის ცვლილება“, მაღალი ცნობადობის გამო,
შეიძლება საყოველთაოდ ცნობილ ტერმინად ჩაითვალოს.

რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, ფოკუსი განვითარების
ფორმატმა საშუალება მოგვცა, უფრო საფუძვლიანად
გამოგვეკვლია „კლიმატის ცვლილების“ გაგება და მასთან
დაკავშირებული ასოციაციები.

?

საკითხის სიღრმისულად და დეტალურად
გამოკვლევისთვის, სიტუაციის შესაბამისად,
გამოყენებული იყო კითხვები:

- გსმენიათ თუ არა კლიმატის ცვლილების შესახებ?
- რა გსმენიათ?
- როგორ გესმით ეს ტერმინი - რას გულისხმობთ მასში?
- რა მოვლენებს უკავშირდება „კლიმატის ცვლილება“ თქვენი
ინფორმაციით?

კლიმატის ცვლილება
სოციალურ პერსპექტივაში

„დიახ, მსმენია და გულისხმობს არა მარტო გლობალურ დათბობას, არამედ რაც შეეხება ატმოსფეროში ჰაერის ცირკულაციას, წყლის აორთქლების რეჟიმს, ნალექიანობას, რომელიც ყოველწლიურად ანომალიურად იზრდება“

(თბილისი, კაცი, 45 წ).

„გულისხმობს ჩემის აზრით ყოველწლიური წვიმიანი, მზიანი და თოვლიანი დღეების რაოდენობის ცვლას“

(თბილისი, კაცი, 26 წ).

„ამდენი გამონაბოლქვი, ნახშირორქანგი ადის, ათბობს“

(თბილისი, ქალი, 60 წ).

[ზამთარში] „...ისეთი უხვი ნალექებია, აპრილშიც არ ყოფილა მსგავსი. ამან გამოიწვია ღვარცოფები და მეწყერული პროცესები“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 53 წ).“

„აი, მაგალითად, კვლევების შედეგად მიხვდნენ, რომ წიწვოვანი მცენარეების გახმობა მაგან გამოიწვა, იმიტომ რომ ზამთარში დიდ თოვლი აღარ მოდის“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ).“

„ტემპერატურის მატება იწვევს გაუდაბნობის ზრდას და უფრო მეტი მძრალი ადგილის შექმნას. ასევე იწვევს ოკეანეებში ყინულის მასის დნობას და მერე წყალდიდობებს“

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

„დიახ, მსმენია და ეს არის კლიმატის შეცვლა რომელიც თანდათან ხდება უფრო თვალსაჩინო ჩვენთვის, თითეული ადამიანისთვის და ეს გამოიხატება მაგალითად იმით, რომ მყინვარები რომლებიც ჩვენც კი გვინახავს ყინულით და თოვლით დაფარული, დღეს მასზე ყინული საერთოდ აღარ არის. ეს საქართველოშიც შეიმჩნევა, დიდ კავკასიონს თუ ავიღებთ. და ასევე ის ეროზიული პროცესები, რომლებიც დაწყებულია, მათ შორი შავი ზღვის სანაპიროზე. მათ შორის, თუშეთშიც დაწყებულია ეროზიული პროცესები და აგრეთვე ამ ეცექტს უკავშირდება ის, რომ ეპიდემიები ძალიან სწრაფად ვრცელდება და ახალ-ახალი დავადებები ჩნდება. ძალიან ბევრი ცუდი რაღაცის გამოწვევა შეუძლია კლიმატის ცვლილებას“

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

კუსკერტთა შეფასებით,
ფოკუსჯგუფის
მონაწილეები,
ძირითადად, სწორად
აყალიბებდნენ
„კლიმატის ცვლილების“
ზოგად გაგებას და მასთან
დაკავშირებულ
კონკრეტულ მოვლენებს:



„ნახშირორჟანგის რაოდენობის მომატება ატმოსფეროში, რაც მერე იწვევს ტემპერატურის მომატებას, ტემპერატურის მომატება შემდეგ იწვევს მყინვარების დნობას, წყლის დონის აწევას და ა.შ. ეს ყველაფერი ერთმანეთანაა კავშირში“

(ახმეტა, ქალი, 55 წ).

“ანუ ჩემთვის რამდენადაც ცნობილია მსოფლიო დგას ამ პრობლემის წინაშე იგივე ანტარქტიდაზე მყინვარების დნობა იგივე გადამეტებული სიცხე აფრიკაში”

(ბათუმი, ქაცი, 27 წ).

“ჩემი აზრით, ეს არის ცვლილება რომელსაც იწვევს არამარტო ბუნებრივი პირობები არამედ ადამიანების ჩარევაც განაპირობებს, რომ რაღაცები იცვლება და შესაბამისად ახდენს გავლენას ჩვენს გარემო კლიმატზე”

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

“ადამიანის ზემოქმედებით გარემო შეიცვალა, ტემპერატურამ მოიმატა”

(მაღალმთიანი აჭარა, ქაცი, 55 წ).

მეც ყურადღებას გავამახვილებდი სეზონურ კლიმატზე. ზამთრის თვესთან შედარებით არასასარბიელო ამინდები გვაქვს, თითქმის ზაფხულის ამინდები”

(ბათუმი, ქალი, 45 წ).

„კლიმატის ცვლილება განუწყვეტილი სდება; გამყინვარებაც ხომ იყო“

(დედოფლისწყარო, ქალი, 25 წ).

“კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ტემპერატურა იცვლება. ჩვენს შემთხვევაში იმატებს”

(თბილისი, ქალი, 18 წ).

“აი მაგალითად შემოდგომიდან რო იწყება ნაადრევი ზამთარი და არის სიცივეები ან კიდევ ზამთარი რომ ზედმეტად თბილი არის”

(თბილისი, კაცი, 51 წ).

“ზამთარია ბათუმში მაგრამ მე ზაფხული მგონია ისეთი ამინდებია”

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

“თოვლი აღარ მოდის ზამთარში, სითბოა და ეს უკვე კლიმატის ცვლილებაა”

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ).

“ტემპერატურა იმატებს ყველგან”

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ).

ტერმინი „კლიმატის
ცვლილება“, პირველ
რიგში, ასოცირდება
ჰაერის ტემპერატურის
ზოგად მახასიათე-
ბლებთან/
ძაჩვენებლებთან:

ეს არის ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება რაღაცასთან
შეფარდებით, გასულ საუკუნესა ან ათასწლეულთან, ან 50
წელთან შედარებით”

(ახმეტა, კაცი, 27 წ).

“ადრე, ჩემს ბავშვობაში 31 გრადუსი რომ იყო სიცხე,
პანიკაში იყო მთელი ქვეყანა და სოფელი, ეხლა 31, ალბათ,
სასურველი ტემპერატურაა”


(ახმეტა, ქალი, 57 წ).

“ტემპერატურის მატება, ოქტომბერში ისე გაიარა, ვერ
მიხვდებოდით, რომ რაიმე შეიცვალა”

(დედოფლისწყარო, კაცი, 29 წ);

„უფრო ტემპერატურა იწევს მაღლა მთელ მსოფლიოში”

(დედოფლისწყარო, ქალი, 67 წ).



2.2.

„კლიმატის ცვლილებისა“ VS. „ამინდი“

„კლიმატის ცვლილებისა“ და „ამინდის“
ურთიერთადრევისა და გაიგივების ტენდენცია
არ გამოკვეთილა:

მას შემდეგ, რაც ფოკუსზურულის მონაწილეებმა
გამოიქვეს საკუთარი თვალსაზრისი, თუ რა მოიაზრება
ტერმინში „კლიმატის ცვლილება“, უკვე ცხადი გახდა,
რომ ის არ გაიგივებულა ამინდთან (რასაც ზემოთ
მოყვანილი ციტატებიც ცხადყოფს).

გარდა ამისა, მსჯელობის პროცესში, „კლიმატის
ცვლილებისა“ და „ამინდის“ - ერთდროულად
გამოყენებისას, ნათლად ჩანდა, რომ მონაწილეები ამ
ტერმინებს განსხვავებულ მოვლენათა აღსანიშნავად
იყენებდნენ. ზოგ შემთხვევაში პირდაპირ
ფოკუსირდებოდნენ მათ შორის განსხვავებაზე:



“კლიმატის ცვლილება და ამინდი ერთი და იგივე არ არის, იმიტომ რომ კლიმატის ცვლილება უფრო გლობალურია და ძალიან ბევრ ფაქტორს მოიცავს”

(ბათუმი, ქალი, 45 წ.).

კლიმატი უფრო გლობალური რამ არის ვიდრე ამინდი”
(ბათუმი, ქალი, 45 წ.).

“ამინდი და კლიმატი ერთი და იგივე არ არის”

(ბათუმი, ქაცი, 43 წ.).

“ჩემი აზრით, კლიმატის ცვლილება იწვევს ამინდის ცვლილებას, მაგრამ დღეს რა ამინდია და გუშინ როგორი იყო ამით ვერ ვიტყვით, რომ კლიმატი იცვლება. კლიმატის ცვლილება არის დროის რადაც დიდ მონაკვეთთან შეფარდებით. ეს შეიძლება იყოს რამდენიმე ათეული წელი, ან საუკუნე, თუნდაც ათასობით წელი”

(დედოფლისწყარო, ქაცი, 27 წ.).

“განსხვავებული ამინდები ყოველთვის არის ხოლმე, მაგრამ იშვიათად. ახლა გაზაფხული და ზაფხული საერთოდ აღარ არის. ეს არის კლიმატის ცვლილება და არა ის, ადრე ხანდახან რომ განსხვავებული ამინდი იქნებოდა”

(დედოფლისწყარო, ქალი, 29 წ.).

იმ დასკვნის სასარგებლოდ, რომ „კლიმატის ცვლილებისა“ და „ამინდის“ ერთმანეთთან გაიგივების ტენდენცია არ იკვეთება, მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კლიმატის ცვლილებაზე მსჯელობისას, სიტყვა „ამინდი“ იშვიათად გამოიყენება. ფოკუსარუტის მონაწილეები ასეთ შემთხვევაში იყენებენ დროის შედარებით გრძელ მონაკვეთებთან ასოცირებულ სიტყვებს (მაგ: „სეზონი“), ან კონკრეტული სეზონის სახელწოდებას („ზამთარი“, „ზაფხული“ და ა.შ.) და კლიმატის ცვლილებას არ განიხილავენ მოკლევადიან, მაგალითად, რამდენიმესაათიან პერსპექტივაში.

2.3.

“კლიმატის ცვლილება” VS.

„გრობაღური დათბობა“

და


“კლიმატის ცვლილება” VS.

“ეკოლოგია/ეკოლოგიური”



„ამინდისგან“ განსხვავებით, ფოკუსირებული მონაწილეები სშირად იყენებენ ტერმინებს „გლობალური დათბობა“ და „ეკოლოგიური/ეკოლოგია“.

გლობალურ პრობლემებზე ფოკუსირებისას, ვიდრე მოდერატორი ახსენებდა „კლიმატის ცვლილებას“, მონაწილეები ამ ტერმინებს („ეკოლოგია/ეკოლოგიური“ და „გლობალური დათბობა“) უფრო ინტენსიურად იყენებდნენ:



შენიშვნა:

სვეტების თავში მითითებული რიცხვები აღნიშნავს თემატურად კლასიფიცირებულ ლინგვისტურ კონსტრუქციათა (სიტყვები, მათი კომბინაციები, ფრაზები და ა.შ.) საერთო რაოდენობას, გამორჩების ჩათვლით, და არა თვითონ გამოწვევათა დასახელების სიხშირეს. ამა თუ იმ გამოწვევის ხსნება კონკრეტული მონაწილის მიერ ითვლება მისი დასახელების მხოლოდ ერთ შემთხვევად, იმის მიუხდავად, რამდენჯერ გაიმეორებს პირი აღნიშნული გამოწვევის გამომხატველ ლინგვისტურ კონსტრუქციებს (მაგ: წინადადებაში - „მე ვასახელებ გლობალურ დათბობას, მისი შედეგები ყველას გვეხება, ამიტომ, ჩემთვის გლობალური დათბობა ყველაზე მნიშვნელოვანია“ - ტერმინი „გლობალური დათბობა“ გამოყენებულია ოჯერ, მაგრამ ეს საკითხი გამოწვევად დასახელდა ერთხელ.

აღსანიშნავია, რომ ფოკუსზე უფის მონაწილეები ტერმინს „კლიმატის ცვლილება“ ხშირად განმარტავდნენ „გლობალური დათბობის“ მეშვეობით, ან ეს მოვლენა ასოცირდებოდა გლობალურ დათბობასთან:

„კი მსმენია და ასოცირდება გლობალურ დათბობასთან“
(თბილისი, ქალი, 32 წ).



მოდერატორი: და რა
გესმით ამ ტერმინში”
(კლიმატის ცვლილება).

თამაზი: გლობალური დათბობა”
(თბილისი, კაცი, 32 წ).

„კლიმატის ცვლილებები დამოკიდებულია ბევრ რამეზე, იგივე გლობალური დათბობა, ეკოლოგიური კატასტროფები და ასე შემდეგ“

(ბათუმი, კაცი, 41 წ).



მოდერატორი:
კონკრეტულად რას
გულისხმობთ ამ ცნებაში
„კლიმატის ცვლილება?“

სოფო: აი, თუნდაც გლობალურ დათბობას“
(ბათუმი, ქალი, 31 წ).

“გლობალური დათბობის შედეგს“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ).

„[კლიმატის ცვლილება არის] გლობალური დათბობა და კატასტროფები“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 36 წ).

“გლობალური დათბობა - ამ კუთხით მსმენია“
(ახმეტა, კაცი, 62 წ).



მოდერატორი: და რას
მოიაზრებთ ამ ტერმინში,
რას ნიშნავს კლიმატის
ცვლილება თქვენთვის?

ნატო: გლობალური დათბობა“
(ახმეტა, ქალი, 55 წ).

“დიახ, რათქმაუნდა, კლიმატის ცვლილებაა, ალბათ, იმ გარემოს კლიმატის ცვლილება, რომელიც ადრე მისთვის არ იყო დამახასიათებელი. თავისთვად, გლობალური დათბობის პრობლემა რაც არის“

(ახმეტა, ქალი, 42 წ).

“ეს არის ალბათ, უფრო გლობალური დათბობა“
(დედოფლისწყარო, კაცი, 51 წ).

მეტიც, ფოკუსჯუფის მონაწილეები ამ ორ ტერმინს ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ, ერთმანეთით ანაცვლებენ:

“

მოდერატორი: “ქეთი, ტერმინი „კლიმატის ცვლილება“ თუ გსმენიათ და რას გულისხმობთ მასში?

ქეთი: “კი მსმენია და ასოცირდება გლობალურ დათბობასთან.”

მოდერატორი: “კლიმატის ცვლილება ამინდისგან რით განსხვავდება?”

“ამინდი არის ტემპერატურა, რომელიც ერთ კონკრეტულ დღეს გვაქვს და გლობალური დათბობა არის ის, რომ ზოგადად იწევს ტემპერატურა კონკრეტულ სეზონზე”
(თბილისი, ქალი, 32 წ).

ზემოთმოყვანილი დიალოგიდან აშკარაა, როგორ ცვლის ფოკუსჯუფის ერთ-ერთი მონაწილე ტერმინს „კლიმატის ცვლილება“ ტერმინით „გლობალური დათბობა“. ეს მონაკვეთი ცხადყოფს, რომ ნებით თუ უნებურად, ფოკუსჯუფის ეს მონაწილე „კლიმატის ცვლილებასა“ და „გლობალურ დათბობას“ სინონიმებად იყენებს.

“

მოდერატორი: „ტერმინი „კლიმატის ცვლილება“ თუ გსმენიათ?

კობა: „გლობალური დათბობა - ამ კუთხით მსმენია“.

მოდერატორი: “და თვითონ „კლიმატის ცვლილება“ „გლობალური დათბობისგან“ არაფრით განსხვავდება?”

კობა: „მაშინ თქვენ ამისსენით რაზეა საუბარი.“
(ახმეტა, კობა; 62 წ).

შესაბამისად, არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ „კლიმატის ცვლილების“, როგორც ტერმინის

მაღალი ცნობადობის მიუხედავად, „გლობალურ დათბობას“ საზოგადოება შეიძლება უკეთ იცნობდეს და, რაც მთავარია, უფრო აქტიურად იყენებდეს.

კიდევ უფრო მაღალი გამოყენებით ხასიათდება სიტყვა „ეკოლოგიური“. ხშირად, მას ანაცვლებენ პირდაპირ შესაბამისი არსებითი სახელით:



მოდერატორი: თქვენი
აზრით, რა ძირითადი
სირთულეების წინაშე დგას
დღეს მსოფლიო?

იაკობი: ეკოლოგია”

(დედოფლისწყარო, კაცი, 29 წ).

ცხადია, ამ შემთხვევაში მონაწილე ეკოლოგიურ სირთულეებს გულისხმობს და არა მეცნიერებას.

ფოკუსჯუფების წევრები სიტყვებს - „ეკოლოგიური“/„ეკოლოგია“ - იყენებენ, როგორც ბუნებრივი გარემოს ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფენომენის ზოგად მახასიათებელს. შესაბამისად, მას ნაკლებად აიგივებენ უფრო კონკრეტულ ტერმინებთან, თუმცა, გამოყენების ინტენსივობისა და კონტექსტის მიხედვით, ფოკუსჯუფის მონაწილეებისთვის ზოგადი ტერმინებით სარგებლობა უფრო კომფორტულია, ვიდრე კონკრეტულით (როგორიცაა „კლიმატის ცვლილება“).

თუ შევაჯამებთ „კლიმატის ცვლილების“ გაგებასა და სხვა ტერმინებთან შედარებითი ანალიზის შედეგებს, შეიძლება აიხსნას რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი საინტერესო დასკვნა: ცნობადობის მაღალი ხარისხის მიუხედავად, კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციას იშვიათად იღებენ არაფორმალური წყაროებიდან (მაგ: ნაცნობ-მეგობრებისა და ოჯახის წევრებისგან).

ფოკუსჯუფებისგან მიღებული ინფორმაცია მოწმობს, რომ ამ ტერმინს მონაწილეები არა მხოლოდ კარგად იცნობენ, არამედ სათანადოდაც აცნობიერებენ.

სავარაუდოდ, ფართოსაზოგადოებისთვის/ყოველდღიური სამეტყველო ენის დონეზე ის ჯერ კიდევ არ არის აქტიურად გამოყენებული ლექსიკონის ნაწილი.

„კლიმატის ცვლილებაში“ მოაზრებულ კონკრეტულ მოვლენებზე მსჯელობისას, იკვეთება ორი ტენდენცია:

1. ლექსიკა შემოიფარგლება თვითონ ამ მოვლენათა სახელწოდებებით (მაგ: „მეწყერი“, „გვალვა“, „ნიადაგის გამოფიტვა“ და ა.შ.) - ანუ მსჯელობის თემა განისაზღვრება ვიწროდ, კონკრეტულ დონეზე (და არ განზოგადდება „კლიმატის ცვლილებამდე“), ან პირიქით,

2. მსჯელობის თემა მოიაზრება უფრო ფართო კონტექსტში - როგორც ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული ნებისმიერი ფენომენი (რაც გამოიხატება ტერმინით „ეკოლოგიური“/„ეკოლოგია“):



მოდერატორი: რა წყაროებით იღებთ ინფორმაციას კლიმატის ცვლილების შესახებ?

ზურაბი: ჩემი გამოცდილება; პირადი საუბრები, ნაცნობ-მეგობრები; მაგალითად, მოსავალი ვერ ძივიღეთ, გვალვაა, მიწა გამოიფიტა, სეტყვაა და ვსაუბრობთ, მაგალითად სამსახურში, ქეიფის დროს, შესჩივიან ადამიანები ერთმანეთს, შეიძლება ავტოგასამართ სადგურზეც. ამით ვცხოვრობთ და ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესოა”
(დედოფლისწყარო, კაცი, 51წ).

...”ეკოლოგია, თუ გადავხედავთ მსოფლიოში რა ხდება, ბევრი საშინელი მაგალითია: მყინვარები დნება, ბუნება იცვლება”

(ბათუმი, ქალი, 51წ).

პირველი ციტატის სახით, საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როდესაც მსჯელობის თემის/ობიექტის იდენტიფიკაცია კონკრეტული მოვლენების დონეზე რჩება და არ ხდება მისი განზოგადება „კლიმატის ცვლილების“ დონემდე; მეორე შემთხვევაში კი, ის სცდება „კლიმატის ცვლილების“, როგორც კონცეპტის ფარგლებს და უფრო ფართო კონტექსტში („ეკოლოგიური“/„ეკოლოგია“) მოიაზრება.

■ ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „კლიმატის ცვლილების“, როგორც ტერმინის გამოყენების გააქტიურების საჭიროება ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის კუთხით ერთ-ერთ უმნიშვნელოვნეს გამოწვევას წარმოადგენს.

■ ერთი მხრივ, დგება მისი გაცნობიერების დონის შემდგომი ამაღლების საკითხი: ვინაიდან კლიმატის ცვლილება გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე - გლობალური დათბობა, მათი გაიგივების შემთხვევაში, ბუნებრივია, არსებითად გართულდება „კლიმატის ცვლილების“ შესაბამისი აღქმა, განსაკუთრებით, ამ ტერმინის შინაარსის იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელიც „გლობალურ დათბობაში“ არ მოიაზრება.

■ მეორე მხრივ, იყვეთება ამოცანა, რომ ტერმინი გადანაცვლდეს აქტიურად გამოყენებულ სიტყვათა ლექსიკონში - „კლიმატის ცვლილება“, საყოველთაოდ ცნობილთან ერთად, საყოველთაოდ გამოყენებადი ტერმინიც გახდეს.

შესაბამისად, რეკომენდებულია, ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები (მაგ: ტრენინგპროგრამები/კურსები) იყენებდეს ინტენსიური განვითარების ტაქტიკას, როგორც კონცეპტუალურ ჩარჩოსთან, ისე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებთან მიმართებით.

ამ კონტექსტში უაღრესად სასარგებლო იქნებოდა ფსიქომეტრიკისა და განათლების ექსპერტთა ჩართვა პროცესებში, როგორიცაა: კონკრეტული აქტივობების დაგეგმვა, შეთავაზებული ტრენინგპროგრამების/კურსების შეფასება, პრეტესტებისა და პოსტტესტების შემუშავება და მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება;

ტერმინოლოგიაზე მუშაობისას, რეკომენდებულია გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი გამოწვევა არც მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისთვის დგას და არც მხოლოდ ლინგვისტურ ფაქტორებს უკავშირდება.

ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების ამსახველი სამეცნიერო-კვლევითი წყაროებისათვის დოკუმენტების მოძიება/გათვალისწინება.

მოდერატორი: “ქეთი, ტერმინი “კლიმატის ცვლილება”
თუ გსმენიათ და რას გულისხმობთ მასში?

ქეთი: “კი მსმენია და ასოცირდება გლობალურ
დათბობასთან.”

(თბილისი, ქალი, 32 წ).

2.4.

კლიმატის ცვლილების შედეგები და მათი მნიშვნელობის შეფასება/ გაცნობიერება

დამოუკიდებელი შეფასების
ძალაშენიშვნი

ამ ეტაპის დასაწყისში ფოკუსიზმის მონაწილეებს
განუმარტეს ტერმინები
„კლიმატი“ და „კლიმატის ცვლილება“.

უშუალოდ კლიმატის ცვლილების, როგორც ტერმინის
შესახებ დისკუსიისა
და განსაზღვრებების მიწოდების შემდეგ, დისკუსია
გაგრძელდა კითხვით:

„ჩვენ უკვე ვისაუბრეთ კლიმატის
ცვლილებისა და მისი შედეგების შესახებ.
რომელი მათგანი ახასიათებს თქვენს
ქალაქს? რეგიონს? სოფელს?

და ბოლოს, დისკუსია ფოკუსირდა დასკვნით/შემაჯამებელ
შეფასებებზე:

- რამდენად მნიშვნელოვანი გამოწვევაა კლიმატის
ცვლილება მსოფლიოსთვის?
- რატომ? საქართველოსთვის?
- რატომ? თქვენი რეგიონისთვის?
- რატომ? თქვენი ქალაქისთვის/სოფლისთვის?
- რატომ? პირადად თქვენთვის? რატომ?

(ინსტრუქციის მიხედვით, მოდერატორი უნდა ჩასძიებოდა
თითოეულ მონაწილეს და მიეღო რაც შეიძლება მეტი
კონკრეტული ინფორმაცია).

დასკვნით ეტაპზე კლიმატის ცვლილების მნიშვნელობა
უნდა შეფასებულიყო 5-ჭელიანი სკალით, როგორც
გლობალური, ისე ეროვნული და რეგიონული/ლოკალური
დონეებისთვის

(სადაც 1 ნიშნავს „სრულიად უძნიშვნელოა“, ხოლო 5 -
„ძალიან მნიშვნელოვანია“).

შენიშვნა:

ტერმინი „კლიმატის ცვლილება“ ფოკუსირებულის გზამკვლევის შეკითხვებში შევიდა
მას შემდეგ, რაც მოდერატორმა განმარტა. მანამდე მას მხოლოდ მონაწილეები
ახსენებდნენ და იყენებდნენ მსჯელობაში.

2.5.

კლიმატის ცვლილების შედეგები და მათი მნიშვნელობის შეფასება/ გაცნობის ჩარიცხვა - ზოგადი შედეგები

კლიმატის ცვლილების შედეგებზე
ფოკუსირებისას შენარჩუნდა ის ზოგადი
ტენდენციები, რომლებიც გამოვლინდა
ძირითადი გამოწვევების გაანალიზებისას:

**კლიმატის ცვლილება
გლობალური მასშტაბით
უძნიშვნელოვანეს
(უმაღლესი ხარისხის)
გამოწვევად აღიქმება**

■ გამოვლინდა განსხვავება საცხოვრებელი ადგილის/დასახლების ტიპის მიხედვით: დიდი ქალაქების - თბილისისა და ბათუმის ჯაფებში კლიმატის ცვლილებას, როგორც გამოწვევას, რეგიონულ/ლოკალურ დონეზე უფრო ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე გლობალურ დონეზე, მაშინ, როდესაც სხვა ჯაფებში კლიმატის ცვლილება სამივე დონეზე ერთნაირად ფასდება - როგორც უმაღლესი ხარისხის გამოწვევა;

■ კლიმატის ცვლილების შედეგების აღქმა და შეფასება არსებითად ემთხვევა ძირითად გამოწვევებთან დაკავშირებული დისკუსიდან მიღებულ ინფორმაციას (როდესაც მსჯელობის საგანი იყო არა მხოლოდ კლიმატის ცვლილება არამედ ზოგადად ძირითადი გამოწვევები). ეს იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ კლიმატის ცვლილების ზოგად გაგებასა და მნიშვნელობას მის განმარტებამდეც კარგად იყო გაცნობიერებული), თუმცა დისკუსიის ამ ეტაპზე მიღებული ინფორმაცია უფრო კონკრეტული, დეტალიზებული და მრავალფეროვანია.

■ კვლევის ამ ეტაპზე კიდევ უფრო გამოიკვეთა, რომ კლიმატის ცვლილების შედეგები მოიაზრება როგორც მნიშვნელოვანი ყოფითი და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გამოწვევების განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ აწყობზე, არამედ მომავლის პერსპექტივაზეც (განვითარების პოტენციალის შემცირების მოლოდინი, საფრთხეებისა და რისკების განცდა და ა.შ.)

■ კვლევის ამ ეტაპზე კიდევ უფრო გამოიკვეთა, რომ კლიმატის ცვლილების შედეგები მოიაზრება როგორც მნიშვნელოვანი ყოფითი/ყოველდღიური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის გამოწვევების განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ აწყობზე, არამედ მომავლის პერსპექტივაზეც - ამცირებს განვითარების პოტენციალს, ზრდის საფრთხეებსა და რისკებს და ა.შ.).

2.5.1. გლობალური დონე

დისკუსიის შედეგების საფუძველზე ვასკვნით, რომ მონაწილეები „კლიმატის ცვლილებას“ უპირველეს გლობალურ გამოწვევად მიიჩნევენ, და ამ ნიშნით ჯერ უფერო განსხვავება არ შეინიშნება.

5-ქულიანი სკალით შეფასებისას, კლიმატის ცვლილებამ, როგორც გლობალურმა გამოწვევამ, ყველა ჯერ უძვირდეს შემთხვევაში ქულა (5) მიიღო:

“მე წედანაც აღვნიშნე, ჩემთვის ნომერი პირველი პრობლემა რაც არის სამყაროში ეგ არის, ძალიან ბევრი რადაცით”

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

“მე ვიტყვი რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეს პრობლემა მსოფლიოსთვის”

(ახმეტა, კაცი, 62 წ).

“ერთ ადგილას თუ არის პრობლემა, ე.ი. მთლიან მსოფლიოშია, იმიტომ, რომ გადადის მერე ეს პრობლემა. ამიტომ მთლიანად, ანუ თუ სადმე გაჩნდება მთელი მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია”

(ახმეტა, ქალი, 26 წ).

“მსოფლიოს უფრო ძეტი პრობლემა რა უნდა ჰქონდეს, თუ დედამიწაზე ისეთი რამ მოხდება, რომ ადამიანმა შეიძლება ვეღარ გაძლოს”? ”

(დედოფლისწყარო, კაცი, 57 წ).

“როგორც ვთქვი, გამყინვარებაც ხომ იყო. განუწყვეტლივ ხდება. მსოფლიოს ყველაზე დიდი პრობლემაა”

(დედოფლისწყარო, ქალი, 25 წ).

“მსოფლიოში კლიმატის პირობები ყველაზე მნიშვნელოვანია”

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).

“მსოფლიოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია”
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 26 წ).

**“თანამედროვე მსოფლიოსთვის კლიმატის ცვლილება
ძალიან მნიშვნელოვანია”**

(ბათუმი, ქალი, 31 წ).

“დღეის მასშტაბით მე ვფიქრობ, დიდი პრობლემა არის
კლიმატის ცვლილება. ეს არის სელოვნურად გამოწვეული,
თუ ბუნებრივად, ვფიქრობ, რომ ეს არის სერიოზული
პრობლემა იგივე სხვადასხვა ქვეყნებში შტორმები,
ხანძრები, წყალდიდობები და ღვარცოფები”
(ბათუმი, კაცი, 37 წ).

**“მყინვარების დნობა, წყალდიდობები, მთელი ამბავია
მსოფლიოში”**

(თბილისი, ქალი, 53 წ).

**“ახალი ვირუსების გამოცოცხლება მსოფლიოს
მასშტაბით, ნალექების მატება და ა.შ. სერიოზულია”**
(თბილისი, კაცი, 26 წ).

2.5.2. დიდი ქალაქები

დიდი ქალაქების - თბილისისა და ბათუმის ჯგუფების მონაწილეების გარკვეულ ნაწილში შეინიშნება ტენდენცია, რომ კლიმატის ცვლილება შედარებით ნაკლებად აღიქმება უშუალოდ მათი ქალაქის წინაშე მდგომ გამოწვევად.

ამავე ჯგუფებში მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კლიმატის ცვლილება მსოფლიოსთვის უფრო დიდი გამოწვევაა (5 ქულა), ვიდრე საქართველოსთვის (4 ქულა), ხოლო მათი ქალაქისთვის ამ პრობლემას საშუალო მნიშვნელობას ანიჭებს (3 ქულა). 3 ქულაზე ნაკლები შეფასება არ დასახელებულა.

დიდი ქალაქების - თბილისისა და ბათუმის ჯგუფების მონაწილეების გარკვეულ ნაწილში შეინიშნება ტენდენცია, რომ კლიმატის ცვლილება შედარებით ნაკლებად აღიქმება უშუალოდ მათი ქალაქის წინაშე მდგომ გამოწვევად.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფოკუსირება ხდება მათი ქალაქის წინაშე არსებულ რეალურ გამოწვევებზე (მაგალითად, ზღვის შემოტევა ბათუმში, 2013 წლის მეწყერი და წყალდიდობა თბილისში), ახსნას ძირითადად ისეთ მოვლენებში ეძებენ, რომლებსაც კლიმატის ცვლილებას არ უკავშირებენ, კლიმატის ცვლილებასთან კავშირში კი, უფრო სოფლის ტიპის დასახლებებს მოიხსენიებენ.

“სოვთ: ბათუმის შემთხვევაში, უჩვეულოდ თბილი ზამთარი გვაქვს. ერთის მხრივ, კი გვახარებს, წვიმა ნაკლებად არის, მიუხედავად იმისა რომ მიჩვეულები ვართ. ეგ შემიძლია დავასახელო, ეგ მაგალითი. სხვა გარემოში რომ ვცხოვრობდე, დავასახელებდი მეწყერსაც.



მოდერატორი:
მეწყერს სად
დაასახელებდით?

„**მაღალმაღალმთიან აჭარაში**, იმიტომ, რომ შავი ნიადაგია
და ძალიან ბევრი მეწყერული ზონაა“
(ბათუმი, ქალი, 31 წ).

„**უფრო მაღალმაღალმთიან აჭარაში** არ არის იმდენად
ნაყოფიერი მიწა და ამ წლებისთვის რაც იყო ადრე“
(ბათუმი, ქალი, 45 წ).

„**ჩემი სოფლიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა**”...
[თვითონ ბათუმის შესახებ უჭირს რაიმეს თქმა]
(ბათუმი, ქალი, 27 წ).

„**მე ვიტყოდი, რომ თქვენ რაც ჩამოთვალეთ პრობლემები**
აღბათ ყველაფერი აწუხებს ჩვენს რეგიონს, გვალვაც,
სეტყვაც, მეწყერსაშიმროებაც არის. **ბათუმთან**
ახლომდებარე სოფლებზე ძალიანია მაქვს ლაპარაკი“
(ბათუმი, ქალი, 38 წ).



მოდერატორი:
ბათუმისთვის რამდენად
მნიშვნელოვანია?

თამაზი: “არ ვიცი ამაზე პასუხი არ ძალია.”

მოდერატორი: “კარგი, მადლობა. ხომ არ აქვს, მაგალითად,
ადგილი ზოვის მიერ ნაპირის მიტაცებას?”

თამაზი: “**ნაპირის მიტაცებასთან დაკავშირებით, რა თქმა**
უნდა, ეს ახლა უფრო მე ვფიქრობ ამ ჰესებმაც გამოიწვია.
ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით რომ ზოვისპირა
ტერიტორიაზე სიახლე შეაქვს ნაპირები უფრო შემოსულია
შიგნით“

(ბათუმი, კაცი, 46 წ).

“**რაც შეეხება საქართველოსთვის, ვფიქრობ,**
ანალოგიურიპრობლემაც შეიძლებაიყოს. ანუ, მდინარეების
კალაპოტების ცვლილება **მაღალმაღალმთიან აჭარაში**
მეწყერ საშიში ზონები ძან ბევრი კერებია და აქედან
გამოწვეული პრობლემები ხშირად გვხდება”
(ბათუმი, კაცი, 37 წ).

“**უფრო მეტად მეწყერი არის.** ზემოთ მიმავალი გზები
სოფლებისკენ ჩამოდის ზოგჯერ. ჩემთან **სოფლებიც** არის
მეწყერის პრობლემები უფრო მეტად... და სხვა ებლა ებ
შტორმი და ეგეთი რამეები არ არის”

(ბათუმი, კაცი, 22 წ).

”

მოდერატორი:
მეწყერს სად
დაასახელებდით?

“გამოვლენის მასშტაბები შეიძლება დიდი არ იყოს, მაგრამ
რეგიონებში რაც ჩამოთვალეთ შეინიშნება”
(თბილისი, კაცი, 26 წ).

“შარშან თებერვლის თვეში მომიწია **მარწეულში ყოფნა**
და მაგ პერიოდსათვის იქ ყოველთვის სარწყავებია
გაშვებულია და პრობლემა არ ჰქონდათ თუმცა, შარშან
იყო გვალვა და ძალიან უჭირდათ და ჩიოდნენ ამას”
(თბილისი, კაცი, 29 წ).

**“თბილისში არა და რაიონთან მიმართებაში არ მაქვს
შეხება”**
(თბილისი, კაცი, 35 წ).

“მსოფლიოსთვის - 5, საქართველოსთვის - 4 და
თბილისისთვის - 3”
(თბილისი, ქალი, 53 წ).

“მსოფლიოსთვის - 5 ქულა, საქართველოსთვისაც - 5 ქულა
და თბილისისთვის - 3 ქულა”
(თბილისი, ქალი, 18 წ).

”

მოდერატორი:
2013-ში თბილისში რომ
იყო წყალდიდობა და
მეწყერი, გახსოვთ?

ელმირა: სასაფლაოებისკენ რომ ადიხარ, ამბობენ რომ
მეწყერ საშიში ტერიტორია არისო, ხუთ სართულიანების
მეტი არც უნდა აშენებულიყო და ამხელა კორპუსებია,
კიდე ამბობენ საირმეზე უზარმაზარი 16 სართულიანი
კორპუსები რომ არის თუ ჩამოეშვა და თავზე დაეცა ამ
ინფეციურს კარგი ამბავი იქნებაო, მასე ეხლა აქაც ვაკერი
უვანიაზე საერთოდ აკრძალულია აქ ისეთი მიწა არის,
ადრე წყარო იყო. აკრძალულია მანდ, მაგრამ აშენებენ.
მთელი რაიონია აშენებული.

(თბილისი, ქალი, 52 წ).

ახმეტის/თუშეთის ჯგუფების მონაწილეები კლიმატის ცვლილების მნიშვნელობას სამივე დონეზე (გლობალური, ეროვნული, რეგიონული/ლოკალური) უმნიშვნელოვანეს გამოწვევად მიიჩნევენ და შეფასებისას უმაღლეს ქულას (5) ანიჭებენ.

**მრავალფეროვანია
იმ მოვლენათა
სპექტრი, რომლებსაც
კლიმატის
ცვლილებას
უკავშირებენ:**

- მყინვარების დნობა
- საძოვრების გაუდაბნოება
- ატმოსფერული ნალექების: წვიმისა და თოვლის შემცირება, გვალვა, წყაროების დაშრობა/დაკარგვა
- ბზარები და ეროზიები მთებზე
- მეწყერი
- საშუალო ტემპერატურის მატება
- ტემპერატურების სწრაფი ცვალებადობა
- მიწის დეგრადაცია-გამოფიტვა
- სეტყვა
- ღვარცოფი
- მწერების ინვაზიურ სახეობათა გავრცელება
- მღრღნელების უცხო სახეობათა გავრცელება:

2.5.3. ახმეტა/ თუშეთი

“მნიშვნელოვანია, ძალიან. ვეტერინარი ვარ და სადთაც აპრილის თვეში მომიწია საძოვრებზე ჩასვლა. კი მქონდა გაგონილი მაგრამ იქ დამზვდა უდაბნო”
(ახმეტა, კაცი, 62 წ).

“ჩემი აზრით, ზუსტად კლიმატის ცვლილების გამო ხდება რომ ალვანი ისეტყვება, აქამდე ვის ახსოვს, რომ ალვანი ისეტყვებოდა ... ყველაზე შესამჩნევი რაც ბავშვობიდან მახსოვს და ეხლა აღარ არის მყინვარები. მაგალითად, იგივე დიკლოს მთა, რომელზეც მთელი წლის განმავლობაში ყინულის საფარი ნარჩუნდებოდა და ახლა აღარ ნარჩუნდება. იგივე, ატმოსფერული ნალექი, რაც გამოიხატება იმაშიც რომ წყაროები რომლებიც დავუშვათ 20 წლის წინ, ბუნებრივ წყაროებს ვგულისხმობ, მთიდან გამოდიოდა ეხლა შრება, აღარ არსებობს, გაქრა, დაიკარგა. მეწყერებიც იგივე თუშეთის გზაზე ჩამოწოლილი მეწყერი ალბათ ყველაზე კარგი მაგალითია იმისა, რომ მოიმატა მეწყერების რაოდენობამ. ეროზიებმა მოიმატა კიდევ მთებზე”

(ახმეტა, კაცი, 27 წ).

“საშუალო ტემპერატურის მატება შესამჩნევიცარის და თუ 2010 წელს მე მახსოვს და 2012 წელსაც დიდოვოლობები მე მახსოვს და საერთოდ თოვლი მოდიოდა ალვანშიც და თუშეთშიც დიდი და ზამთარში აუცილებლად მოდიოდა წელს მაგალითად არც შარშან თოვლი საერთოდ არ ყოფილა. თუ მოდის, ძალიან ცოტა და ეს ალბათ იმ მიზეზით, რომ ტემპერატურა იცვლება ძალიან სწრაფად. ასევე თუშეთის მაგალითზე თუ ვიტყვით, თუშეთში მე მინახავს მეწყული პროცესები რომლებიც დაწყებულია და ჯერ კიდევ 20 წლის წინ არ იყო და წელს უკვე შეიმჩნევა რაღაცა ბზარები, ერთზები რომლებიც თანდათან მასშტაბურ სახეს იდებს და თუ ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა საერთოდ ზოგადად შეიძლება სოფელსაც შეექმნას პრობლემა და მეწყური წმოვიდეს. ძალიან ბევრი პრობლემა გაჩნდა თუშეთში. აი, ის ტბაც, რომელიც იგივე მეწყულ პროცესებს უკავშირდება იმ ახალი ტბის გაჩენა დუმეთის გზაზე რომელმაც ორი კვირის განმავლობაში საერთოდ საავტომობილო მიმოსვლაც კი ჩაეტა. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება და ეს გამახსენდა ახლა”

(ახმეტა, კაცი, 20 წ).

“დიახ, საძოვრების გაუდაბნოებაა დაწყებული. ეს სურათი მკაფიო მაგალითია იმის რომ მოხდა იმ ადგილების გამოშრობა და უნაღუებობა პრობლემები გამოიწვია”

(ახმეტა, კაცი, 62 წ).

“ეს მყინვარების დნობა და ტემპერატურის აწევა არის და ეს მწერების ის რო იყო შემოჭრა თუ რაღაც, ებეც, მე მგონი, იქნება, იმიტომ, რომ, როგორც ვიცი, წელს თუშეთში იყო ძალიან ბევრი კალია, ამდენი საერთოდ არ არის ხოლმე, ძაან, თან ძაან დიდი ჯიში, თუ რა ვიცი რა ჰქვია, დიდი სახეობის კალიების შემოსევა იყო, ფაქტობრივად”

(ახმეტა, ქალი, 26 წ).

“გვალვები ყოველ წელს არის ხოლმე”

(ახმეტა, ქალი, 50 წ.).

**“გვალვა ზამთარშიც არის ფაქტობრივად, იმიტომ, რომ
არც თოვლია და არც ნაღუები, წვიმის სახითაც არ არის ... აი
ეს შარშანწინ იყო ღვარცფიცი წამოვიდა და, ფაქტობრივად,
თუშეთის გზა ჩახერგა, წალეკა, ძალიან დიდი მანძილი
და ამან გამოიწვია მერე საავტომობილო გზის გახსნის
დაგვიანება, საკმაოდ გვიან გაიხსნა ამის გამო გზა. გვალვა
აღვნიშნე უკვე. აი ჩემს ბავშვობაში იმშელა თოვლი
მოდიოდა, ძლივს დავდიოდი სკოლაში და ეხლა თოვლი
საერთოდ აღარ მოდის ზამთარში ... მეწყრული ზონები
არის თუშეთში და ძალიან ცუდად აისახება ხოლმე გზაზე”**

(ახმეტა, ქალი, 55 წ.).

**“აქამდე საერთოდ არ იყო არანაირი ხოჭო, კოლორადოს
ხოჭოა თუ რა არის, კარტოფილს რომ უჩნდება, ეგ გაჩნდა
და გაჩნდა რაღაც თხუნელის მსგავსი თაგვი, რომელიც
ანადგურებს კარტოფილს და ბოლქოვან ყველაფერს
აბსოლუტურად. ძალიან დიდი პრობლემაა მაგ მხრივ
... მყინვარების ღნობა, ფაქტობრივად, აქედან ჩვენ ვერ
ვხედავთ, მაგრამ ვხედავთ იმას, რომ თუშეთში რომ
მივდივართ, ის ზვავები რაც იყო, მერე უკვე აღარც ისინი
აღარ არის. ფაქტობრივად, ღლობალური დათბობა
ყველან ეხება ამას. გამოფიტულია ნიადაგი, მეწყრებიც
არის, რა ვიცი, ყველაფერია, რაც ჩამოთვალეთ
აბსოლუტურად. და, ვაიძე, ლოკოკინა გაჩნდა, ეს როგორ
დამავიწყდა. ეხლა უკვე მეშინია. ნაკვეთების დამუშავების
პერიოდი რომ მოდის, რაღაც ლოკოკინა გაჩენილი,
რომელიც ყველაფერს მინადგურებს და რაღაც ბუგრი
კიდე, ბუგრი ჰქვია, თუ რაც ჰქვია, მწვანე ლობიოს ისე
ჩაეხვევა, ადრე არ იყო ეს, ახალი რაღაცებია”**

(ახმეტა, ქალი, 57 წ.).

კლიმატის ცვლილების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებული მოვლენები აღიქმება უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორებად, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებასა და სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაზე, ამცირებს განვითარების პოტენციალს, ზრდის საფრთხეებსა და რისკებს:

იროდი: იგივე ტემპერატურის ცვალებადობა, მიწის გამოშრობა-დეგრადაცია, მყინვარების დნობა.



მოდერატორი: მიწის დეგრადაცია-გამოფიტვა, პირადად თქვენი სოფლის წინაშე თუ დგას, როგორც გამოწვევა?

იროდი: დიახ. ჩემს სოფელში, შენაქოში განხორციელდა პროექტი მიწის დეგრადაციასთან დაკავშირებით, მოხდა იმ ტერიტორიების შეღობვა, რომელიც გამოფიტული იყო და მიდის დაკვირვება ბალაზის საფარის აღდგენაზე. ბალაზის საფარის და გარკვეული მცენარეების გაქრობა გავლენას ახდენს ცხოველებზე, შემოსავლებზე და პირდაპირ არის მიბმული ამაზე. გარკვეული ბალაზი, რომელიც აღარ მოდის, საქონელზე, პირუტყვზე გავლენას ახდენს. ყველაფერი მოქმედებს თითოეულ ადამიანზე და მის შემოსავალზე.

მოდერატორი: თქვენს ოჯახზეც მათ შორის?

იროდი: დიახ

(ახმეტა, კაცი, 55 წ).

„ძირითადად საშუალო ტემპერატურის მატება, გვალვა, რაც არის. ალბათ, მიწაც არის გამოფიტული, ამას თავისი კვლევა სჭირდება, მაგრამ ის, რომ მოსავლიანობამ მოიკლო, ამაზეც მეტყველებს, ხო, ალბათ, რომ მიწა ალარ არის, სავარაუდოდ“

(ახმეტა, ქალი, 50 წ).

„კი, ჩვენი რეგიონისთვისაც 5 ქულით. ახლა თუშეთს როგორც ბიზნესის თვალსაზრისით ვიტყვი, რადაც მომავალს უწინაწარმეტყველებდნენ. იყო ლაპარაკი ვერტმფრენების ყოველთვიურ თუ არა... მოკლედ სისტემატურ გადაფრენაზე და საზამთრო კურორტად გადაქცევაზე. ეს უკვე მეტყვება, პრობლემა იქნება თუშეთისთვის. თოვლი არ არის ფაქტობრივად. არანაირი თოვლის საფარი არ არის, რომ ზამთრის კურორტად გადაიქცეს თუშეთი. ძან დიდი პრობლემა არის, ზოგადად, გვალვა არის პრობლემა თუშეთში. ყველაფერი შეცვლილია. სულ სხვანაირი მცენარეთა საფარი“

(ახმეტა, ქალი, 57 წ).

2.5.4 მაღალმთიანი აჭარა

მაღალმთიანი აჭარის ჯუფების მონაწილეები (ახმეტის/თუშეთის ჯუფების მსგავსად) კლიმატის ცვლილების მნიშვნელობას სამივე დონეზე (გლობალური, ეროვნული, რეგიონული/ლიკალური) უმნიშვნელოვანეს გამოწვევად მიიჩნევენ და შეფასებისას უმაღლეს ქულას (5) ანიჭებენ.

მრავალფეროვანია იმ მოვლენათა ჩამონათვალი, რომლებსაც კლიმატის ცვლილებას უკავშირებენ:

- ატმოსფერული ნალექების შემცირება: წვიმისა და თოვლის გაიშვიათება, გვალვა, „წყლის დაშრობა“ და, შესაბამისად, სარწყავი და სასმელი წყლის დეფიციტი
- მეწყერი
- საშუალო ტემპერატურის მატება
- მიწის დეგრადაცია/გამოფიტვა
- სეტყვა
- ძლიერი ქარი/ქარიშხალი
- წყალდიდობა, დროდადრო უხვი ნალექი წვიმის სახით
- მწერების ინვაზიურ სახეობათა გავრცელება

მაღალმთიანი აჭარის ჯდუფების წარმომადგენლებიც საუბრობენ, რომ კლიმატის ცვლილების შესაძლო შედეგებს მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს როგორც ყოველდღიურ ცხოვრების წესზე, ისე სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაზე. მათი თქმით, მეწყერები რეგიონის ზოგიერთი სოფლისთვის მთავარი რისკფაქტორია:

„ჩვენი რეგიონისთვისაც, საქართველოსთვისაც და მსოფლიოსთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია კლიმატური პირობების შეცვლა და ძალიან არის შეცვლილი. მე რაც მახსოვს ბავშვობიდან, და რასაც ვაკვირდები, კლიმატი ძალიან შეიცვალა“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ).

„საქართველოში კლიმატის პირობები ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ბიზნესისთვის, იქნება ეს სოფლის მეურნეობა თუ მიწათმოქმედება. ბევრი მიწათმოქმედი, მევენახე ან სხვა დარგის წარმომადგენელი დამოკიდებული არის კლიმატზე“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).

„ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).

“მიწის გამოფიტვა, შემდგომ უჭირს ყოველთვის ზაფხულში სოფლის მეურნეობას, რადგან გამუდმებით ჭირდება მორწყვა, რათა მოვიდეს მოსავალი. წყლის დამრობა არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გლობალური დათბობის დროს”

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).

“უხვი თოვლი რომ მოვიდეს, ცოტა შენარჩუნდება მისი გალოობა, ზაფხულში გვექნება სარწყავი წყალი, ასევე დასალევი წყალიც. ზამთარში რომ თოვლი არ მოდის, მიწაც გამოიფიტა”

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ).

“ყოველივე თქვენს მიერ ჩამოთვლილი მოქმედებს ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებშე. პირველი ფაქტორი არის ის, რომ ეს არ არის ვაკე ადგილი, დამრეცია, მდინარის კალაპოტი დიდდება და მდინარისპირა სახნავ-სათესი მიწების დატბორვა მოხდა, მეწყერი”

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ).

“მეწყერი მვაწუხებს, წყალდიდობა, ფაროსანა მეტ-ნაკლებად”

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 53 წ).

“კლიმატთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ რამოდენიმე დღის წინ ისეთი სიცხე იყო, რომ ჩვეულებრივი მოკლე მაისურით დავდიოდი. რაც შეეხება მწერებს, იყო რა თქმა უნდა, სეტყვაც”

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 26 წ).

„ჩემს სოფელს, მაგალითად, ტემპერატურის მატება ახასიათებს, გვალვები ახასიათებს, ძლიერი წვიმები. მაგალითად, წესელ მოვიდა ძალიან უხვი ნალექი ჩემს სოფელში და მე მგონი, მთლიანად ზემო აჭარაში. იმდენად, რომ მდინარის კალაპოტი არის... რამდენჯერმე გავისხედე გარეთ ისეთი ხმაური იყო და ისეთი წვიმა მოვიდა. გვალვების შედეგად სოფლებში, მაგალითად, ძალიან წყდება წყალი, წყაროები მრება. უხვი თოვლი ამ ბოლო წლებში არ მოსულა მაგრამ ერთი ორი წლის წინ იყო, ისეთი თოვლი იყო რომ სახლები ხალხმა რამდენჯერმე ჩამოფერთხა, როგორც ჩვენთან იციან. ყველაფერი თითქმის, ქარი თუნდაც. მოსავლის აღების პერიოდში, შემოდგომის პერიოდში, მაგალითად, ყურძენზე და ასეთ რამებზე იმოქმედა. ისეთი ქარი იყო, რომ კაკლები ჩამოფერთხა. ხილზე და ყველაფერზე ძალიან დიდი გავლენა აქვს ... ფაროსანამ გაგვანადგურა. ორი წლის განმავლობაში ხილი და ბოსტნეული ნორმალური არ მოგვიწევია ჩვენ“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).



მაღალმთიანი აჭარა

ანუ, გამოფიტვას ვგულისხმობ და
ტემპერატურის მატებას. მეწყერიც ძალიან
ხმირია ჩემს სოფელში

ქალი, 35 წ.

„გვალვებია და არ მოდის ნალექი, ზაფხულში მიწა გამომშრალია და უჭირს მოსავალს მოსვლა. როგორც წელან აღვნიშნე, მცენარეები გახმა, წიწვოვანი მცენარეები ... მეწყერის საშიშროება. სახლებიც კი ჩაუყოლებია მეწყერს“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ).

დედოფლისწყაროს ჯგუფების მონაწილეებიც (ახმეტის/თუმეთისა და მაღალმთანი აჭარის ჯგუფების მსგავსად) კლიმატის ცვლილების მნიშვნელობას სამივე დონეზე (გლობალური, ეროვნული, რეგიონული/ლოკალური) უმნიშვნელოვანეს გამოწვევად მიიჩნევენ და შეფასებისას უმაღლეს ქულას (5) ანიჭებენ.

ორივე (როგორც
ქალების, ისე კაცების)
ჯგუფის მონაწილეები
დედოფლისწყაროს
უძავრეს გამოწვევად
წყლის რესურსების
დეფიციტს ასახელებენ.

ჩამონათვალში ასევე ფიგურირებს:

- აზმოსფერული ნალექების შემცირება:
წვიმისა და თოვლის გაიშვიათება, გვალვა
- გაუდაბნოება
- საშუალო ტემპერატურის მატება
- მიწის დეგრადაცია-გამოფიტვა
- ქარები, ქარიშხლები
- „ბუნების რიტმის არევა“/სეზონების სახეცვლილება

2.5.5 დედოფლისწყარო

„მსოფლიოსთვისაც, საქართველოსთვისაც, დედოფლის-წყაროთვისაც უმაღლესი ქულით ვაფასებ. კლიმატზე ყველაფერი დამოკიდებული. მოსავალი აღარ მოდის. წყლები დაშრა კი არა, გაქრა დედოფლისწყაროში“

(დედოფლისწყარო, კაცი, 28 წ).

„დათბობა, მიწის დეგრადაცია, გვალვა, წყლის გაქრობა, ყველაფერს ვეთანხმები და 5 ქულით ვაფასებ. საქართველოს სხვა რეგიონებშიც მეწყერებია, ყინული დნება მწვერავალებზე. ყველგან ძალიან მნიშვნელოვანია“
(დედოფლისწყარო, ქალი, 52 წ).

„ტემპერატურის მატება, უწყლოობა, გვალვა, გაუდაბნოებაა დაწყებული. უდაბნომდეც ბევრი არაფერი აკლია“

(დედოფლისწყარო, კაცი, 51 წ).

„ბუნების რიტმი აირია“

(დედოფლისწყარო, კაცი, 27 წ).

„ქარები, ქარიშხლები, გვალვა, მიწის დეგრადაცია, ყველაფერი...“

(დედოფლისწყარო, ქალი, 36 წ).

„სეზონები იცვლება“

(დედოფლისწყარო, კაცი, 27 წ).

„ნალექი ცოტაა; სეზონი სეზონს აღარ ჰგავს“
(დედოფლისწყარო, ქალი, 41 წ).

კლიმატის ცვლილების შესაძლო შედეგებთან დაკავშირებული მოვლენები აღიქმება უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორებად, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებასა და სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაზე, ამცირებს განვითარების პოტენციალს და ზრდის საფრთხეებსა თუ რისკებს. მონაწილეები მიუთითებენ რეგიონის „დაცარიელების“ საშიროებაზე:

„ყველაფერს ხელი ეშლება, ხალხი მიდის აქედან, **მალე აღარავინ დარჩება**“

(დედოფლისწყარო, ქალი, 45წ).

„უწყლობა ბევრ პრობლემას ქმნის, ადამიანს ჰიგიენა სჭირდება, საჭმელი, სასმელი, სარწყავი წყალი“

(დედოფლისწყარო, ქალი, 29წ).

„ხალხმა აღარ იცის **საქონელი სად აძოვოს**“

(დედოფლისწყარო, ქალი, 67წ).

„**მზესუმზირა თითქმის აღარ მოჰყავთ**“

(დედოფლისწყარო, ქალი, 5 წ).

„გამოფიტულია მიწა და სოფლის მეურნეობით რომ ადამიანი ცხოვრობს, რას იზამს?“

(დედოფლისწყარო, ქალი, 41წ).

„**მესაქონლეობა შემცირდა, საძოვრები აღარ არის**“

(დედოფლისწყარო, კაცი, 57წ).

„მევენახეობა შემცირდა“

(დედოფლისწყარო, კაცი, 51 წ).

„**მარცვლეული კულტურების მოყვანა ვცადე, მაგრამ არ გააძართლა: გაზაფხულზე წვიმა აღარ მოვიდა.** უცხოეთიდან ჩამოვედი, აქ მინდოდა ბიზნესის დაწყება, მაგრამ, როგორ ვიცხოვრო? ან ვინ როგორ გაძლიებს აქ?“

(დედოფლისწყარო, კაცი, 27წ).

შენიშვნა: ახმეტის/
თუშეთის ჯგუფებში ეს
საშიროება იმიტომ
არ გამოვლინდა,
რომ ეს რეგიონი უკვე
„დაცარიელდა“ -
მუდმივი მცხოვრები
იქ, ფაქტორივად, აღარ
არიან.

თბილისისა და ბათუმის ჯგუფების მონაწილეთა გარკვეულ ნაწილში გამოვლენილი განსხვავება მნიშვნელოვანწილად იმით შეიძლება, რომ კლიმატის ცვლილების შედეგების ზეგავლენა უფრო აშკარაა სოფლის ტიპის დასახლებებში იგრძნობა, სადაც ადამიანები უშუალოდ აღიქვამენ ბუნებრივ გარემოში მიმდრინარე ცვლილებებს, რომლებიც უშუალოდ აისახება მათ ყოფით და სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობაზე. დიდ ქალაქების მცხოვრები კი, ამ თვალსაზრისით, შედარებით დაცულად გრძნობენ თავს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სწორედ დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში ცხოვრობს, ამასთან, სოფლებიდან ქალაქებისკენ მიგრაცია კვლავ ინტენსიურად გრძელდება, მიზანმერწონილია, დიდ ქალაქებში გამოვლენილი ტენდენციის მაქსიმალურად გათვალისწინება.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ ქალაქებში ზოგადი ინფორმირებულობის/თეორიული ცოდნის უფრო მაღალი დონეა მოსალოდნელი, კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების აღქმის, მათ მიმართ დამოკიდებულების პერსპექტივაში, ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, შეიძლება, სწორედ დიდი ქალაქების მოსახლეობაში იდენტიფიცირდეს სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ყურადღების განსაკუთრებულ კონცენტრირებას საჭიროებს.



„მესაქონლეობა შემცირდა, საძოვრები აღარ არის“
(დედოფლისწყარო, კაცი, 57წ).



კლიმატის
ცვლილების მიმართ
პასუხისმგებლობის
განაწილების
მექანიზმები

ფოტო: თავის რობერტი



კლიმატის ცვლილება სოციალურ პერსპექტივაში


კლიმატის ცვლილების
მიმართ პასუხისმგებლობის
განაცილების მექანიზმები



კლიმატის ცვლილება
სოციალურ პერსპექტივაში

3

ამ მექანიზმების კვლევა ჩატარდა როგორც
გამოცდილების, ისე პრეფერენციების
გათვალისწინებით.



3.1.

პასუხისმგებლობის
განაცილების
მექანიზმები -
გამოცდილების
პერსპექტივა



კლიმატის ცვლილების შედეგების, აგრეთვე, მათთან დაკავშირებული სირთულეების, საფრთხეებისა და რისკების განხილვის ძემდეგ, ყურადღება გამახვილდა ძირითად აქტორებზე, რომლებიც მონაწილეობენ ამ პრობლემებთან გამკლავებაში. კერძოდ, შეფასდა მათი საქმიანობა, წვლილის მნიშვნელობა და ეფექტურიანობა.

პოტენციურ ძირითად აქტორთა ჩამონათვალში განიხილებოდა: სახელმწიფო (მათ შორის, ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები), ფონდები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბუნებისდაცვითი ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები/დონორები, ბიზნესორგანიზაციები და წებისმიერი სახის სამოქალაქო ინიციატივები. როდესაც ფოუსურებულის მონაწილეები არ ეხებოდნენ ამ ჩამონათვალის რომელიმე წევრს, მოდერატორი ახსენებდა მათ დამაზუსტებელი კითხვით.

წარსული გამოცდილებისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით, ამ საკითხებზე მსჯელობისას ძირითადად, სამი აქტორი ფიგურირებს: სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები/დონორები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობები, ამ თვალსაზრისით, აღიქმება ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების მიმართ გამოჩენილ კეთილ ნებად. ძალიან დიდია მადლიერების გრძნობა მათდამი და მაღალ დონეზე ფასდება ამ სტრუქტურების წვლილი/როლი.

ადსანიშნავია, რომ ხშირად ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები იმ საერთაშორისო ორგანიზაციების/დონორების კონტექსტში განიხილება, რომლის დაფინანსებითაც აზორციელებენ ამა თუ იმა აქტივობას.

თუმცა, კონკრეტული სირთულეების მოსაგვარებლად, უპირველესი ადრესატია სახელმწიფო. სახელმწიფოს (ცენტრალური ხელისუფლების თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) მიმართ კრიტიკას ტენდენცია პრობლემის მოგვარების მასშტაბს უფრო უკავშირდება, ვიდრე შესრულებული სამუშაოების ხარისხს. კრიტიკულად განწყობილი მონაწილეების ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ სახელმწიფოს აქტივობები ამ კუთხით არასაკმარისია, ხოლო რეაგირება, ცალკეულ შემთხვევებში - დაგვიანებული.

სავარაუდოდ, გარკვეულწილად, სწორედ ამ უკმარობის განცდას უკავშირდება რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი შედეგი, რომლის თანახმადაც, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების მართვის შესაძლებლობის თვალსაზრისით, სახელმწიფოს მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება ვლინდება:



მაღალმოიანი აქარნა

იმიტომ რომ ... ხელისუფლება ამდენ
რაღაცას მარტო ვერ გასწვდება და ვერც
სწვდება, ფაქტობრივად

ქალი, 43 წ.

რაც შეეხება უკვე განხორციელებულ აქტივობებს მონაწილეები, ძირითადად, დადებითად აფასებენ და მოსახლეობის კმაყიფილებაზე მიუთითებენ.

3.1.1. ბათუმი

ბათუმის ჯგუფებში ძირითადად დასახელდა: ზღვის შემოტევის საწინააღმდეგო ჯებირების აგება, დიაგნოსტიკური (გეოლოგიური) და გზების გამაგრებითი სამუშაოები, მეწყერსაწინააღმდეგო პროექტები და ხე-ტყის განაშენიანება:

„ახალი ბულვარის მხარეს გაკეთებულია ჯებირები და საკმაოდ კარგადაც, ასე რომ ვთქვათ. ადრე დიდი ტალღების დროს წყალი ამოდიოდა თითქმის გზასთან და ეხლარომგააკეთეს ეგჯებირები, შეამცირა ... მეწყერსაშიში ზონების მოწესრიგება ხდება“

(ბათუმი, კაცი, 22 წ).

“მეწყერსაშიში ზონების მოსაწესრიგებლად? სადაც შესაძლებელია გეოლოგიური დასკვნები ტარღება რასაც შეესაბამება მაგალითად გზების სამაგრი სამუშაოების გაკეთება არის ჯებირების გაკეთება და ჩამოსხმაა”

(ბათუმი, კაცი, 46 წ).

„ანუ მეწყერ საწინააღმდეგო პროექტები ხორციელდება“
(ბათუმი, კაცი, 37 წ).

„აი, მაგალითად მე შემიძლია დავასახელო ნაპირგასამაგრი სამუშაოები ადლიის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამაც შეაჩერა მიწის მიტაცების პროცესი“

(ბათუმი, ქალი, 31 წ).

„სამუშაოებს ასრულებს სახელმწიფოს მიერ დაქირავებული კომპანია. ზუსტად არ ვიცი სახელი“
(ბათუმი, კაცი, 22 წ).

„სახელმწიფო თავისთავად. გზებს თავისთავად საგზაო დეპარტამენტი აწესრიგებს“

(ბათუმი, კაცი, 46 წ).

შესრულებული სამუშაოები, უპირველესად, ასოცირდება სახელმწიფოსთან (როგორც ადგილობრივ, ისე ცენტ-რალურ თრგანოებთან), შემდეგ კი - საერთაშორისო/დონორ და არასამთავრობო (მათ შორის, გარემოსდაცვით) ორგანიზაციებთან:

„მაგალითად, ეკროკავშირის გრანტები აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სხვადასხვა კუთხით უწყობს ხელს. ეს შეიძლება იყოს ბიზნესის განვითარება, სოციალური პროექტების განვითარება ... გარემოს დაცვის ინსპექციები მუშაობს კიდევ, სახელმწიფო უწყება. თუმცა, მე მგონი, ეგენი უფრო იმას აკონტროლებენ რომ დეტალურად შემცირდეს ხეების უკანონო ჭრა და ამ მიმათულებით მუშაობენ“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი, თან საერთაშორისო ორგანიზაცია და კარგ პროექტებს ახორციელებს, გარემოს დაცვის მიმართულებით. ახლა სოფომ რომ ასსენა, გამახსენდა რომ სისტემატურად მიმდინარეობს აჯარის რეგიონში გზის გასწროვ, სამაგრების გაკეთება ნიადაგი რომ არ ჩამოიშალოს“

(ბათუმი, ქალი, 45 წ).

„ბუნების დაცვის, ანუ მე შემიძლია ვთქვა, რომ ხე-ტყის განაშენიანების ა მინახავს. ვთქვათ, მსგავს პროექტები ნაკლებად დანაგვიანების მხრივ პროექტები ყოფილა. აი, ჩემი ბავშვი ყოფილა, მათ შორის, ერთ-ერთი ჩართული მსგავს პროექტებში და ვფიქრობ არიან ჩართულები საშუალოდ მაინც“

(ბათუმი, კაცი, 37 წ).

შესრულებული სამუშაოების ხარისხი და მათი მნიშვნელობა, უმთავრესად, დადებითად ფასდება, მაგრამ გამოითქვა მოსაზრება, რომ რაც კეთდება, არასაკმარისია. ფოკუსჯგუფის მონაწილეთა ნაწილს აქვს განცდა, რომ ამ მიმართულებით არ არსებობს ერთიანი გეგმა, სისტემური მიღღომა და, უმთავრესად, გადაუდებელი სამუშაოები სრულდება:

„რასაც წვდება ადამიანის ხელი, ამას აკეთებენ, ამას ვხედავ“

(ბათუმი, კაცი, 46 წ).

„რადგან პროცესები შეჩერდა, აქედან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ კარგად არის სამუშაოები შესრულებული“

(ბათუმი, ქალი, 31 წ).

„ზოგადად, არ ვაქებ ხოლმე თვითმმართველობას, მაგრამ ამ შემთხვევაში შემიძლია ვთქვა, რომ ადგილობრივ დონეზე ყველაზე ეფექტური მაინც თვითმმართველობის მუშაობაა“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„ამ სფეროში სახელმწიფოს არ აქვს სისტემური მიღღომა და რეგიონი ვერაფრით ვერ იქნება რაღაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღები, თუმცა, რაღაც-რაღაცები კეთდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც, დავუშვათ, პირდაპირ კატასტროფის წინაშე ვართ. შეიძლება განვმეორდე, მაგრამ ეს ნაპირსამაგრი სამუშაოები გარდაუვალია, თორებ წაგვლევას ზღვა და, ბუნებრივია, ამას რომ აკეთებენ ძალიან კარგია. მაგრამ, გოთობალოური მიღღომა არ აქვს სახელმწიფოს, შესაბამისად, რეგიონსაც. ამიტომ, დაბალი დონით შევაფასებდი კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული პრობლემის მიძართ გაწეულ დონისძიებებს“

(ბათუმი, კაცი, 41 წ).

3.1.2. მაღალმთიანი აჭარა

მაღალმთიანი აჭარის ჯგუფებში დასახელდა ტექნიკის მობილიზება ღვარცოფებისა და მეწყერების დროს, დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება, წყალგაყვანილობის სისტემის რეაბილიტაცია, გამაგრებითი სამუშაოები და ტრენინგები კატასტროფებთან დაკავშირებით, ცნობიერების ასამაღლებლად:

„თუ მოვიდა ღვარცოფი, არის მობილიზებული ტექნიკა, თუ შენობა-ნაგებობა დაუნგრია უყიდიან, ან ადგილს შეუცვლიან ან სხვაგან გადაიყვანება“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41წ).

„ღვარცოფისა და მეწყერის საწინაამდღევო დონისძიებებს ატარებდნენ. ქედის მუნიციპალიტეტში გააკეთეს მსგავსი პროექტი. ბევრ სოფელში სანიაღვრე სისტემა მოწესრიგეს“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ).

„ეს ძირითადად ხდება ისეთი გადაუდებელი სამუშაოების შესრულების დროს, როგორიც არის, მაგალითად, მეწყერული მოვლენები, ღვარცოფი, ან სახლებთან არსებული მიწის ნაკვეთის ჩამოშლა, რაც საფრთხეს ქმნის“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34წ).

„მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, კიდევ, კატასტროფებთან დაკავშირებული ტრენინგები და მსგავსი რამეები ჩატარდა პირველად დახმარებებზე“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).

„პირადად ჩემს ოჯახს არა, მაგრამ ამ სოფელში ბევრ ოჯახს დაეხმარებან. მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობდნენ და გადაიყვანეს ცალკე საცხოვრებლად, ბინები აუშენეს“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ).

ფოკუსჯგუფების მონაწილეთა ინფორმაციით, ამ ღონისძიებებს, ძირითადად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ხორციელდება მოსახლეობის ჩართულობის/თანამონაწილეობის ინიცირებაც:

„რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის დახმარებით“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ).

„რა თქმა უნდა სახელმწიფო ბიუჯეტი და ევროკავშირის
გრანტია თუ არ ვცდები“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ).

„სამუშაოები - სახელმწიფომ, რა თქმა უნდა“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ).

ფოკუსჯგუფების
მონაწილეთა
შეფასებით, მოსახლეობა
ზოგადად კმაყოფილია
აღმოჩენილი
დახმარებით, მაგრამ
დახმარების მასშტაბი
საკმარისი არ არის:

„მე, მაგალითად, მსმენია, რომ არასამთავრობო
ორგანიზაციები სანიაღვრე სისტემების და რაღაცების
გაკეთებაში დაეხმარნენ. თანამონაწილეობით
მოსახლეობასთან“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).

„მე გამიგია, რომ სეტყვა იყო და სახელმწიფო დაეხმარა
დასეტყვილ მევენახეებს და მებოსტნეებს, ვისაც
დაუზიანდა მოსავალი“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 36 წ).

„საკმარისი არ არის, მაღალმაღალმთიანი რეგიონია,
როთული რელიეფია და გასაკეთებელიც ძალიან ბევრია, რა
თქმა უნდა, მაგრამ მოსახლეობა კმაყოფილი იყო“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ).

„დიახ, პირადად გეტყვით. როგორც მოგეხსენებათ, მე ვარ
მეფუტკრე. 5 წლის წინ მოხდა ისე, რომ დამეღუპა მთლიანდ
რაც იყო. მაშინ იყო ასეთი რაღაც: უნდა დაგეწერა პროექტი
და იმას აფინანსებდნენ. მეც დავწერ, მაგრამ დამიწურეს
და არ დააფინანსეს“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 53 წ).

„მოსახლეობა ამ მხრივ გამოთქვამდა ძალიან დიდ
კმაყოფილებას. იმიტომ რომ ან მიწისძვრის, ღვარცოფის,
დიდთოვლობის დროს, ვთქვათ, რაიმე ისეთი დაშავების
დროს პირველადი დახმარების გაწევა ხდება. მეც პირადად
კმაყოფილი ვიყავი“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).

„რა თქმა უნდა, კმაყოფილები იყვნენ ვინაიდან ბინები
გადაიყვანეს და მთავრობამ შეუსყიდა ბინები, აუმენა“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ).

3.1.3. ახმეტა/ თუშეთი

ახმეტის/თუშეთის ჯგუფებში, პირველ რიგში, მეწყერთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარება დასახელდა, რადგან მისი ჩამოწოლა კეტავს ცენტრალურ გზას. შესაბამისად, თუშეთი სახმელეთო საშუალებებით ხელმიუწვდომელი ხდება. ასევე აღინიშნა ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები და სასმელ წყალსა თუ მიწის გამოფიტვა-დეგრადაციასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მონაწილეთა ინფორმაციით, სირთულეებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, როგორც ადგილობრივ, ისე - ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართავენ, თუმცა, გამოითქვა უკმაყოფილება როგორც ოპერატორი რეაგირების, ისე შედეგების კუთხით: გარკვეულ შემთხვევებში მათ საპროტესტო გამოსვლებიც კი დასჭირდათ იმის გამო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს რეაგირება მოეხდინათ. ამასთან, სირთულეები ბოლომდე ჯერ კიდევ არ მოგვარებულა:

„თუშეთის გზასთან დაკავშირებით, ვიცი, რომ მიმართავენ გარკვეულ სტრუქტურებს და გამოსვლებიც ჰქონდათ, როგორც ძახოვს ქვემო აღვნის მოსახლეობას ამ გზასთან დაკავშირებით“

(ახმეტა, ქალი, 42 წ).

„აი, ძაან სერიოზული პრობლემა კი არა, უსერიოზულესი პრობლემაა ეს. აქციები არ უნდა გვჭირდებოდეს“
(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„სასძელწყალთან დაკავშირებითი ყობრობლების სოფელ ომალოში და არის და, მაგაზეც მივმართავთ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე ცენტრალურს ... როგორც ვიცი დაემატა ახალი რადაც რაოდენობა თუმცა ბოლომდე მაინც არ არის მოგვარებული, წყლის პრობლემა დღესაც დგას“
(ახმეტა, ქაცი, 27 წ).

„მე რა მაგალითიც მინახავს, ის არის რომ, ხალხს ადგილობრივ მთავრობასთან ან სახელმწიფოსთან გამოუხატავს პროტესტი რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა“

(ახმეტა, ქაცი, 32 წ).

„იგივე რა სიტუაცია მახსენდება მეწყერთან დაკავშირებით, პროტესტი, გამოსვლა რომ იყო ორი დღე და ამის მერე მიექცა უკვე უურადღება ... ნუ სავალი გზა გაკეთდა, ის მონაკვეთი კარგად გაკეთდა მაგრამ მთლიანი გზა მაინც გასაკეთებელია“

(ახმეტა, კაცი, 55 წ.).

აღსანიშნავია, რომ მონაწილეებმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს საერთაშორისო/დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ და ძალიან მაღალ დონეზე შეაფასეს მათი წვლილი თუშეთის განვითარებაში:

„უმეტესწილად ალბათ ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართავს მოსახლეობა, თუმცა თუშეთი ძირითადად დგას მაინც არასამთავრობო ორგანიზაციების კუთილ წებაზე იმიტომ რომ თუ რამე გაკეთდა თუშეთში და თუშებისთვის მათი ეკონომიკური ზრდისთვის, ეს ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების გამოისობით და ალბათ ისევ იმათ უნდა ვუმადლოდეთ ამ ყველაფერში ... თუნდაც, მაგალითად ჩეხეთის „კარიტასი“, „ჯიაიზეტი“ ... ისინი ყველანაირად ცდილობენ რომ თუშეთი განვითარების ჯაჭვში ჩააბან და თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ ყველაფერში“

(ახმეტა, კაცი, 20 წ.).

„ბევრი კუთდება დონორი ორგანიზაციების დახმარებით თუშეთისთვის და არ შეიძლება რომ არ აღინიშნოს, თან, ძალიან მნიშვნელოვანი, ანუ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროექტები კუთდება და ძალიან მნიშვნელოვანია“

(ახმეტა, კაცი, 27 წ.).



„ალბათ პირველი, ის, ვისაც ამ პრობლემებზე ხალხი მიმართავს, ეს არის ადგილობრივი მთავრობა. რა ვიცი, ძაინც რთული სიტუაცია როგორც ინფრასტრუქტურულად ისე ყველანაირად. თუმცა, რაღაცები კეთდება ნელ-ნელა ... მე ვფიქრობ, რომ არასამთავრობობი და საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან კარგ საქმეს აკეთებენ. მეც მქონია მათთან შეხება, ჩემს სოფელშიც რამოდენიმე პროექტი გაკეთდა. თუნდაც იგივე ნიადაგის დეგრადა-ცია - ჩვენთანაც არის შემომატებილი ელექტროდობით ტერიტორია სადაც სარეველა იყო გავრცელებული და საძოვრად აღარ გამოდგებოდა. დაახლოებით ათ ჰექტარამდე ტერიტორია და დღესდღეობით, მას უკვე მოსახლეობა იყენებს საქონლისთვის. მიმიტომ, რომ კარგი ბალახი წამოვიდა და სარეველა მოისპო. ამის გარდა კიდევ, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან გვერნიაცნობისასამაღლებელი ტრენინგები, რაღაც შეხვედრები“

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

3.1.4. დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს ჯგუფების მონაწილეებმა ძირითადად გაუდაბნოებასთან და სასმელი წლის დეფიციტთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათ მოვარებაზე გაამახვილეს ყურადღება. ამ პირთა ინფორმაციით, მოსახლეობა აქტიურად მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას, თუმცა სირთულეების მოვარებაში ასევე ჩართულნი არიან საერთაშორისო/დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციები. მაღალია სამოქალაქო აქტივობაც.

აღსანიშნავია, რომ დედოფლისწყაროს უმთავრესი პრობლემის - გაუდაბნოების გამო, მონაწილეები პასუხისმგებლობას აკისრებენ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ, ცენტრალურ ხელისუფლებასაც და შეუძლებლად მიიჩნევენ ამ პრობლემასთან გამკლავებას მხოლოდ რეგიონის რესურსებით. მათი აზრით, დასახვერია კანონმდებლობისა და აღსრულების მექანიზმები, რათა ბუნებრივი რესურსების მართვა და მონიტორინგი მოხერხდეს ბუნებრივ გარემოს მინიმალური დაზიანებით:

„კირ-ქვის წარმოება; კარიერული აფეთქებები, ტყის გაჩენვა; გადაწვები; მონკულტურების არაორგანიზებული მოყვანა, რომელიც ნიადაგს ფიტას; ეს ყველაფერი უნდა შეწყდეს“

(დედოფლისწყარო, კაცი, 45 წ).

„გადაწვა მოსავლის აღების შემდეგ ძალიან სერიოზული თემა; საძოვრების არარაციონალური გამოყენება მიწის დეგრადაციას, გამოფიტვას იწვევს“

(დედოფლისწყარო, ქალი, 52 წ).

აღინიშნა, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაზმარებით ბევრი რამ კეთდება. მაგალითად, ტარდება ტრენინგები და გაშენდა ქარსაფარი ზოლი, მაგრამ მისი დაცვა ვერ ხერხდება: მოსავლის აღების შემდეგ, მინდვრების გადაწვის გამო, ცეცხლი ქარსაფარზეც ვრცელდება და ანადგურებს. მონაწილეები მიიჩნევნ, რომ ბუნებრივი გარემოს დამაზანებელი ქმედებები მეტ მონიტორინგსა და სიმკაცრეს საჭიროებს, რაც შესაბამისი იურიდიული და ადმინისტრაციული ნორმებით უნდა დარეგულირდეს. სასურველია, ალტერნატიული საშუალებები შესთავაზონ და ცნობიერება აუმაღლონ ადამიანებს, რომ ასეთ გზებს ადარ მიმართონ:

„რამდენჯერმე მივმართეთ ცენტრალურ ხელისუფლებას, ჰარლამენტშიც იყო და ამ წუთშიც არის ჩვენი საკითხი, მაგრამ არ ეღირსა გადაწყვეტა“

(დედოფლისწყარო, ქალი, 52 წ).

„საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურობენ, ცდილობენ, ქარსაცვიც გააკეთეს, მაგრამ მთავრობა თუ არ გააქტიურდა, არაფერი გამოვა, ჩვენ ქვეყანაში მარტო ისინი რას იზამენ? კანონმდებლობაც შესაცვლელია და ზოგჯერ კანონი არის, მაგრამ მაინც არავინ ისჯება“

(დედოფლისწყარო, ქალი, 45 წ).

„ეს ადამიანები რომ რაიმეთი დააინტერესო, ცნობიერება აუმაღლოთ, თან კანონისაც ეშინოდეთ, იქნებ რაიმე გვემველოს“

(დედოფლისწყარო, ქალი, 67 წ).

3.1.5. თბილისი

თბილისის ჯუფებში კლიმატის ცვლილებას ნაკლებად აღიარებენ კონკრეტულად მათ წინაშე არსებულ გამოწვევად: როგორც ქალების, ისე კაცების პასუხები ძირითადად ზოგადი იყო. მონაწილეები ამ შემთხვევაშიც ისეთ საკითხებზე საუბრობდნენ, როგორიცაა დასუფთავებისა და მშენებლობის სირთულეები, ასევე, გამონაბოლქვი და საწვავის ხარისხი, პასუხისმგებლობას კი ამ კუთხით სახელმწიფოს აკისრებდნენ:

„**მოგვარების ბერკეტები არის სახელმწიფოს ხელში, რომ არ შემოუშვას ქვეყანაში დაბალი ხარისხის ევრო 1 ევრო 2 სტანდარტის საწვავი“**

(თბილისი, კაცი, 26 წ.).



მოდერატორი: ანუ,
წყალდიდობას
მშენებლობებს
უკავშირებთ?

ელმირა: კი მაგრამ ეხლანდელი **მთავრობა** უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მე არ ვარ ნამდვილად არავის მომზრე“

(თბილისი, ქალი, 52 წ.).

„**სახელმწიფომ, მაგალითად, კონტეინერები რომ დააყენონ სხვადასხვა ესეც ხომ ერთგვარი გამოსავალი იქნება**“

(თბილისი, ქალი, 60 წ.).



**თბილისის ჯგუფში გამოიკვეთა კერძო
კომპანიების/ბიზნესის პასუხისმგებლობაც:**

ვთვლი, რომ **დეველოპერი** კომპანიებისგან
შესაძლებელია რადაც საკითხების სხვაგვარად
მოგვარება - თუნდაც ნაკლებად შემაწუხებელნი
რომ იყვნენ მოსახლეობისათვის

თბილისი, კაცი, 26 წ.

3.2.

პასუხისმგებლების
განაწილების მექანიზმები -
პრევენციების
პერსპექტივა

არასამთავრობო ორგანიზაციები
მოქალაქეები ყველა თანამრად
საერთაშორისო
სახელმწიფო

„ამეტაპზევეთანხმები, რომადამიანებიახდენენ
გავლენას, მაგრამ ვიცი რომ ერთადერთი არ
ვართ ვინც გლობალური გათბობა გამოიწვია
დედამიწის არსებობის განმავლობაში“
(ობილისი, ქალი, 18 წ)

ადგილობრივი თვითმმართველობა

ორგანიზაციები

ბიზნესი

დიდი სახელმწიფოები

საგანმანათლებლო დაწესებულებები

3.2.1. ადამიანის როლისა და შესაძლებლობების ზოგადი შეფასება

პრეფერენციების პერსპექტივაში პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმებზე გადასვლას წინ უძღვდა ფოკუსირება ადამიანის როლსა და შესაძლებლობებზე კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით.

დისკუსია დაიწყო კითხვით:



როგორ ფიქრობთ, კლიმატის ცვლილება ადამიანისგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესია, რომელზეც ის მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ ახდენს, თუ, თავისი საქმიანობიდან/ბიზნესიდან და ყოველდღიური საჭიროებებიდან გაძომდინარე, ადამიანს გავლენა აქვს კლიმატის ცვლილებაზე?

მონაწილეთა უმრავლესობას უჭირდა ამ კითხვაზე კატეგორიული პასუხის გაცემა. პასუხების უმრავლესობა ფარდობითია და **მეორე დებულებისკენ არის გადახრილი** - „უფრო მეორეს“/„უფრო ადამიანის ზემოქმედებისკენ“ - ყველაზე ინტენსიურად სახელდებოდა. თუმცა, შესაძლო პასუხთა სპექტრი, ფაქტობრივად, სრულყოფილად იყო წარმოდგენილი. მათ შორის გვხვდებოდა უფრო პირველი დებულებისკენ გადახრილი პასუხები („გარდაუვალია, უბრალოდ ადამიანი ამ პროცესს აჩქარებს“), დებულებები, რომლებიც ორივე პოზიციისკენ ნაწილობრივ გადახრას გამოხატავს („ნაწილობრივ ორივეს“/„ალბათ ორივე შეიძლება იყოს“), ხოლო ზოგიერთ მონაწილეს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა („რა ვიცი, როგორ გავცე ამას პასუხი“).

„ადამიანის ფაქტორი არის უფრო მნიშვნელოვანი“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ).

„ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული. უნდა ვიკაროთ ცოტი“
(ახმეტა, ქალი, 26 წ).

„უფრო მეორე, ანუ ადამიანი აყენებს ზიანს ეკოლოგიას“
(ბათუმი, კაცი, 27 წ).

„ადამიანის ფაქტორი - ბუნებრივადაც ხდება მაგრამ ადამიანი ხელს უწყობს ამ ყველაფერს“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ).

„რა თქმა უნდა, შეუძლია ადამიანს. შეიძლება იმ მომენტისათვის როცა სეტყვა მოდის, ან ქარია, იმ მომენტისათვის ჩვენ ხელი ვერ შევეძალოთ, ანდაც ძალიან დიდი სიცხეა, მაგრამ ჩვენი ქმედებებიდან გამომდინარეა ეს ყველაფერი“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ.**)

„მე ორივეს ვეთანხმები“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქაცი, 34 წ.**)

„ჩემი აზრით, ზოგიერთი კლიმატური პირობები შეიძლება გამოწვეული იყოს ადამიანის ჩარევითაც და მისი ჩარევის გარეშეც“

(**ბათუმი, ქალი, 27 წ.**)

„კლიმატის ცვლილებაზე ადამიანს ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, თუმცა არ მიმართა, რომ ეს შეიძლება იყოს გადამწყვეტი და მხოლოდ მასზე იყოს დამოკიდებული, ვინაიდან, თუ წარსულს გადავხედავთ, ვგულისხმობ, გლობალურად გამყინვარებას, გამყინვარებამდე პროცეს, კონტინენტების განლაგებას ეს პროცესები მუდმივად ხდებოდა, უბრალოდ დღეს ადამიანების ინდუსტრიის განვითარება ხელს უწყობს პროცესების დაჩქარებას, თორემ ეს, ჩემი აზრით, გარდაუვალია. უბრალოდ ადამიანი ამ პროცესს აჩქარებს“

(**ახმეტა, ქაცი, 27 წ.**)

„დიახ, სწორად აღინიშნა, რომ ადამიანი ამ პროცესს აჩქრებს, თორემ ეს არის ბუნებრივი პროცესები რომელებიც უნდა მოხდეს, მაგრამ მეერთა პატარა მაგალითს მოვიყვან. როდესაც „ლოქდაუნის“ გამო მანქანების მიმოსვლა შეზღუდეს ჩინეთის დიდ ქალაქებში, ოზონის შრემ გამთელება დაიწყო. ეს პირდაპირ უკავშირდება, ეს გამონაბოლქვი და ადამიანის ჩარევა, ცუდი ჩარევა ბუნებაში პირდაპირ უკავშირდება ამ პროცესის დაჩქარებას და ჩვენ ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ ეს პროცესები შევანელოთ“

(**ახმეტა, ქაცი, 20 წ.**)

„მე მაინც მგონია, რომ მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელია ცვლილების მოხდენა, თუ მოვინდომებთ, მაგრამ ძირითადად უმთავრესს ვერ გადავწყვეტით ამ შემთხვევაში”
(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„ამ ეტაპზე ვეთანხმები, რომ ადამიანები ახდენენ გავლენას, მაგრამ ვიცი რომ ერთადერთი არ ვართ ვინც გლობალური გათბობა გამოიწვია დედამიწის არსებობის განმავლობაში“

(თბილისი, ქალი, 18 წ).

„ძირითადად ეს პროცესები დამოუკიდებლად მიმდინარეობს და ადამიანიც ახდენს უარყოფით ზეგავლენას“
(თბილისი, ქაცი, 26 წ).

„არ ვიცი, რას შევცვლით, ძალიან ეჭვი მეპარება, მაგრამ უნდა ვცადოთ“


(დედოფლისწყარო, ქალი, 45 წ).

„ვფიქრობ გარდაუვალი პროცესია და ნაკლებად შველის ალტერნატიული წყაროები. პრაქტიკა აჩვენებს რომ ეს პროცესები ვერ შველის“

(თბილისი, ქაცი, 62 წ).

ზოგადი დადებითი ფონის მიუხედავად, მონაწილეთა ფრთხილი, არაკატეგორიული პასუხებიდან გამომდინარე (რომლებიც უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია შესაძლებლობისა და ალბათობის კონტექსტში), შეიძლება დავასკვნათ, რომ ცნობიერების ამაღლება ადამიანის შესაძლებლობებზე, მნიშვნელობასა და როლზე კლიმატის ცვლილებაში, ერთ-ერთი საგულისხმო გამოწვევაა.

3.2.2. პასუხისმგებლობის განაწილება



ადამიანის როლისადმი კლიმატის ცვლილების პროცესებში არაკატეგორიული დამოკიდებულების მიუხედავად, პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმებთან მიმართებით ერთმნიშვნელოვანი, მყაფიო და მოქმედებაზე ორიენტირებული მიღებობა გამოიკვეთა:

- მონაწილეები კარგად აცნობიერებენ საკითხის აქტუალობას, მის გლობალურ მასშტაბებსა და კომპლექსურ ხასიათს და, უმეტეს შემთხვევაში, პასუხისმგებლობას თითოეულ მონაწილეს/აქტორს აკისრებენ - თვლიან, რომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სირთულეების მართვა, კლიმატის ცვლილების შერბილება და მის მიმართ ადაპტაცია ერთობლივადისხმევას მოითხოვს, ამპროცესებშიყველა მონაწილე მხარე მაქსიმალური ძალისხმებით უნდა იყოს ჩართული, თუმცა, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მთავარი როლი მაინც სახელმწიფოსა და მოქალაქეებს, თითოეული ადამიანის პერსონალურ პასუხისმგებლობას ენიჭება.

„ადამიანებისთვის ვისაც შეუძლია სიკეთის მოტანა ეს იქნება სახელმწიფო, ბიზნეს-სექტორი, არასამთავრობო სექტორი თუ სხვა, ვფიქრობ, ყველა უნდა იყოს ამ გლობალურ პრობლემაში ჩართული“

(ბათუმი, კაცი, 37 წ).

„პირველ რიგში, ამას ჭირდება პოლიტიკური ნება. შესაბამისად, ხელისუფლებაა ამაზე პასუხისმგებელი. მაგრამ არც ისეა საქმე რომ სახელმწიფოს შევატოვოთ ყველაფერი. თითეული მოქალაქის ღონეზე უნდა იყოს ეს საკითხი დაყენებული და ჩვენ ყველამ ჩვენი საკუთარი წვლილი ვიცოდეთ და ვალდებულება ამ საკითხში. თუმცა ლომის წილი რა თქმა უნდა სახელმწიფოს ეკუთვნის“

(ბათუმი, კაცი, 41 წ).

„თითეული ადამიანია პასუხისმგებელი, მაგრამ უმეტესწილად სახელმწიფო მაინც, ქვეყანაშ უნდა შემოიღოს ისეთი აკრძალვები, კანონები რომლებიც ხელს შეუშლიან ადამინურ ზემოქმედებას“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).

გამოიკვეთა ტენდენცია,
რომ მთავარი როლი
მაინც სახელმწიფოსა
და მოქალაქეებს,
თითოეული ადამიანის
ჰერსონალურ
პასუხისმგებლობას
უნიჭება.

„ძირითადად მთავრობაზე ვართ დამოკიდებული, მაგრამ, ჩვენ, მოსახლეობასაც შეგვიძლია ბევრი რამ შევცვალოთ
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ).

„ჩემი აზრით, აი ამ ყველაფერში ყველა სფერო უნდა იყოს ჩართული. რა თქმა უნდა, არასამთავრობოებიც ... რომელ საქმეშიც არიან ჩართულები ძალიან ხარისხიანად და კარგად კეთდება ყველაფერი; დონორი ორგანიზაციები, რა თქმა უნდა, მთავრობასთან ერთად ... დონორი ორგანიზაციების ჩართულობა და მათი დახმარება ძალიან კარგია“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ).

„რა თქმა უნდა, პირველ რიგში მოსახლეობა და მასთან ერთდ ყველა: ხელისუფლებაც, არასამთავრობოებიც. ყველა უნდა ჩაერთოს, რადგან 21-ე საუკუნე ძალიან მძიმე კატასტროფის წინაშე დგას, აი თუნდაც კოვიდი, რომელმაც ჩაგვეტა სახლში“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ).

„ადგილობრივი თვითმმართველობაც უნდა იყოს ჩართული, ბიზნესიც და ყველა უნდა ზრუნავდეს ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს მსოფლიოზე და ჩვენს დედამიწაზე. ბიზნესიც აქტიურად უნდა იყოს ჩართული, მე ვფიქრობ, როდესაც ბიზნესს აკეთებ, ბიზნესს იწყებ, იქ ყველაფერი უნდა გათვალისწინებული იყოს, გარემოს და ბუნების დაცვაც, რა თქმა უნდა

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ).

„ძალა ერთობაშიაო - ჩვენიდან დაწყებული, სახელმწიფო სტრუქტურა და ყველა არასამთავრობო უნდა იყოს ჩართული

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ).

„საზოგადოებას უფრო და სახელმწიფოს. მე რაც ვიცი, არასამთავრობოები მუშაობენ, ალბათ, ძირითადად ამ საკითხებზე და სახელმწიფოც ვალდებულია რომ იმუშაოს“
(ახმეტა, კაცი, 25 წ).

„პირველ რიგში, ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვის ხელშიც არის სახელმწიფოს მართვის მექანიზმი. ამ შემთხვევაში, მთავრობა, თითოეული სახელმწიფოს მეთაური, ვინც მართავს სახელმწიფოს და ვისაც შეუძლია გარკვეული რეგულაციების დაწესება, შეზღუდვების დაწესება ან კამპანიების წარმოება და ა.შ კანონმდებლობის ცვლილებით შეუძლია ეს პროცესი შეაჩეროს

(ახმეტა, კაცი, 27 წ).

„ჩემი აზრით, გარკვეულწილად ყველას ეკისრება ეს პასუხისმგებლობა მაგრამ უფრო მეტად მთავრობას, რომელსაც ეს ბერკეტები აქვს ხელში,,

(ახმეტა, კაცი, 20 წ).

„მე მგონია, რომ პირველ რიგში, ჯერ სახლემწიფოა, შემდეგ ხალხი, საზოგადოება. ანუ თუ ეს ორი ვერ შეთანხმდა ერთმანეთში და ვერ გაითავისეს, ვერც ვერაფერი ვერ მოგვარდება. და მერე უკვე დანარჩენი ყველა. ყველა უნდა ჩაერთოს ამ პროცესში“

(ახმეტა, ქალი, 26 წ).

„სახელმწიფო უნდა არსებობდეს შესაბამისი კანონმდებლობა და მეორე, თითოეულმა ადამიანმა უნდა გაითავისოს და შეასრულოს ის, რაც მას ევალება და მოეთხოვება

(ახმეტა, ქალი, 55 წ).

„სახელმწიფო და ხალხი უნდა გაუფრთხილდეს პირველ რიგში ბუნებას და ყველა, რა თქმა უნდა“

(დედოფლისწყარო, ქალი, 52 წ).

„ადამიანზეც ბევრია დამოკიდებული და სახელმწიფო ხომ თავისთავად“

(დედოფლისწყარო, ქაცი, 45 წ).

„სახელმწიფოც, ადგილობრივი მოსახლეობაც. ყველა ჩვენთაგანის ვალია რომ დავიცვათ ჩვენი გარემო. რომ გადავაბაროთ ხელისუფლებას, თუნდაც არასამთავრობოებს, ამით ჩვენ ვალდებულებას ვერ მოვიხსნით“

(დედოფლისწყარო, ქაცი, 29 წ).

„სახელმწიფო, ორგანიზაციები, ცალკეული ადამიანიები, ყველა ერთად“

(ბათუმი, ქალი, 45 წ).

„მთავარი არის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და რაც შეგვეძლება გავაკეთოთ“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„ძირითადად მაინც საზოგადოება. ეს ყველას ეხება რა თქმა უნდა, მაგრამ რაც არ უნდა ბევრი ეცალოს მთავრობამაც და ბიზნესმაც და სხვებმაც, თუ ყველამ ერთად არ მოვინდომეთ არაფერი გამოვივა. ბიზნესმა შეიძლება ნაკლებად დააბინძუროს, რაღაცები შეამციროს მაგრამ, საერთო ჯამში აღებული, ინდივიდები უფრო მეტ ზიანს აყენებენ გარემოს, ვიდრე, ბიზნესი“

(ბათუმი, ქალი, 27 წ).

„მე მონია, რომ სახელმწიფოდან უნდა წამოვიდეს ეს ყველაფერი და ხალხი უნდა მიჰყვეს და დაუკეროს“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„ჩემი აზრით სახელმწიფომ ... საზოგადოებასაც დავამატებდი“

(თბილისი, ქალი, 22 წ).

„პირველ რიგში სახელმწიფომ, გარემოს დაცვის სამინისტრომ შემდეგ არასამთავრობოების ჩართულობა და შემდეგ საზოგადოებამ“

(თბილისი, ქალი, 40წ).

„ეს მსოფლიო პრობლემა და ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა მის მოგვარებაში“

(თბილისი, ქალი, 53 წ).

„ჩემი აზრით როგორც კერძო სექტორმა, ისე სახელმწიფომ ერთობლივად, თითოეულის ჩართულობით უნდა მოხდეს ამ გლობალური პრობლემების გადაჭრა“

(თბილისი, კაცი, 26 წ).

„პირველ რიგში სახელმწიფო უნდა ჩაერთოს. ეს იმდენად გლობალური პრობლემებია, რომ ალბათ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ უნდა იქნეს ინიცირებული“

(თბილისი, კაცი, 26 წ).

„პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და მოსახლეობისგანაც ვფიქრობ, რომ თანადგომა იქნება“

(თბილისი, კაცი, 29 წ).

პრეფერენციების პერსპექტივაში (სასურველი/მიზანშეწონილი სურათის მოდელირებისას) პასუხისმგებლობის განაწილების მექანიზმების შესახებ დისკუსია რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულ იმ დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ კლიმატის ცვლილების მიმართ საკვლევი პოპულაციის დამოკიდებულება შეიძლება შეფასდეს, როგორც ინფორმირებული, კარგად გაცნობიერებული, კორექტული, რაციონალური და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით გამსჭვალული.

შენიშვნა:

დისკუსია დაიწყო შეკითხვით: როგორ ფიქრობთ, პირველ რიგში ვის (რომელ სტრუქტურებს, ორგანიზაციებს) უკისრებათ პასუხისმგებლობა, ვინ უნდა იზრუნოს, რომ გავუძლავდეთ კლიმატის ცვლილების შედეგებს, ხელი შევუწყოთ მის შერბილებას და მასთან ადაპტაციას?

01

ინვორაცია:
ძირითადი
ნიაროები,
ღამოკიდებულება,
მოთხოვნები

ფოტო: თავი რობაქიშვილი



კლიმატის ცვლილება სოციალურ პერსპექტივაში



ინვორმაცია: პირითაღი ნუაროები, გამოკიდებულება, მოთხოვნები

კლიმატის ცვლილება
სოციალურ პერსპექტივაში

4

თვისებრივი კვლევის შედეგები მხარს უჭერს რაოდენობრივი კვლევით გამოვლენილ ტენდენციებს: მონაწილეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კლიმატის ცვლილებაზე ინფორმაციის მიღებასა და ცნობიერების ამაღლებას; ძირითად საინფორმაციო წყაროებს შორის ფიგურირებს ტელევიზია და ინტერნეტრესურსები (მათ შორის, დოკუმენტური ფილმები). სხვა წყაროებს შორის დასახელდა წიგნები, ბროშურები, ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პირადი შეხვედრები/ნაცნობ-მეგობრები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები. გამოვლინდა საინფორმაციო წყაროების გამრავალფეროვნების სურვილი:

„აუცილებლად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება და ასევე ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ.).





მოდერატორი:
და თქვენ საიდან იდებთ
ინფორმაციას კლიმატის
ცვლილების შესახებ?

„ძირითადად, ტელევიზით და ინტერნეტით“
(მაღალმთიანი აჭარა, ქაცი, 34 წ).

„ძალიან მნიშვნელოვანია ეს, რომ იცოდეს ადამიანმა კლიმატის ცვლილების შესახებ და როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ... კლიმატის ცვლილებს“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ).

„როგორც ყველა, მეც ტელევიზით, ინტერნეტით და სოციალური ქსელით“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ).

„ცოტ-ცოტას ყველან, უფრო ინტერნეტი, ტრენინგები, ტელევიზია, წიგნები, ბროშურები“
(ახმეტა, ქაცი, 55 წ).

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება რომ გავრცელდეს მოკლე-მოკლე მესიჯები და ტელევიზორში კარგი იქნება ხუთ წამიანი რეკლამები“
(თბილისი, ქალი, 20 წ).

„ნეშენალ ჯეოგრაფიკის“ ფილმებიდან, დოკუმენტურ ფილმებს ვგულისხმობ
(ახმეტა, ქაცი, 27 წ).

„ძალიან აუცილებელია. მე მაგალითად, ფეისბუქზე მაქვს გამოწერილი გვერდები, რომლებიც ამასთან დაკავშირებით დებუნ ბევრ ინფორმაციას“
(ახმეტა, ქალი, 26 წ).

„საინფორმაციო საშუალებებით, ტელევიზია, ინტერნეტი“
(დედოფლისწყარო, ქაცი, 57 წ).

„პირადი საუბრები, ნაცნობ-მეგობრები
(დედოფლისწყარო, ქაცი, 51 წ).

„უფრო ინტერნეტი და ინტერნეტ ტელევიზია“
(დედოფლისწყარო, ქალი, 29 წ).

ძალიან მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, ვიღებ ტელევიზით, ინტერნეტით, ტრენინგებით“
(დედოფლისწყარო, ქალი, 36 წ).



„ჩემთვისაც მნიშვნელოვანია რა თქმა უნდა და ინფორმაციას ვიღებ ინტერნეტიდან და ტელევიზიიდან“
(თბილისი, ქალი, 40 წ).



მოდერატორი: ანუ ეურნალს ანიჭებთ უპირატესობას რატომ ჟურნალი მაინც და მაინც?

მზია: ეურნალები რომ იყოს კარგი იქნება.

მზია: ფორმატი მომწონს ლამაზადაც გავაფორმებდი“
(თბილისი, ქალი, 60 წ).

„ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვანია და მე თითქმის ყველა ინფორმაციას სოციალური ქსელებიდან ვიღებ“
(თბილისი, ქალი, 18 წ).

„ეურნალებიდანაც საინტერესო იქნებოდა მაგრამ ხელმისაწვდომი ჩემთვის ინტერნეტი და ტელევიზია“
(თბილისი, ქალი, 40 წ).

„საინფორმაციო საშუალებებში ყოველდღე მაგაზე არის ლაპარაკი“
(თბილისი, კაცი, 62 წ).

„ზოგადად მე ვთვლი რომ ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია და საინფორმაციო კამპანიის მართვით უფრო შეიძლება საზოგადოების ჩართვა ამ საკითხში“
(თბილისი, კაცი, 32 წ).



მოდერატორი: როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება კლიმატის ცვლილების შესახებ?

ქეთი: უმნიშვნელოვანესია ჩემთვის.

მოდერატორი: მადლობა და რა წყაროებით იღებთ ინფორმაციას კლიმატის ცვლილების შესახებ?

ქეთი: ტელევიზია“

(ბათუმი, ქალი, 45 წ).

**ფოკუსირებული დისკუსიის
მეთოდა შესაძლებლობა
მოგვცა, გამოგვევლინა
ამ ტენდენციების
განმაპირობებელი
ფაქტორები, ასევე,
ინფორმაციის მიღებასთან
დაკავშირებული ძირითადი
მოთხოვნა - სოციალური
დაკვეთა.**

„როგორც მედია-საშუალებებით, ისე არასამთავრობო
ორგანიზაციების საშუალებით“

(ბათუმი, ქალი, 31წ).

„დიას რა თქმა უნდა ძალზედ მნიშვნელოვანია და მეც
სოციალური ქსელებით და მედიით ვღებულობ რაიმე ასეთ
ინფორმაციებს“

(ბათუმი, ქაცი, 22 წ).

“რა თქმა უნდა, ადამიანმა უნდა გაიგოს ყველაფერი
კლიმატის შესახებ ბუნების კანონიც არის კანონი და უნდა
იცოდეს“

(ბათუმი, ქაცი, 43 წ).

კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიღებას
მონაწილეები დიდ მნიშვნელობას ძირითადად იმიტომ
ანიჭებენ, რომ აცნობიერებენ საკითხის როლსა და
მასშტაბს სოციალურ-ეკონომიკურ პერსპექტივაში:

„რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ მოგვცემს
ეს საშუალებას წინასწარ შევემზადოთ გარკვეული
ცვლილებებისათვის და მნიშვნელოვანი უარყოფითი
გავლენისგან ვიყოთ დაცულები, თუმცა მაინც ნაკლებად
ავირიდებთ ამ ყველაფერს. მაგრამ, ინფორმაციის
ქონა დაგვეხმარება იმაში, რომ თუნდაც იმ უარყოფით
მოვლენებს მარტივად გავუმკლავდეთ, წინასწარ
მოვიძიოთ ინფორმაცია მსგავსი საკითხების გადაჭრის
შესახებ და ა.შ.“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

“რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ინფორმირებულობა
ამ კუთხით როგორც სხვა, ამ სფეროშიც გადამწყვეტი
მნიშვნელობა აქვს. თუ არ იქნა პოპულარიზებული ეს
თემა და გაცნობილი, ისე სხვანაირად ვერც მოგვარდება
ეს პრობლემა. იმიტომ, რომ ეს არ არის ერთი კაცის ან
სახელმწიფოს პრობლემა, ეს მსოფლიო პრობლემაა და
ინფორმირებულობა არის მნიშვნელოვანი“

(ბათუმი, ქაცი, 37 წ).

„აი, ჩვენთან არის ზუსტად გაუდაბნოების პრობლემა რაც გამოიწვია კლიმატის ცვლილებამ. გაუდაბნოებას რავიცი რით უნდა დაუდგე წინ რა ვიცი... თუ კლიმატის ცვლილება არ შეფერხდა და ტემპერატურა არ დასტაბილურდა დედამიწაზე. შირაქის და ელდარის დაბლობები დედოფლისწყაროს ეკუთვნის და გაუდაბნოების ზღვარზეა. თუ ესე გაგრძელდა კლიმატის ცვლილება და უფრო დათბა, ალბათ საბოლოოდ გაუდაბნოვდება, რა ვიცი“

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

„ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ დღეს უნდა ვიცოდეთ, მომავლისთვის რისთვის უნდა ვიყოთ მზად. უფრო მეტად შევძლოთ გარკვეული სახით პრევენციაც მოვახდინოთ და შევაჩეროთ“

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

„მაღალმაღალმთიანია ჩვენი დასახლება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება რა თქმა უნდა კარგი იქნება. მეტი ინფორმაციის მოძიება“

(ძაღლმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ).

„ძალიან მნიშვნელოვანია რა თქმა უნდა ადამიანმა იცოდეს კლიმატური პირობები, რომ იმის მიხედვით დაგეგმოს სოფლის მეურნეობა“

(ძაღლმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ).

“ჩვენი ცხოვრება დამოკიდებულია პირდაპირ კლიმატზე. მაგალითად თუ უხვნალექიანი იქნება, მოსავალი გაგიფუჭდება“

(ძაღლმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).

გამოიკვეთა სანდო, ვალიდური საინფორმაციო წყაროების არსებობის საჭიროება, აგრეთვე, სურვილი, რომ ყოველდღიურ (ყოფით) აქტივობებთან, ეცევებთან, სოციალურ-უკონომიკურ გამოწვევებთან დაკავშირებული ინფორმაცია მიეწოდებოდეს მოსახლეობასა და სამეურნეო-უკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ პირებს (მათი ინტერესების შესაბამისად).

**ფოკუსჯგუფის მონაწილეები
აღნიშნავენ როგორც სანდო,
ვალიდური საინფორმაციო
წყაროების დეფიციტს,
ისე მათ საჭიროებასა და
მნიშვნელობას:**

„ინტერნეტში იმდენად მრავალფეროვანია ზოგი
მართალია ზოგი არა“
(თბილისი, ქალი, 20 წ).

„კი მინდა მაგალითად რომ არსებობდეს ინსტაგრამ
გვერდი ან ფეისბუქ გვერდი რომელიც სანდო არის
და ის გვაწვდის ინფორმაციას, იმიტომ რომ იმდენად
ხშირია დეზინფორმაცია, რომ შეიძლება რაიმე
კონკრეტული საკითხი სწორი იყოს მაგრამ იმდენად არის
გადრამატიზებული“

(თბილისი, ქალი, 20 წ).

„ინფორმაციას ვიღებ ინტერნეტით და საკმაოდ
წინააღმდეგობრივი ინფორმაციებია, მინდა ვთქვა“
(თბილისი, ქალი, 62 წ).

„ტელევიზიით უფროზუსტი ინფორმაციავერ ვრცელდება“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).

„ძირითადად ინტერნეტია, რომელიც არის ხშირად
არასანდო. ეს ძალიან ცუდია მიწათმოქმედისთვის,
ფერმერისთვის, ან დამწყებისთვის, ვინც იწყებს ბიზნესს.
არასანდობა ყველაზე ცუდი რამაა“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 43 წ).

**ფოკუსჯგუფის მონაწილეთა მსჯელობიდან იკვეთება, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია
ინფორმაციის გავრცელება ყოველდღიურ (ყოფით) აქტივობებზე, ქცევებსა და
სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებზე. ამ ტიპის ინფორმაციის ადრესატები, უპირველეს
ყოვლისა, უნდა იყვნენ უშუალოდ მოსახლეობა და სამურნეო-ეკონომიკურ საქმიანობაში
ჩართული პირები:**

“თუ იქნება რაიმე წყარო რომ მოსახლეობას მიაწოდოს
რამე ინფორმაცია კონკრეტული სახით ძალიან კარგი
იქნებოდა“

(თბილისი, ქალი, 53 წ).

“მაგალითად, ელექტროენერგია როგორ უნდა დავზოგოთ“
(თბილისი, ქალი, 18 წ).

„იროდი: ჩემი აზრით, ალბათ კარგი იქნება რომ თან ამ ინფორმაციის მიწოდებას თან დაერთოს ისიც, რომ რა არ შეიძლება რომ გააკეთონ.



მოდერატორი:
რეკომენდაციები?

იროდი: დიახ, რეკომენდაციები რომ მიეწოდოთ, რომ ამას თუ გააკეთებ ეს ამას გამოიწვევს და მთლიანობაში ეს კლიმატზე იმოქმედებს" ...

„მიწათმოქმედები და ფერმერები, ვინც მიწას ამუშავებს და მოსავალს იღებს, იმათიდან დავიწყებდი ინფორმაციის მიწოდებას, რომ რამდენად საზიანოა იმ ნამჯის დაწვა რას იწვევს“

(ახმეტა, კაცი, 55 წ).

„მეც დავეთანხმები მონაწილეებს რომ უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ინფორმირება, იმ მოსახლეობისა რომელთაც ყოველ დღე შეხება აქვთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგთან, მათ შორის მეცხოველეობასთან, მიწათმოქმედებასთან“

(ახმეტა, კაცი, 20 წ).

გამოვლინდა ისეთი საინფორმაციო წყაროების საჭიროება, რომლებიც ეფუძნება ინტერაქტიულ კომუნიკაციას, მოსაზრებების, გამოცდილებისა და განწყობების ურთიერთგაცვლას, უკუკვშირის შესაძლებლობას. თითქმის ყველა ჯგუფში აღინიშნა, რომ ინფორმაციის ცალმხრივი, პასური მიღება არ კმარა ცნობიერების ასამაღლებლად. ამ თვალსაზრისით, გამოიკვეთა, რომ მოსახლეობას სჭირდება ტრენინგები და ადგილობრივი საკონსულტაციო-საინფორმაციო მომსახურება:



„მოდერატორი: რამდენად
საკმარისია ის ინფორმაცია,
რომელსაც კლიმატის
ცვლილებასთან
დაკავშირებით ტელევიზიით
და ინტერნეტით იღებთ?

მედეა: არ არის საკმარისი. თუ იქნება ტრენინგები და მოსახლეობასთან, უბრალო ადამიანებთან მივა ეს საკითხები და აუხსნიან ხალხს. ეს უკეთესი იქნება რა თქმა უნდა“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ).



„მოდერატორი: მადლობა.
ანუ, თქვენ თვლით რომ
საკმარისი ინფორმაცია არ
მიეწოდება მოსახლეობას?

მაკა: არა, არ მიეწოდება. სპეციალური დაწესებულება თუ იქნება, ძალიან კარგი იქნება“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ).

„ინფორმაცია ნამდვილად მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ სოფელში ნაკლებად იცის ხალხმა ის ინფორმაციები რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ. რაც უფრო მეტი ტრენინგი იქნება, უკეთესია. აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება, მე ასე ვთვლი“

(ძაღლმთიანი აჭარა, ქალი, 36 წ).

„ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რეგიონულ ცენტრებში თუ იქნება ან კონსულტანტი, ან ცნობათა ბიურო, რომ მოსახლეობა იყოს ინფორმირებული“

(ძაღლმთიანი აჭარა, ქაცი, 34 წ).

„აუცილებლად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება და ასევე ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით. და თქვენ რომ აღნიშნეთ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი, კონკრეტულად მიმართულია სოფლის მეურნეობაზე, გარემოს დაცვის თვალსაზრისით არ არის სპეციალისტი. კარგი იქნება თუ მოვა ვინმე სპეციალისტი და თუ ჩაატარებს შესვედრებს, ტრენინგებს“

(ძაღლმთიანი აჭარა, ქაცი, 55 წ).



დედოფლისწყარო

„მხარს ვუჭერ ტრენინგებს, ოფონდ თუ მართლა კარგი იქნება“

ქალი, 29 წ.

„მოსახლეობაში კარგია ტრენინგები ცნობიერების ამაღლების მიზნით“

(დედოფლისწყარო, ქაცი, 29 წ).



მოდერატორი: ამ საკითხებთან დაკავშირებით რომ შემოეთავაზებინათ ტრენინგზე დასწრება, თუ დაესწრებოდით?

ინეზა: დიდი სიამოვნებით დავესწრებოდი

(ბათუმი, ქალი, 27 წ).

...“და ტრენინგები საინტერესო იქნებოდა რომ იყოს“

(თბილისი, ქალი, 22 წ).

**შესაბამისად,
რეკომენდებულია:**

- ჩამოყალიბდეს/განვითარდეს საინფორმაციო წყაროები, რომლებიც აწვდის სანდო/ვალიდურ ინფორმაციას და იძლევა ინტერაქტიული კომუნიკაციისა და უკუკავშირის შესაძლებლობას;
- სამიზნე აუდიტორიას შესთავაზონ ტრენინგპროგრამა/კურსი, რომლითაც ისწავლიან როგორც სანდო/ვალიდური ინფორმაციის მოძიებას, ისე ინფორმაციის სანდობის/ვალიდურობის შემოწმებას.

ტრენინგების კუთხით ერთმნიშვნელოვანი

სურათი არ გამოკვეთილა:

- ფოკუსაგუფების მონაწილეთაგან უმეტესობა არ დასწრებია ტრენინგებს და არ იღებს ინფორმაციას მათ შესახებ;
- ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებს შორის სოციალური ქსელები, განსაკუთრებით, ფეისბუქი და არაფორმალური წყაროები დომინირებს; ცალკეულ შემთხვევაში დასახელდა უნივერსიტეტის საინფორმაციო გვერდი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილი საკომუნიკაციო ბაზები;
- ფოკუსაგუფების იმ მონაწილეთა ნაწილი, რომლებიც დასწრებიან ტრენინგებს, დადგითად აფასებს მათ, ნაწილს კი სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს:

„მოდერატორი: ტრენინგები თუ გაქვთ გავლილი რაიმე სახის?

ქუთხვანი: არა არ მაქვს“

(თბილისი, ქალი, 40 წლის).



მოდერატორი: თქვენ თუ გაქვთ გავლილი რაიმე ტრენინგები?

სალომე: კი მაქვს გავლილი უნივერსიტეტში.

მოდერატორი: ბოლოს რამდენი ხნის წინ გაიარეთ ტრენინგი?

სალომე: გუშინ გავიარე, შრომით ურთიერთობებს ეხებოდა.

მოდერატორი: და რა სარგებელი მიიღეთ, რა გაიგეთ, მოგეწონათ?

სალომე: დრო დავხარჯ ეფექტურად, ერთხელ მაქვს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ტრენინგი გავლილი და ეხებოდა წყალდიდობებს და როგორ შეიცვალა საქართველოში მთების ფორმები და ა.შ

მოდერატორი: რა წყაროებით იგებთ ხოლმე ინფორმაციას ტრენინგების შესახებ?

სალომე: უნივერსიტეტის გვერდებზე იდება სხვადასხვა ცენტრებიდან“

(თბილისი, ქალი, 22 წლის).



მოდერატორი:
ტრენინგები თუ გაქვთ
გავლილი?

ხატია: არა, არანაირი

(ახმეტა, ქალი, 26 წ).

„მოდერატორი: საიდან იღებთ ინფორმაციას ტრენინგების
შესახებ?

ჩანა: მე მაგალითად ანზორი გოგოთიძისგან ვიგებ. ან თუ
მაინტერესებს, ფეისბუქზე ხომ იდება ხოლმე, თუ ტარდება
რაღაც ტრენინგები და იქ ვრეგისტრირდები

(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„მოდერატორი: რომელმა ორგანიზაციამ ჩაატარა
ტრენინგი, თუ გახსოვთ?

ზვიადი: კარიტასის პროექტში თუშეთის მეგობართა
ასოციაცია, რომელმაც ჩვენს სოფელში რამოდენიმე კარგი
ტრენინგი ჩაატარა, იგივე გარემოს დაცვაზე და სხვადასხვა
საკითხებთან დაკავშირებით და იქ ჩავრთულვარ, რაც
კონკრეტულად მახსოვს.

მოდერატორი: რა სარგებელი მიიღეთ, რა გაიგეთ,
მოგეწონათ?

ზვიადი: ასე კონკრეტულად ვერ დაგისახელებთ, ვერ
გეტყვით კონკრეტულად. ანუ ეს ტრენინგის მეორე დღეს
მეცოდინებოდა რომ გეკითხათ, მაგრამ ახლა არ მახსოვს,
სიმართლე რომ გითხრათ, საიდან რა გავიგონე

(ახმეტა, ქაცი, 25 წ).

„მოდერატორი: რა სარგებელი მიიღეთ, რა გაიგეთ,
მოგეწონათ ტრენინგზე?

იროდი: უფრო სიღრმისეულად გავიგე ხანძრების ზიანი
და იმავე პოლიტიკურის და ცელოფნის პარკების,
პლასტმასის ბოთლების შესახებ

(ახმეტა, ქაცი, 55 წ).

„ერთი იყო ჩამოსული ტრენინგების ჩასატარებლად და
ეტყობოდა, რომ არაფერი გაეგებოდა, თვითონაც გუმინ

ჰქონდა აღბათ წაკითხული

(დედოფლისწყარო, ქაცი, 57 წ).

„ტრენერს გააჩნია. ტრენინგი უნდა იყოს, რა თქმა უნდა,
ძლიერი და საინტერესო უნდა იყოს“

(დედოფლისწყარო, ქაცი, 45 წ).



“

მოდერატორი: თუ
შეიძლება, დააზუსტოთ,
ვის მათ ჰქონდათ - ვის
გულისხმობთ მათში?

„გერმანელი რომ ახსენეს, იმან ისეთ საკითხებზე
იღაპარაკა, რომ აინტერესებდათ. ზოგი ისეთი ჩამოდის,
რომ იფიქრებ, იმან რა უნდა მასწავლოს
(დედოფლისწყარო, კაცი, 27 წ.).

„ტრენინგებს ბევრს ვესწრები. ძალიან კარგია“
(დედოფლისწყარო, ქალი, 45 წ.).

„ხშირად ატარებენ ტრენინგებს, მაგრამ ერთიდაიგივე
ხალხი ესწრება“

(დედოფლისწყარო, ქალი, 36 წ.).

„ტრენინგებს დავსწრებივარ ძალიან ბევრს მაგრამ
კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით არა
და ტრენინგები მევობრებისგან მცოდნია რომ
უნდა გაიმართოს, სოციალურ ქსელში მინახავს,
დავრეგისტრირებულვარ და ა.შ.

(ბათუმი, ქალი, 38 წ.).

„თეონა: ტრენინგები ადრეც მქონდა და მაშინაც
გავიგე სოციალური ქსელის საშუალებით და მივიღე
მონაწილეობა. მერე როცა გამოაცხადეს უკვე მათ ჰქონდათ
ჩემი ელექტრონული ფოსტა და ამელიერებულ ფოსტაზე
მომივიდა შეტყობინება, რომ ტარდებოდა ტრენინგი.

თეონა: მე CSRDG-ზე ვსაუბრობ, იმიტომ რომ მათ
ტრენინგებზე მქონდა ყურადღება გამახვილებული. თუმცა
SEN-ის პროექტებშიც მიმიღია მონაწილეობა რაღაც
(ბათუმი, ქალი, 38 წ.).

ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების ფონზე, რეკომენდებულია: ტრენინგების
მხარდაჭერა კარგად ორგანიზებული საინფორმაციო კამპანიით; მაღალი კომპეტენციის
მქონე ტრენერთა შერჩევა; თემატიკის მორგება ზოგად სოციალურ მოთხოვნებზე;
ინფორმაციის მიწოდება ყოველდღიურ აქტივობების, ქცევებისა და სოციალურ-
ეკონომიკურ გამოწვევების შესახებ; საძირზე აუდიტორიად მოსახლეობისა და
სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული პირების შერჩევა; სამიზნე
აუდიტორიის ცალკეულ სეგმენტთა კვლევა კონკრეტული ტრენინგპროგრამების/
კურსების შესამუშავებლად და შესაფასებლად („წერტილოვანი“, ფოკუსირებული
კვლევების ჩატარება). მიზანშეწონილია, ტრენინგების ეფექტიანობა შეაფასონ არა
მხოლოდ ტრენინგის მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა, არამედ დამოკიდებელმა
კვლევითმა ჯგუფებმა ან ორგანიზაციებმაც.



ეცვალს ანალიზი -
ინდივიდუალურის/
პერსონალური
ღონე

10



კლიმატის ცვლილება სოციალურ პერსპექტივაში

ქცევის ანალიზი - ინდიკირის/ პერსონალური ღონი

ქცევასთან დაკავშირებული საკითხები განვიხილეთ დისკუსიის
დასაწყისში, რათა აგვეცილებინა ბუნებრივ გარემოსა და
კლიმატის ცვლილებაზე ფოკუსირების შესაძლო ზეგავლენა.

ქცევაზე დაკვირვებასა და, შესაბამისად, ანალიზს
მნიშვნელოვნად შეუძლა ხელი პანდემიამ, რომელმაც
არსებითად შეცვალა მრავალი ქცევა.

5

დისკუსიით მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კონკრეტული სახის ქცევათა არჩევანს, პირადი პრეფერენციების გარდა, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ინფრასტრუქტურული, ფიზიკური ან/და ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუმცა, ხელმისაწვდომობის ფარგლებში, ფინანსური მხარე ყოველთვის არ არის პრიორიტეტული/გადამწყვეტი ფაქტორი.

5.1.

გარეარგილება

გადაადგილებასთან დაკავშირებული ქცევები ერთ-ერთი პირველია, რაზეც პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. ლოქდოუნის პერიოდში არ მუშაობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

მუშაობის შემთხვევაშიც, დაინფიცირების რისკის გამო, ბევრი ადამიანი არიდებდა თავს სხვა ადამიანებთან ერთად მგზავრობას დახურულ სივრცეში.

მონაწილეები ცდილობდნენ, გაემიჯნათ პანდემიამდელი და პანდემიის დროინდელი ქცევები, თუმცა გადაადგილება უკავშირდება სამომხმარებლო ქცევასა და დასაქმების სტატუსს, რომლებმაც ასევე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს. საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე კვლევები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ არ არის ნათელი, რომელი ახალი ჩვევები შენარჩუნდება პოსტპანდემიურ პერიოდში და რა დაბრუნდება ძველიდან. შესაბამისად, გადაადგილების ქცევები მუდმივ კვლევას საჭიროებს.

- უშუალოდ კვლევის პროცესში გამოვლენილი სურათით, სამი აგუფი გამოიყო: ავტომობილზე ორიენტირებული, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ორიენტირებული და შერეული;
- ქცევები განსხვავდება საცხოვრებელი ადგილის/ დასახლების ტიპის მიხედვით: სასოფლო ტიპის დასახლებების შიგნით, ძირითადად, ფეხით გადაადგილდებიან, ტრანსპორტს კი უფრო დასახლებათაშორისი მგზავრობისას იყენებენ. ბათუმშიც ხშირად სახელდება ფეხით სიარული შედარებით ახლო მანძილზე; თბილისში უტრანსპორტოდ გადაადგილება ყველაზე ნაკლებად აღინიშნა;
- თუშეთში გადაადგილების საშუალებად დასახელდა ცხენიც.

მნიშვნელოვანია, რომ ის მონაწილეები, რომლებიც რეგულარულად გადაადგილდებიან ფეხით, მოტივაციებს შორის, ძირითადად, აღნიშნავენ მოკლე მანძილს, ან/და ჯანმრთელობის ხელშეწყობას; ბუნებრივი გარემოს გაფრთხილება მოტივად მხოლოდ **ერთხელ დასახელდა**:

„მეტ-ნაკლებად ვმოძრაობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ახლო მანძილზე მეზობლებთან მისვლა-მოსვლა რასაც ქვია ფეხით გადავაადგილდებით, შორ მანძილს რაც შეეხება ჩვენ მომთაბარე ხალხი ვართ და ძირითდად საკუთარი მანქანებით გადავაადგილდებით“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ).



მოდერატორი:
ფეხით რა მანძილზე
გადაადგილდებით ან თუ
დადაიხართ საერთოდ?

ივერი: კი როგორ არა, 10 კილომეტრამდე
ჯანმრთელობისთვის“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ).

„ეხლა უფრო მეტად დავდივარ ფეხით ვიდრე მანამდე, ... ასევე ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანები მანამდე სარგებლობდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ეხლა ძირითადად საკუთარი მანქანით დადიან ან ფეხით დადიან“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).

„მიყვარს ფეხით სიარული შეძლებისდაგვარად. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე ... ყავა თუ მიმაქვს სადმე და დასატოვებელი მაქვს, გადასაადგილებელი მაქვს, ან მოსატანი მაქვს მარცვალი. ისეც მიყვარს ნათესავებში სიარული სოფელში და რა ვიცი“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).

„ჩვენთან ძალიან ახლოს არის ყველაფერი და ამიტომ უმეტესად ფეხით გვიწევს სიარული და ჩვენ ეს გვსიამოვნებს ფეხით სიარული“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ).

„უმრავლესობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადიოდა მაგრამ ახლა პანდემის პერიოდში უკვე გართულდა ეს პრობლემა არის“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ).

„უმეტესად საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ოჯახში ჩვენ არ გვაქვს მანქანა ... ასე რომ, ან ფეხით გვიწევს ცენტრში გასვლა რამის საყიდლად, თუ ქალაქში მივდივართ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ).

„დიახ, სოფლის შიგნით არ არის საჭირო საზოგადოებრივი ტრანსპორტი იმიტომ, რომ როგორც აღვნიშნე აქ შედარებით ახლო დისტანციებია და საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭიროება არ დგას. მე ვიძიბი უბრალოდ ქალაქში რომ წახვიდე ახმეტაში ან თელავში, სხვადასხვა საჭიროებების გამო, მაგალითად, სამსახურისთვის ან ბაზარში, ვიყენებთ საზოგადოებრივ ტრანსპორტს“

(ახმეტა, კაცი, 20 წ).

„სანამ იყო საშუალება, საზოგადოებრივ ტრანსპორტს ვიყენებდი, ტრანსპორტი რომ გაჩერდა, მაგის მერე ველოსიპედით გადავადგილდები სოფელში, თუშეთში ცხენით და კახეთში სოფელში ველოსიპედით... 5-6 კოლომეტრამდე შეიძლება ფეხით გადავადგილდე“
(ახმეტა, კაცი, 55 წ).

„ცხენს ალვანში არა და თუშეთში როდესაც ავდივარ ძირითადი საშუალება სოფლიდან სოფელში წასვლისა, რა თქმა უნდა, არის ცხენი ჩემთვის“

(ახმეტა, კაცი, 20 წ).

„საკუთარი ავტომობილი მყავს და ძირითადად იმით გადავადგილდები“

(ახმეტა, კაცი, 25 წ).

„კი, კი, მთაში როცა ავდივართ, კი, ყოველდღიურად თითქმის ცხენით გადავადგილდები“

(ახმეტა, კაცი, 32 წ).

„ადრე, ძირითადად, საზოგადოებრივ ტრანსპორტს ვიყენებდი. ჩემი სუსტი წერტილია, რომ მართვა ვერ ვისწავლე და ვერც ვისწავლი და დავრჩები, ალბათ, საზოგადოებრვი ტრანსპორტის მომზმარებლად. ავტომობილის მართვა არ ვიცი ... მეზობლები და ოჯახის წევრები, ძირითადად, იყენებენ კერძო ავტომობილებს“
(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„ჩემი მანქანა მყავს - სიარული. ძალიან იცის მანქანამ მიჩვევა და მეც ყველგან მანქანით დავდივარ ეხლა“

(ახმეტა, ქალი, 26 წ).

„გააჩნია, სად მივდივარ, უფრო მანქანით ან ფეხით“
(დეოფლისწყარო, ქალი, 45 წ).

„უფრო მანქანით, სოფელში საზოგადოებრივ ტრანსპორტსაც ვიყენებ ხოლმე“

(დეოფლისწყარო, ქალი, 52 წ).

„ძირითადად მანქანით“

(დედოფლისწყარო, ქალი, 29 წ).

„საზოგადოებრივ ტრანსპორტს, სადაც არის, ვიყენებ, მაგალითად, თბილისში“

(დედოფლისწყარო, კაცი, 29 წ).

„მანქანით, შეიძლება 300 მეტრში მანქანით წავიდე“

(დედოფლისწყარო, კაცი, 28 წ).

„საკუთარი ავტომობილი მყავს და იმით გადავადგილდები ძირითადად“

(ბათუმი, კაცი, 24 წ).

„**თემური:** ძირითადად გადავადგილდები საკუთარი ავტომობილით ... აუცილებლად ფეხითაც დავდივარ თან საკმაოდ დიდ მანძილს ... მაგრამ ჩემი შვილები და მეუღლე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხშირი მომხმარებლები არიან...“



მოდერატორი:

მადლობა. ფეხით თუ დადიან თქვენი მეგობრები, ახლობლები, ნაცნობები?

თემური: ახლა, პანდემიიდან გამომდინარე ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით. თუმცა, ისეც უფრო პრაქტიკულია ქალაქში ფეხით გადაადგილება თუ რა თქმა უნდა, ამინდი გიწყობს ხელს“

(ბათუმი, კაცი, 37წ).

სოფო: ამ ეტაპზე, სიმართლე რომ გითხრათ, ნუ რადგან შეზღუდვებია დაწესებული, ფაქტობრივად ვერ ვიყენებ საზოგადოებრივ ტრანსპორტს და მანამდეც, სიმართლე რომ გითხრათ, საზოგოადოებრივი ტრანსპორტის ხშირი მომხმარებელი არ გახლდით, იმიტომ რომ მიყვარს ფეხით სიარული, თან ბათუმში ყველაფერი ახლოს არის, პატარა ქალაქია და თუ არ მეჩეარება, ვამჯობინებ ძირითადად, ფეხით გადაადგილებას.

“

მოდერატორი: მადლობა. თქვენი ახლობლები,
მეგობრები, ნათესავები, ოჯახის წევრები თუ
განსხვავდებიან ამ თვალსაზრისით?

სოფთ: არა, ოჯახის წევრები არა, იმიტომ რომ
სამსახურები აქვთ ახლოს და შესაბამისად მათაც ფეხით
გადაადგილება უხდებათ. იმიტომ რომ, ხუთი და ათი
წუთის სავალზე როცა გაქვს სამსახური უბრალოდ,
შეუძლებელიც კია საზოგადოებრივი ტრანსპორტის
გამოყენება. რაც შეეხება ახლობლებს, აღბათ, ყველაზე
მოთხოვნადი, მაინც უფრო სამარშუტო ტაქსია”
(ბათუმი, ქალი, 31 წ).

„საზოგადოებრივი ტრანსპორტით მე ვსარგებლობ, კი და
ოჯახის წევრებიც სარგებლობენ. რა თქმა უნდა, ბოლოს
ვერა მაგრამ როცა არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი,
მაშინ ვიყენებთ“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„პანდემიამდე, ვსარგებლობდი ტრანსპორტით იმიტომ
რომ როგორც ზემოთ ვახსენე, ეს არის სამსახური და ჩემი
ადგილი სადაც ვცხოვრობ ძალიან შორს არის“

(ბათუმი, ქალი, 45 წ).



„**ქ'თი:** საზოგადოებრივ ტრანსპორტს? ძალიან იშვიათად იმიტომ, რომ საკუთარი მანქანა მყავს ... ჩემი ახლობლების და ნაცნობების ნაწილი ხშირად იყენებს, ვიტყოდი, ყოველდღე. ასევე დიდ ნაწილს მეგობრებისას საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალება აქვს



მოდერატორი:
ფეხით თუ დადიხართ შორ
დისტანციებზე?

„**ქ'თი:** არა, არ დავდივარ“

(თბილისი, ქალი, 32 წ).

„ძალიან ხშირად დავდივარ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ფეხით არ დავდივარ, თუმცა მიყვარს ფეხით სიარული. ჩემს ირგვლივ მყოფებიც იყენებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს“

(თბილისი, ქალი, 53 წ).

„საზოგადოებრივ ტრანსპორტს ხშირად ვიყენებ, რადგან მართვის მოწმობაარ მაქვს ჯერ. ფეხით შორ დისტანციებზე არ დავდივარ, თუ ახლოსაა იმ შემთხვევაში კი“

(თბილისი, ქალი, 18 წ).

„საზოგადოებრივ ტრანსპორტა პერიოდულად ვიყენებ, მაგრამ ძირითადად ავტომობილით გადავაადგილდები“

(თბილისი, ქაცი, 32 წ).

„**დიმიტრი:** სამსახურიდან გამომდინარე, გადავაადგილ-დები პირადი ავტომობილით.



მოდერატორი:
თქვენს ირგვლივ მყოფი
ადამიანების შესახებ რას
იტყვით საზოგადოებრივ
ტრანსპორტთან
დაკავშირებით?

„**დიმიტრი:** ნაწილი სარგებლობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით. მოგეხსენებათ, თბილისში როცა აქტიური დღე არის, 700000 ადამიანი გადაადგილდება საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ხოლო ნაწილი -ავტომობილით. ასე კონკრეტულად ვერ გამოყოფ“

(თბილისი, ქაცი, 51 წ).

ძირითადად გადავადგილდები საკუთარი ავტომო-
ბილით... აუცილებლად ფეხითაც დავდივარ თან
საკმაოდ დიდ მანძილს ... მაგრამ ჩემი შვილები და
მეუღლე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხშირი
მომხმარებლები არიან...

ბათუმი, კაცი, 37წ)



5.1.1. ველოსიპედის გამოყენება

საგანგებო დაკვირვების ობიექტი იყო ველოსიპედის გამოყენება:

ისევე, როგორც ფეხით გადაადგილების შემთხვევაში, იმ მონაწილეებისათვის, რომლებიც რეგულარულად იყენებენ ველოსიპედს, გარემოს გაფრთხილება პრიორიტეტულ მოტივაციას არ წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, მათთვის გართობა, სპორტი/ჯანმრთელობა და სეირნობა უფრო აქტიუალურია.

აღსანიშნავია, რომბათუმის ჯგუფში დასახელდა ბულვარზე ველოსიპედით სეირნობის ქალაქერი ტრადიცია, ხოლო თბილისში ველოსიპედით გადაადგილების ხელშემშლელ ფაქტორად - შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა.

ველოსიპედი, როგორც გადაადგილების საშუალება, ყველაზე ხშირად დასახელდა მაღალმთიანი აჭარისა და აზმეტის/თუშეთის ჯგუფებში. ველოსიპედს გადასაადგილებლად უფრო ხშირად იყენებენ მოსწავლეები და 29 წლის ან მეტი ასაკის ჯგუფები:

„შვილებს ველოსიპედი აქვთ და გადაადგილდებიან სხვათაშორის ველოსიპედით“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ).



„მოდერატორი:
ველოსიპედით თუ
გადაადგილდებით?

თინა: კი, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო დროს ცოტა წონაში რომ მოვიმატე, თორემ ადრე უფრო ხშირად ვიყენებდი.

მოდერატორი: რა მიზნით იყენებდით? როგორც გადაადგილების საშუალებას თუ გასართობად?

თინა: გადაადგილების საშუალებადაც და გასართობადაც, ნაწილობრივ“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).

„მყავს ველოსიპედი და გართობის მიზნით ვიყენებ ხშირად“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).

„მოდერატორი: ველოსიპედი თუ გყავთ?

ივერი: კი მყავს



მოდერატორი:
რა მიზნით იყენებთ?

ივერი: ჯანმრთელობის გაკაუებისთვის“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ).

„მაკა: მე არა და ჩემი შვილები ველოსიპედით დადიან სკოლაში და ყველგან.

მოდერატორი: ველოსიპედით ბევრი სარგებლობს?

მაკა: ბავშვები უმეტესად იმიტომ რომ ჩვენ უფრო ასაკიანები, მე მაგალითად, - არა“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ).

„ველოსიპედით ბავშვები სასეირნოდ დადიან. როგორც ასეთი, გადაადგილების საშუალება და ტრანსპორტი არა“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ).

„ტრანსპორტი რომ გაჩერდა, მაგის მერე ველოსიპედით გადავაადგილდები ... მეუღლეც სარგებლობს კი ხანდახან ... ამჟამად ასეა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი რომ ადარ მოძრაობს თითქმის ყველა თუ არა, ყოველი მეორე-მესამე პიროვნება გადაადგილდება ველოსიპედით აქ, ადგილზე, სოფელში“

(ახმეტა, კაცი, 55 წ).

„ჩემ შვილებს ველოსიპედიც აქვთ, რათემაუნდა, მაგრამ, ერთი ტრანსპორტი გვაქვს და სამი ბიჭია და, როდესაც არ აქვთ საშუალება, ფეხით მოძრაობენ. მით უმეტეს, ერთი მყავს, რეინჯერია და ძალიან ხშირად უწევს ფეხით მოძრაობა“

(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„უბრალოდ, გზებიც არ გვიწყობს ხელს. ცოტა ნაკლებად გამართული ... სამოძრაოდ ვიძახი, თუნდაც ველოსიპედისთვის, თუნდაც ტრანსპორტისთვის, აი, ეგ არის პრობლემა“

(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„იშვიათია, არ არის სოფელში მასობრივად შემოსული ველოსიპედები“

(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„ჩემი შვილი პედაგოგთან როდესაც მიდის, იმავე სოფელში, გადაადგილდება ველოსიპედით“

(ახმეტა, ქალი, 42 წ).



მოდერატორი: რა მიზნით სარგებლობთ ველოსიპედით, გადაადგილებისთვის?

გიორგი: არა, გადაადგილების საშუალებად არ ვიყენებ ხოლმე. ძირითადად ვიყენებ ან გასართობად, ან სასეირნოდ ან სპორტული დანიშნულებისთვის“

(ბათუმი, კაცი, 24 წ).

„ველოსიპედიც მყავს. ველოსიპედით ძირითადად ვსეირნობ. მოგეხსენებათ, ბათუმს კარგი, ლამაზი ბულვარი აქვს და“...

(ბათუმი, კაცი, 37 წ).



მოდერატორი: ანუ, ქალაქური ტრადიციაა რამდენადაც გავიგე, ველოსიპედით სეირნობა?

მამუკა: დიახ, ტრანსპორტისთვისაც იყენებს ბევრი მაგრამ, ველოსიპედი უფრო ჯანმრთელობისთვის, დილას ბულვარში სასეირნოდ, ამისთვის უფრო იყენებენ. ჩემს ირგვლივ ასეა, ყოველ შემთხვევაში“

(ბათუმი, კაცი, 41 წ).

„მე როგორც მოგახსენეთ, ჩემი ერთ-ერთი ჰობი არის ველოსიპედით მოძრაობა და მოგზაურობა და მე ამ შემთხვევაში, ბათუმში საზოგადოებრივ ტრანსპორტში არ ავდივარ და ვმოძრაობ ჩემი ველოსიპედით, ქალაქებარეთაც კი, თუ წვიმის არ არის, ამ შემთხვევაში რომ არ დაჭირდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ძალიან ხშირად ვმოძრაობ ფეხით. მე მანქანაც მყავს მაგრამ იშვიათად თუ ვიყენებ. მე ველოსიპედით ვმოძრაობ. ეს ჩემთვის ვარჯიშის ტოლფასია, ჰაერზე სიარულის ტოლფასია და ძალიან ბევრი დადებითი აქვს ველოსიპედით მოძრაობას“

(ბათუმი, ქალი, 52 წ).

„ნაცნობ-მეგობრებიდან ველოსიპედებით, მე მგონი, არავინ არ დადის“

(თბილისი, ქალი, 53 წ).

მოდერატორი:

ველოსიპედი თუ გყავთ და
თუ იყენებთ?

პაპუნა: ველოსიპედი მყავს, ადრე უფრო ხშირად ვიყენებდი,
ეწლა არა.

მოდერატორი:

რა მიზნით იყენებდით?

პაპუნა: როგორც გართობის საშუალებას.



მოდერატორი:

თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები, მეგობრები,
ახლობლები, მეზობლები რამდენად ხშირად იყენებენ
საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ფეხით თუ დადიან ან
ველოსიპედი რამდენს ჰყავს?

პაპუნა: არა ველოსიპედი მე და ჩემს მეგობარს გვყავს,
დანარჩენები ზოგი ტრანსპორტს იყენებს, ზოგიც მანქანას”
(თბილისი, კაცი, 32 წ.)



თბილისი

საზოგადოებრივ ტრანსპორტს არ ვიყენებ,
შეძლია ფეხითაც გადავადგილდე ან
ველოსიპედით. ბუნებაზე ვზრუნავ და რაც
ნაკლები გამონაბოლქვი იქნება, მით უკეთესი
დედა-ბუნებისთვის

კაცი, 21 წ.

მოდერატორი:

ინფრასტრუქტურა თუ
იქნებოდა ველოსიპედს
გამოიყენებდით როგორც
გადაადგილების
საშუალებას ან
გართობის მიზნით?

დიმიტრი: ველოსიპედი მყავს, მაგრამ დიდი ხანია
აღარ დავდივარ იმ კონკრეტული მიზეზის გამო, რომ
ქალაქში არ გვაქვს ინფრასტრუქტურა.

დიმიტრი: აუცილებლად, თუ იქნებოდა უსაფრთხო
ინფრასტრუქტურა, გამოვიყენებდი როგორც
გადაადგილების საშუალებას”

(თბილისი, კაცი, 51 წ.)

5.2.

გამოკიდებულება ბიოლოგიურად სუვთა საკვები პრეზენტის/ბიოპრეზენტის მიმართ

ჯანსაღი საკვები პროდუქტები ერთმნიშვნელოვნად
პრიორიტეტია ყველა ჯგუფისთვის, მაგრამ
ბიოლოგიურად სუვთა პროდუქტი ხშირად
სოფელში წარმოებულ, ე. წ. „სოფლის“,
ნატურალურ პროდუქციასთან ასოცირდება.

როდესაც სოფლის პროდუქცია არ არის ხელმისაწვდომი, მონაწილეები სუპერმარკეტების კონსულტანტთა რჩევას ან/და პროდუქციაზე დატანილ წარწერებს ითვალისწინებენ, თუმცა ზოგიერთი მონაწილე უნდობლობას უცხადებს მარკეტებიდან მიღებულ ინფორმაციას და მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ამ საკითხს „უნდა აკონტროლებდეს“.

გამოვლინდა ბიოპროდუქტის ყიდვაზე უარის შემთხვევებიც - მათი სიძვირის გამო. ამავე მიზეზით, ეს პროდუქტები ფიზიკურადაც არ არის ხელმისაწვდომი გარკვეულ მარკეტებში.

დისკუსია დაიწყო კითხვით: რა დამოკიდებულება გაქვთ ბიოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტების ანუ ბიო პროდუქტების მიმართ? რამდენად აქცევთ ყურადღებას ბიო პროდუქტის ყიდვას? როგორ განასხვავებთ ბიო პროდუქტს სხვა პროდუქტისგან?

„სოსო: ბიო პროდუქტს აქვს წარწერა რომ ბიოა, მაგრამ მე არ ვყიდულობ.

მოდერატორი: რატომ?

სოსო: ძვირია ეს საქონელი

მოდერატორი: და ხელმისაწვდომი რომ იყოს, იყიდიდით?

სოსო: რა თქმა უნდა“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ).

„ივერი: სოფლის პირობებში მცხოვრები ადამიანისთვის არსებობს გარკვეული წილი ეს პროდუქცია, მაგრამ მის გარეშე, რა, თქმა, უნდა, არსებობს საჭიროება და მიყიდია. ისეთ ქსელურ მარკეტებთან მქონია შეხება, რომელბასც ჰქვია ბიო და ვიცი მოწმდება. აქ ითქვა და აღინიშნა ვადას, გამოშვების წელს ვაქცევთო ყურადღებას.

მოდერატორი: თქვენ აღნიშნეთ, რომ სოფელში მცხოვრები ადამიანისთვის ეს არ წარმოადგენს პრობლემას. ამაში ის იგულისხმეთ, რომ თქვენს ეზოში მოყვანილი პროდუქცია თავისთავად არის ბიოპროდუქცია?

ივერი: დიახ, სოფლის პირობებში დამზადებული ნატურალურია“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ).

„დიახ, აქ გაუღერდა რომ ვყიდულობთ პროდუქტებს, მაგრამ ძალიან ძვირია. ბიო პროდუქტი სოფლად არ არის ჩვენთან ხელმისაწვდომი და არც ეკონომიკურად არის საშუალება, რომ შევისყიდოთ

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ).

„მოდერატორი: მაინც თქვენი აზრით, ბიო პროდუქტი სხვა პროდუქტისგან როგორ შეიძლება რომ გამოვარჩიოთ?

ჯაბა: ეხლა, მაგალითად, სოფელში მოყვანილი და ნაყიდი კიტრი რომ დადო, მიხვდები, რომ არაა ნატურალური, არც ფერს იცვლის და არც არაფერს“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 26 წ).

„ანუ, ოჯახში მოყვანილი ჩემთვის ნატურალურია და ვცდილობთ, ნატურალური მივირთვათ ოჯახის წევრებმა“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 36 წ).

„ყოველნაირად ვცდილობთ ვიყიდოთ ბიოპროდუქტები. მაგალითად, სოფელში მეც მომყავს, ვაშენებ ქათამია თუ ბოსტნეული, ყველაფერი, მაგრამ, როცა ბაზარში მივდივარ, გაპრიალებულს და ძალიან ლამაზად რომ გამოიყურება, ისეთი პროდუქტისკენ თვალი არ გამირბის. ვიცი, რომ ის შეწამლულია ან რაღაც ასეთი“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ).

„ვიცი სხვადასხვა სოფლებში რა მოჰყავს ხალხს და უფრო სოფლად მოყვანილი პროდუქტია ბიოპროდუქტი“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).



„**აბრაში:** ისეთ პროდუქტზე მაქვს მე საუბარი, რომელსაც ჩვენი ხელით ვუვლით, ჩვენი ხელით ვთესავთ, მოგვყავს და არ ვიყენებთ არანაირ დანამატებს, შხამ-ქიმიკტებს და ა.შ.

მოდერატორი: დიდი მადლობა აბრამ. თუ ცნობილია, როგორი ნიადაგია თქვენთან? იქნებ ნიადაგი შეიცავს რაიმეს, რაიმე ანალიზი თუა გაკეთებული მაგალითად?

აბრაში: ჩვენს შემთხვევაში მე არასდროს გამიკეთებია ნიადაგის ანალიზი, უბრალოდ მე ვხვდები როდის რა სჭირდება ნიადაგს. მაგალითად, თუ სასუქი აკლია ან რაღაც, მაშინაც შეგვაქვს ჩვენ ბიოლოგიურად სუფთა დამწვარი პატივი და მაგას ვაყრით“
(ახმეტა, კაცი, 20 წ).

„ჯერ ერთი, სახლში საკმაოდ დიდი მეურნეობა მაქვს. ბოსტენული, ალბათ, ყველაფერი, ფაქტობრივად, ჩემი ნაკვეთიდანაა, რასაც ვიყენებთ, როგორც აქ, ისე თუმეთში, სასტუმროში. მყავს ძროხა, ფრინველი, კვერცხს, ყველაფერს, ფაქტობრივად. იშვიათ შემთხვევაში ვყიდულობ, მაგრამ, თუ ვყიდულობ, ვაქცევ ყურადღებას, რომ იყოს ბიოლოგიური, იმიტომ, რომ წლების წინ ვიყავი საბერძნეთში და იქიდან ვიცი, როგორი ყურადღება ექცევა და რამხელა მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიური საკვების მიღებას“

(ახმეტა, ქალი, 57 წ).

„შეძლებისდაგვარად ვცდლობთ, მაგრამ, რაც გვაქვს სეზონურად, ჩვენი ბალიდან მოგვყავს, რაც შეიძლება სეზონზე. მაგრამ დანარჩენი ხნის განმავლობაში ვყიდულობთ ბაზრიდან, მაგრამ რამდენად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია, არ ვიცი. ეგეთი პროდუქტები ძალიან ძვირია ... განსხვავება რომ არ იყოს ფასში, მაინდამაინც, თავისთავად, ბიოპრდოუქტს რა ჯობია

(ახმეტა, ქალი, 50 წ).

„მეც იგივე შემიძლია გითხრათ. ის, რაც არის ჩვენს ბაღში მოყვანილი, ვენდობი და ვიცი, რაც არის და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტია, მაგრამ ის, რასაც მაღიზებში, ბაზრებსა და მარკეტებში ვიძენთ, ამისი ნდობა ნამდვილად არ მაქვს. ფაქტობრივად, ვთვლი, რომ საქართველოში ამის რეგულირებაც არ ხდება და არც კონტროლი და, სიმართლეც რომ გითხრათ, გარდა თარიღისა სხვას არც არაფერს არ ვაქცევ ყურადღებას. იმიტომ, რომ არ მჯერა ... ეს ინფორმაცია აუცილებლად უნდა არსებობდეს ... პირველ რიგში, ქვეყანაში ეს უნდა კონტროლდებოდეს“

(ახმეტა, ქალი, 55 წ).

„ვცდილობ, ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი, აქ მოყვანილი გამოვიყენო, ინფორმირებული არ ვარ, ნიადაგი რამდენად სუფთაა“

(დედოფლისწყარო, ქალი, 45 წ).

„ვაქცევ ყურადღებას; მე მაქვს ინფორმაცია და ჩვენთან მოყვანილი პროდუქტი სუფთაა, სად შეიძლება ინფორმაციის ნახვა არ ვიცი, მითხრეს“

(დედოფლისწყარო, ქალი, 52 წ).

„ჩვენ მოგვყავს ან ბაზარში აქ მოყვანილს ვყიდულობ“

(დედოფლისწყარო, ქაცი, 27 წ).

„რაც აქ მოდის, ვცდილობთ აქაური ვჭამოთ“

(დედოფლისწყარო, ქაცი, 45 წ).

„შეძლებისდაგვარად ... სოფელში მოწეულ პროდუქციასაც გვიგზავნიან, მაგალითად, ბებია და ბაბუა, მაგრამ რიგი პროდუქტების შეძენა გვიხდება სასურსათო მაღაზიებში და ესეთ დროს რა თქმა უნდა ვცდილობთ შევიძინოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ბიოპროდუქტი, მაგრამ რამდენად ვაზერხებთ ამას, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში ხდება ისე, რომ ვთქვათ არის მითითებული ბიოლოგიური პროდუქტი მაგრამ შეიძლება არ აღმოჩნდეს

(ბათუმი, ქალი, 31 წ).

„სოფელში მოყვანილზე ვერ მიენდობი მარტო, იმიტომ რომ აქაც ძალიან ბევრ წამლებს იყენებენ და რომ ჰკითხო ბიოა მაგრამ თვითონაც არ იციან რა შხამებს უკეთებენ და წამლავენ პროდუქციას და ასე რომ, რა ვიცი, ძალიან რთულია საქართველოში, რომ სუფთა ბიოპროდუქტი შეიძინო

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„ვცდილობთ სოფლის შევიძინოთ“

(ბათუმი, კაცი, 43 წ).

„სუპერმარკეტში ვმუშაობ და ვიცი, როგორ გავარჩიო
ნამდვილი ბიოპროდუქტი“

(ბათუმი, კაცი, 27 წ).

„დიახ, ვცდილობ ყოველთვის შევიძინო ბიო პროდუქტი.
სოფლის პროდუქციას ვყიდულობ“

(თბილისი, ქალი, 53 წ).

„ხილ-ბოსტანს ძირითადად ვყიდულობ ერთ მაღაზიაში,
რომლის გამყიდველს მოაქვს სოფლიდან პროდუქტი.
იერზეც ეტყობა, რომ ჯანსაღი მოყვანილია“

(თბილისი, ქალი, 22 წ).

„კი ვყიდულობ და ვარჩივ წარწერებით ეტიკეტზე, მაგრამ
უფრო სოფლის პროდუქციას ვანიჭებ უპირატესობას“

(თბილისი, კაცი, 46 წ).

„როდესაც რაღაცას ვყიდულობ ყოველთვის ვანიჭებ
უპირატესობას წავიკითხო შემადგენლობა, რაც შეიძლება
ნაკლები ემულგატორები და საღებავი რომ არ იყოს,
რომელიც სიცოცხლისთვის საზიფათოა და ეხლა ხანს
ერთ-ერთ ფერმერთან დავდეთ პირობა, რომ მომამარაგოს
სოფლის კვერცხით, რძის ნაწარმით. შემიძლია დავურკვო
კვირის ან თვის ბოლოს და ასე შევიძინო სოფლის
ნატურალური პროდუქტი“

(თბილისი, კაცი, 21 წ).

„მე წარწერებს დიდად არ ვენდობი, წარმოდგენა მაქვს
ბრენდების იმიჯზე და შესაბამისად ვსარგებლობ. სოფლის
პროდუქტსაც ვყიდულობ ხშირად“

(თბილისი, კაცი, 32 წ).



„ყოველთვის ბიოლოგიურად სუფთა პროცესებს
ვყიდულობ ... რაც შეფუთვამია, არ ვყიდულობთ,
ვცდილობთ, რომ ბაზარში რაც არის, სოფლის,
ის ვიყიდოთ“

(თბილისი, ქალი, 52 წ).

5.3.

გამოკიდებულება ენერგორესურსების მიმართ

ენერგორესურსების მიმართ საკმაოდ
ფრთხილი, რაციონალური და
მულტიფაქტორული მიდგომა გამოვლინდა.
ძირითად ფაქტორებს შორის ფიგურირებს:

- ფინანსები, რაც, თავის მხრივ, მოიცავს
(1) ფინანსურ ხელმისაწვდომობას და
(2) ეკონომიკურობით მიღებულ სარგებელს.

■ ეკონომიურობით მიღებული სარგებელი მონაწილეებმა განიხილეს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში;

■ გამოვლინდა დიფერენცირებული დამოკიდებულება ფინანსური ფაქტორების მიმართ: ფინანსური ხელმისაწვდომობა ბევრად უფრო ძლიერი და ერთმნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე ეკონომიურობით მიღებული სარგებელი.

ჯანმრთელობასთან მიმართება: რამდენად უსაფრთხოდ მოიაზრება ამა თუ იმ კონკრეტული მოწყობილობის გამოყენება ჯანმრთელობისთვის; შეესაბამება ის ინდივიდის, კონკრეტული ადამიანის ჯანმრთელობას (მაგ: მხედველობის მდგომარეობა, სხვადასხვა ტიპის განათებაზე რეაქცია და ა.შ.)?

ფუნქციის მესრულების ხარისხი: რამდენად აკმაყოფილებს ენერგორესურსის ან/და მოწყობილობის გამოყენება კონკრეტულ საჭიროებას, ხშირად უფრო ძლიერ ფაქტორად განიხილება, ვიდრე დანაზოგით მიღებული ფინანსური სარგებელი.

კომუნიკაციები: რამდენად მოსახერხებელია ინდივიდისთვის კონკრეტული ფორმის რესურსებისა და მოწყობილობების გამოყენება.

ინფორმირებულობის ხარისხი: იკვეთება საჭიროება, რომ მოსახლეობას უფრო კონკრეტული ცოდნა, სანდო და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიეწოდოს ენერგორესურსების ეფექტიან გამოყენებასა და დაზოგვაზე. ამჟამად ინფორმაციის ძირითადი წყაროა გაყიდვის წერტილებში მიღებული ინფორმაცია: შეძენის წამახალისებელი კონსულტაცია, სარეკლამო შეტყობინებები, ჩანაწერები, წარწერები და ა.შ.

ენერგოეფექტური ნათურების გამოყენების შესახებ მიღებული ინფორმაცია რაოდენობრივი კვლევის შედეგების სასარგებლოდ მეტყველებს: ენერგოეფექტური ნათურებით სარგებლობა საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკა. ამასთან, ფოკუსაჯგუფის ფორმატით გამოვლინდა, რომ მონაწილეებმა კარგად იციან მათი სახელწოდებები და ფინანსური უპირატესობები, რაც მნიშვნელოვანწილად უკავშირდება გაყიდვების სტიმულირებას.

თუშეთში ენერგოეფექტურ ნათურებს იყენებენ ენერგიის განახლებადი წყაროებით (მზის ენერგიით) სარგებლობის გამო.

მათზე უარის თქმის მიზეზებად დასახელდა: სიძვირე, ჯანმრთელობის საფრთხე, შეუთავსებლობა არსებულ ელექტროგაყვანილობასთან, არაკომფორტულობის შეგრძნება ან/და ფუნქციის არასათანადოდ შესრულება (მიუღებელია მათი ნათება).

ასეთი ნათურებით სარგებლობის მოტივთა შორის არ გამოვვეთილა ბუნებრივ გარემოზე ზრუნვა, თუმცა თვითონ შეკითხვაც არ იყო ორიენტირებული მოტივების გამოვლენაზე.

5.3.1.

ენერგოეფექტური ნათურების გამოყენება

„ვიყენებ ენერგოეფექტურს, ბევრი იყენებს“
(დედოფლისწყარო, ქალი, 25 წ).

„ენერგოეფექტურს ვიყენებთ ზოგან, ზოგან ჩვეულებრივსაც, გააჩნია, სად როგორი განათება გვჭირდება“
(დედოფლისწყარო, ქალი, 67 წ).

„ვიყენებ ენერგოეფექტურს, ზოგი ძვირი ღირს და ყველა ვერ იყენებს“
(დედოფლისწყარო, კაცი, 29 წ).

„ოჯახში ყველაზე მეტად; ვიყენებ ენერგოეფექტურს“
(დედოფლისწყარო, კაცი, 45 წ).

„კი, საკმაოდ ყველგან ეგ ენერგოეფექტური ნათურები მიყენია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ნათურებიც სხვა ნათურებთან შედარებით საკმაოდ ძვირი ღირს. დაახლოებით, საშუალოდ, ხუთი ლარი მაინც ღირს კარგი ნათურა. მაგრამ ეკონომიკურია და უფრო გამძლეა, ვიდრე ჩვეულებრივი ნათურა
(ბათუმი, კაცი, 43 წ).

„ენერგოეფექტურ ნათურებს ნაწილობრივ ვიყენებთ. მოგეხსენებათ, ძველი რემონტები და სისტემები ბევრი შეუთავსებელია და სადაც შესაძლებელია, დავუშვათ, სველ წერტილებში, პალოგენური განათება სადაც შესაძლებელია იქ ენერგოეფექტურები გვიყენია. ჭაღზე ვერ დააყენებ და...“

(ბათუმი, კაცი, 41 წ).

„ჩვენ იმიტომ არ ვიყენებთ, რომ თეთრი ნათების ნათურა, რომელიც ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს ძალიან ცუდ მდგომარეობაში მაყენებს, ასე მგონია რაღაცა მჭირს როცა ეს ნათურა გვაქვს ჩართული. ანუ, პირადად ჩემზე ცუდად მოქმედებს ეს ეკონომიკური ნათურები

(ბათუმი, ქალი, 27 წ).



მოდერატორი: ნინო, თქვენ რატომ დაიწყეთ ამ ნათურების გამოყენება?

ნინო: მაღაზიაში გვირჩია გამყიდველმა რომ ძალიან ეკონომიკურია და გამოვაყოლე“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

მოდერატორი: ენერგოეფექტურ ნათურებს თუ იყენებთ სახლში?

ჯაბა: კი, ეხლაც ის მაქვს ანთებული.

მოდერატორი: ყველგან ამ ნათურებს იყენებთ თუ სხვებსაც?

ჯაბა: არა, მთლიან სახლში ეგ გვაქვს
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 26 წ).



მოდერატორი: ენერგო ეფექტურ ნათურებს თუ იყენებთ?

ნიკა: ძირითადად არ ვიყენებ.

მოდერატორი: რატომ?

ნიკა: ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ძვირია.

მოდერატორი: ხელმისაწვდომი და იაფი რომ იყოს შეიძენდით?

ნიკა: ალბათ არ შევიძენდი, რადგან ცივი განათება უფრო მოქმედებს ჩემზე და გამიგია, რომ ცივი განთება უფრო საფრთხის შემცველია ჯანმრთელობისთვის“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ.**)

„კი, გადავედით ჩვენ ამ ნათურებზე, მართალია ძვირია, მაგრამ დიდხანს ძლებს, შეიძლება ერთ წლამდე გაძლოს და 50 თეთრიანი ნათურები 1კვირაზე მეტხანს ვერ ძლებს. ძირითადად, ამიტომაც გადავედით ენერგოეფქტურ ნათურებზე

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 53 წ.**)

„ენერგოეფქტურ ნათურებს ჩვენ ოჯახში მაგალითად კარგად ვიყენებთ. თითქმის გადაყვანილი მყავს ყველაფერი ენერგოეფქტურ ნათურებზე“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ.**)

„ვინაიდან ჩემი ოჯახის უფროსები ამაზე ზრუნავენ, კი რა თქმა უნდა. ძვირი ღირს ელექტროენერგიის დამზოგავი ნათურები ესეც გვაქვს ყველგან თითქმის“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ.**)

„როგორც ესეთი ნათურებზე არ შემიძლია ვთქვათ. აივანზე რომელიც მაქვს ისაა ეკონომიური და მისაღებში და საძინებელში - ჩვეულებრივია, რომ კარგი ნათება ჰქონდეს“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ.**)

„დიახ, განათება არ მომწონს“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ.**)

„თვალებზე მოქმედებს და არ მინდა ბავშვებმა ასეთი ნათურით ისარგებლონ და არ ვიყენებთ ასეთ ნათურებს. ვცდილობთ რომ დაბალი ვატის იყოს ნათურია“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ.**)

„კი ეკონომ ნათურებს რომ ეძახიან, მაგას ვიყენებთ
თუშეთშიც და კახეთშიც“

(ახმეტა, კაცი, 55 წ).

„დიახ, ძირითადად ენერგო ეფექტური ნათურები გვაქვს“
(ახმეტა, კაცი, 20წ).

„ლენა: დიახ, ვიყენებ ენერგოეფექტურ ნათურებს, მაგრამ
ამბობენ, რომ მხედველობისთვის არ ყოფილა კარგი,
მაგრამ, არ ვიცი, ჯერჯერობით ვიყენებ.“



მოდერატორი: ყველგან,
თუ მხოლოდ გარკვეულ
ადგილებში, მოახებში?

ლენა: ახმეტაში ზოგადად, უფრო ... საცხოვრებელ ოთახში,
მისაღებ ოთახში ... თუშეთში ენერგოეფექტური ნათურები
უნდა იყოს, თორემ მზის ენერგიაზე სხვა არ მუშაობს, არ
შეიძლება“

(ახმეტა, ქალი, 50 წ).

„მოდერატორი: ენერგოეფექტურ ნათურებს თუ იყენებთ?“

იდაიათი: კი, თითქმის ყველა ნათურა ასეთია.

მოდერატორი: რამდენი ხანია?

იდაიათი: „რემონტი ეხლა დავასრულეთ და დაახლოებით
3 თვეა“

მოდერატორი: კმაყოფილი ხართ მისი გამოყენებით?

იდაიათი: კი, ძალიან, რეალურად მომცა ეკონომიკა და
ნაკლებად შემაწუხებელია“

(თბილისი, კაცი, 29 წ).

„ენერგო ეფექტურ ნათურას არ ვიყენებ იმიტომ, რომ
თვალებს მტკენს“

(თბილისი, კაცი, 26 წ).

„კი, ვიყენებ არა შერეულად, არამედ მთლიანად“

(თბილისი, ქალი, 32 წ).

„უფრო შერეულად“

(თბილისი, ქალი, 53 წ).

5.3.2.

დამოკიდებულება ელექტროენერგიის დაზოგვის მიმართ - ნათურების შემთხვევა

ენერგორესურსების დაზოგვა და, ზოგადად, დანახარჯების კონტროლი, რაციონალური ქცევაა. ერთი შეხედვით, ის უპირობოდ მისაღები უნდა იყოს, განსაკუთრებით, ისეთ ქვეყანაში, სადაც მასობრივი ეკონომიკური გასაჭიროა. თუმცა შეკითხვამ - „რამდენად აკონტროლებთ, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როდესაც საჭირო არ არის?“ -არაერთმნიშვნელოვანი ტენდენციები გამოავლინა:

მონაწილეთა უმრავლესობამ კითხვას დადებითად უპასუხა - ისინი აკონტროლებენ, რომ ნათურა მხოლოდ საჭიროებისას იყოს ჩართული. საჭირისპირო პასუხები ცალკეულ შემთხვევებში დასახელდა, რომელთა ანალიზით გამოკვეთილი ტენდენცია შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს როგორც ზოგადად, ისე სამომავლო პერსპექტივაში:



მოდერატორი:
ენერგოეფექტურ ნათურებს
თუ იყენებ?

როინი: კი, ვიყენებთ.

მოდერატორი: თუ აკონტროლებთ, რომ ნათურა ზედმეტად, საჭიროების გარეშე არ იყოს ჩართული?

როინი: როდესაც საჭიროება არ ითხოვს, რა საჭიროა დაზოგვა?”

(მათაღმმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ).

„მოდერატორი: თუ აკონტროლებთ, რომ ნათურა ზედმეტად, საჭიროების გარეშე არ იყოს ჩართული?


იდაიათი: არა, ნათურა ისედაც ეკონომიკურია და არ სჭირდება გაკონტროლება“

(თბილისი, კაცი, 29 წ).



სალომე: „უფროსი წევრები აკონტროლებენ უფრო“
(თბილისი, ქალი, 18 წ.).

ქათი: რაც შეეხება კონტროლს, დედა აკონტროლებს. მე საკმაოდ უგულისყუროდ ვარ, ამიტომ შესამჩნევია, რომ
დედა აკონტროლებს.



„ნათურას, ტექნიკას, ძაცივარს, სარეცხ მანქანას აწერია,
რომ ნაკლებ ენერგიას მოიხმარს და აუდან გამომდინარე
არ ვაკონტროლებ“

(თბილისი, ქალი, 40 წ.).

ენერგოეფეტური ნათურის მასობრივი გამოყენება თავისთავად მეტყველებს, რომ ეკონომიკურობა მნიშვნელოვანი საკითხია. წინა ქვეთავში (5.2.1.) წარმოდგენილი ციტატების ნაწილი ასახავს ფაქტორებს, რომლებიც, გარკვეულ შემთხვევებში, ეკონომიკურობაზე ძლიერია; ამ ქვეთავში კი სახელდება არა კონკრეტული არგუმენტები, არამედ უფრო ზოგადი დამოკიდებულების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები. მათი ავტორებისთვის ენერგოეფეტური ნათურებით მიღებული დანაზოგი მნიშვნელოვანია, **თუმცა უშუალოდ ნათურების კონტროლით მიღწეული ეკონომიკა აღარ არის არსებითი.** ეს მიანიშნებს, რომ ქვეყნაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის მიუხედავად, დანაზოგის სარგებელს ყოველი ადამიანი ინდივიდუალურად განსაზღვრავს, ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით, „ადეკვატურობის ფარგლებში“, რომლის მიღმაც თავს უფლებას აძლევს, ეკონომიკური აღარ იზრუნოს. მართალია, დაზოგვა რაციონალური ქცევაა, თუმცა რეგულარული კონტროლი გარკვეულ დროს, ენერგიასა და ყურადღებას მოითხოვს. ეს ჩანს იმ მონაწილეთა პასუხებშიც, რომელთა ოჯახებშიც ნათურებს სხვა წევრები აკონტროლებენ; მეტიც, ენერგოეფეტური ტექნიკის შეძენის ერთ-ერთი მიზანი შეიძლება მუდმივი კონტროლის არიდება იყოს. „**აწერია, რომ ნაკლებ ენერგიას მოიხმარს და, აქედან გამოდინარე, არ ვაკონტროლებ**“. შესაბამისად, ეს დიაპაზონიც ფარდობითა და შეიძლება შეიცვალოს ინდივიდის ფინანსური მდგომარეობის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ცნობიერების ასამაღლებელი სტრატეგიისა და კომუნიკაციის კამპანიის დაგეგმვისას, ეკონომიკურობა ნამდვილად შეიძლება განვიხილოთ **დამატებითი ფაქტორად** კლიმატმებობრული ქცევების წასახალისებლად, თუმცა საკითხავია სხვა რამ: რამდენად სწორი იქნება მისი განსაზღვრა **ძირითად მამოტივირებელ ფაქტორად**, რადგან დაზოგვით მიღებულმა სარგებელმა შეიძლება დაკარგოს აქტუალობა ინდივიდის ან/დაქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად. ზემოთ განხილული შედეგების გათვალისწინებით, მაღალი ცნობიერება და სოციალური პასუხისმგებლობა ამ კუთხით შეიძლება ბევრად მდგრად ფაქტორებად ჩაითვალოს.

5.3.3.

ენერგორესურსების დაზოგვის ძირითადი ფორმები

ენერგორესურსების დაზოგვის ძირითადი ფორმაა მათი რაციონალური გამოყენება. ძვირადღირებული მოწყობილობების ან ავტომობილის შეძენისას, ენერგოეფექტურობას მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს ფინანსური ხელმისაწვდომობა, ფუნქციის შესრულების ხარისხი, გამძლეობა და ვიზუალი.

გათბობის ძირითადი საშუალებაა ბუნებრივი აირი და შემა, იშვიათად სახელდება ელექტროენერგიაც. გამონაკლისის სახით აღინიშნა ნახერხი და ნაჭუჭი. გათბობის სხვა ალტერნატიული საშუალებები, შესსენებისა და ჩაძიების მიუხედავად, არ გამოვლენილა.

ენერგოზოლაციის ყველაზე გავრცელებულ საშუალებაა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა და, ცალკეულ შემთხვევებში, კედლების ან ჭერის დათბუნება (მუყაო-თაბაშირით). თუმცა, გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს საშუალებები შეიძლება საშიში იყოს ჯანმრთელობისათვის და უკეთესია ბუნებრივი სამშენებლო მასალის გამოყენება (ხის კარ-ფანჯარა, აგური).

ენერგიის განახლებადი წყაროების რეგულარული გამოყენება მხოლოდ ახმეტის/თუშეთის ჯუფებში აღინიშნა (უფრო თუშეთში, ვიდრე ახმეტაში). თუშეთში ენერგიის ძირითადი/ერთადერთი წყაროა მზის ბატარეები, რომელთა გამოყენება უკავშირდება ტურისტულ/სასტუმროების ბიზნესს და შესაძლებელია კაპიტალის ინვესტირებით, ან გრანტის მოპოვებით. ახმეტაში მათ ვერ იყენებენ ფინანსური ხელმიუწვდომლობის გამო.

თუშეთის ჯუფები გამოვლინდა, რომ მზის ბატარეებით მოსარგებლე ოჯახები ცდილობენ, ენერგოეფექტური ელექტროტექნიკა შეიძინონ, რათა ბატარეებმა შეძლონ მათი ამუშავება. შესაბამისად, ენერგიის განახლებადი წყაროების მხარდაჭერა ენერგოეფექტური ტექნიკის გამოყენების მხარდაჭერაც იქნება.



მოდერატორი: ელექტრონურგიას თუ ზოგავთ?

ჯაბა: კი, მაგალითად ტელევიზორი თუ არის ჩართული და არავინ არ აქცევს ყურადღებას გამოვრთავ

მოდერატორი: ელექტრონურგიის დაზოგვის სხვა საშუალებას ხომ არ იყენებთ? არ მახსენდება.

(მათალმთიანი აჭარა, კაცი, 26 წ).

„მოდერატორი: საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას თუ ითვალსიწინებთ რამდენად ეკონომიკურად მოიხმარს ენერგიას?

როლანდი: არა, არ ვამახვილებ ამაზე ყურადღებას.

მოდერატორი: ავტომობილის შეძენისას თუ გაგითვალისწინებიათ, რამდენად ეკონომიკურად მოიხმარს საწვავს?

როლანდი: სამწუხაროდ, ვერ ვაკონტროლებთ მაგასაც, გააჩნია, რა დირს
(მათალმთიანი აჭარა, კაცი, 53 წ).

„მე და ჩემს ოჯახს ეს არასდროს არ გაგვითვალისწის-ნებია, უფრო ვაქცევთ ყურადღებას მის ხარისხს, გამძლეობას“
(მათალმთიანი აჭარა, კაცი, 53 წ).

„დიახ, ნამდვილად. ვიცი, რომ ელექტრონურგიის მოხმარების მიხედვით ელექტროტექნიკა იყოფა კლასებად. რამდენიმე წლის წინ მქონდა ასეთი შემთხვევა, რომ შევიძინე მაცივარი, უფრო ყურადღება გავამახვილე ვიზუალზე, სიდიდეზე და შევიძინე “ბ” კლასის, შემედგში, როცა მაგალითად, ვიყიდე სარეცხი მანქანა, ავარჩიე “აზ+” რომელიც უფრო ეკონომიკურია“

(მათალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ).



სოსო: რა თქმა უნდა, თანდათან გადავდივართ უფრო მეტალო-პლასტმასის ფანჯრებზე, სითბოგაუმტარია.

მოდერატორი:

რით თბებით ზამთარში?

სოსო: ძირითადი საშუალება შეშა, ზოგჯერ შეიძლება ელექტრონურგია“

(მათალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ).

„ასევე დავიწყე ჭერის მუყაო-თაბაშირით მოპირკეთება, რადგან ნაკლებ სითბოს ატარებს“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ.).



მოდერატორი: სახლში ან ბიზნესში თუ
გამოგიყენებიათ ენერგის განახლებად
წყარო?

ნიკა: არა“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ.).

„ჩვენ ვიყენებთ შეშას, მაგრამ მამიდასთან მინახავს
ნახერხი“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 26 წ.).

„ჩვენს სოფელში არის რამდენიმე რომელიც ჩვენნაირად
მოიხმარს ნაფექს, მაგრამ ძირითადად მოსახლეობა ჯერ
კიდევ თბება შეშით“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ.).

„ზამთარში როდესაც სიცივეა და გვინთია ღუმელი,
ღუმელში ვაცხობთ პურს, როგორც სასტუმროსთვის, ასევე
საკვები ობიექტისათვის. პირველი, რასაც ვკითხულობთ,
შეიძლება თუ არა მზის ბატარიით გამომუშავებულ
ენერგიაზე რომ იმუშაოს და აյ არის პლუსები A+, A3+,
მაგალითად. თუკი იყო არჩევის საშუალება, ასეთს
ვარჩევდით, მაცივარს, სარეცხის მანქანს. ხო, სხვა,
თუშეთში ელექტროენერგიას, ძირითადად, ამათვის
ვიხმართ“

(ახმეტა, ქალი, 57 წ.).

„ბოლოს შევიძინე მტვერსასუტი, მაგრამ უფრო ის
გავითვალისწინე, რამდენად მძლავრად უბერავდა ჰაერს“
(ახმეტა, ქალი, 50 წ.).

”

მოდერატორი: მზის ენერგიას თქვენც იყენებთ?

ხატია: კი, თუშეთში კი. სასტუმრო გვაქვს და ამიტომ აუცილებელია და იქ, ანუ, თვითონაც დააფინანსეს და მერე თვითონაც დაამატეს, ვერ ყოფნიდა, თუ რაღაც. მოდერატორი: ვინ დააფინანსა?

ხატია: ჩეხების რაღაც პროექტი იყო, თუ არ ვცდები, ჩეხებმა, მე მგონი.

მოდერატორი: მადლობა, ხატია და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რომ იყოს, სადაც ძირითადი საცხოვრებელი გაქვთ, ანუ, ბარშიც თუ გამოიყენებდით?

ხატია: კი, დიდი სიამოვნებით“

(ახმეტა, ქალი, 26 წ).

„ელექტროტექნიკის შეძენისას კი, ვითვალისწინებ, რომ ცოტა დენს ხარჯავდეს. შესაძლებლობის ფარგლებში, თუ ფასი ხელმისაწვდომია“

(დედოფლისწყარო, კაცი, 51 წ).

„მანქანის შეძენისას ადრე არ გაგვითვალისწინებია, მაგრამ აუცილებლად გავითვალისწინებთ“

(დედოფლისწყარო, ქალი, 52 წ).

„რომ დავაკვირდეთ, ბათუმში უკვე 70% მგონი ჰიბრიდი და დატენვადი მანქანებია შემოსული ... ელექტროტექნიკას, გააჩნია რას შეიძენ. აი, მაგალითად წყლის გამაცხელებელი, ეგრეთწერდებულ „ატმორს“ რომ ეძახიან, თუ შეიძინე 3-4 კილოვატიანი ის არ მუშაობს ისე როგორც 9 კილოვატიანი. 9 კილოვატიანი მეტ ენერგიას ხარჯავს, მაგრამ წყალს აცხელებს ძალიან კარგად, ანუ, საჭიროების მხრივ უნდა გათვალი ეს, თორე ეკონომია რომ გააკეთო და 3 კილოვატიანი იყიდო და არ გააცხელოს, არ გამოდგება ესეთი ნივთი და ყოველთვის ხარისხში ვამახვილებ ყურადღებას

(ბათუმი, კაცი, 46 წ).

”

გიორგი: დიახ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ. მოგეხსენებათ, თანამედროვე ელექტროტექნიკას, როდესაც მაღაზიაში ყიდულობ, იმას აქვს თავისი ამსახველი რამდენ კილოვატს მოიხმარს და რამდენ ენერგიას მოიხმარს და ყურადღებას ვაქცევ შეძენისას.

მოდერატორი: და ენდობით ამ წარწერებს?

გიორგი: დიახ, ვენდობი

(ბათუმი, კაცი, 24 წ.).

„რათქმაუნდა ბუნებრივი ამბავია, ის რომ რაც მეტად ეკონომიურია ესა თუ ის ხელსაწყო შესაძლოა ამან გადაწონოს სხვა რაღაც უმნიშვნელო პარამეტრები, მაგრამ აქ ითქვა რომ მთავარი დანიშნულებიდან ვერ გადავუხვევთ ეკონომიურობის გამო“

(ბათუმი, კაცი, 41 წ.).

”

მოდერატორი: რით თბებით ზამთარში?

ბექა: ბუნებრივი აირით“

(ბათუმი, კაცი, 27 წ.).

„**მოდერატორი:** მადლობა. საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას, ითვალისწინებთ თუ არა რამდენ ელექტროენერგიას მოიხმარს ის?

თეონა: ვცდილობ, გავითვალისწინოთ, მაგრამ მე მგონი, რომ მაინც იშვიათად გამოგვდის კონკრეტულად მაგ პრინციპით შერჩევა.

ანუ, ფასსაც ვუყურებთ, ეკონომიურობასაც ვუყურებთ და ყველაფერი ერთად თუ შეგვხვდა, თუ არადა მაინც ვყიდულობთ.

მოდერატორი: ავტომობილის შეძენისას თუ გაითვალისწინეთ რამდენად ეკონომიურად მოიხმარდა საწვავს?

თეონა: როცა ავტომობილს ვყიდულობდით, მთავარი ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ ყოფილიყო მაქსიმალურად გამართული. ეკონომიურიც კი გვინდოდა, მაგრამ აქცენტი უფრო გავაკეთეთ გამართულობაზე, ვიდრე ეკონომიურობაზე

(ბათუმი, ქალი, 38 წ.).

„ელექტროტექნიკაზე ნამდვილად არ ვამახვილებ ყურადღებას თუ რამდენად ენერგოეფექტურია. მექანიზმი უნდა იყოს ძლიერი და აუცილებლად უნდა იყოს გამძლე და გამომადგეს. მინდა რომ ელექტროხელსაყოებს რომ ვყიდულობ არ იყოს ერთჯერადი და იყოს ძლიერი და რამდენს დამიწვავს მაგას არ ვაქცევ ყურადღებას. სამაგიეროდ, ჩემი მანქანა არის ეკონომიკური და არც ისეთი დიდი ფასით

(ბათუმი, ქალი, 52 წ).

„ვცდილობ, რა თქმა უნდა, ტექნიკამ ცოტა დახარჯოს და მანქანაც რაც ცოტას დაწვავს, უკეთესია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ფერის მიხედვითაც ავარჩიო“

(თბილისი, ქალი, 40 წ).

„ბოლოს შევიძინე ლეპტოპი და ტელეფონი. ენერგოეფექტურობას ამ ტექნიკაზე იმდენად ვერ ვაქცევ ყურადღებას, რამდენადაც ბატარეის მოცულობაზე, რამდენადაც ინტენსიურად მჭირდება

(თბილისი, ქაცი, 32 წ).

„ზოგადად მაქსიმალურად ვცდილობ ხელი შეუწყო გარემოს, მაგრამ მაინც გვიწევს არჩევანის გაკეთება პრაქტიკული დანიშნულებიდან და მახასათებლებიდან გამომდინარე. ელექტროტექნიკის აქტიური მომხმარებელი არ ვარ, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რაც არის მაქვს, ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას ენერგო ეფექტურობას ... ზოგადად ავტომობილს მრავალმხირივი დანიშნულებით ვიყენებ. მოგზაურობაც მიყვარს და საქმიანი შეხვედრებისთვისაც, მაღალმაღალმოან რეგიონებში მიწევს სიარული. ელექტრომობილები არც ისე მდგრადები არიან მოძრაობისას და შესაბამისად უფრო სხვა მიმართულებით არის განვითარებული ასეთი საკითხები ჩვენს ქვეყანაში“

(თბილისი, ქაცი, 26 წ).

„ეკონომიკა ხშირ შემთხვევაში არ გამოდის, უფრო პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე ვაკეთებ არჩევანს. ავტომობილს რაც შეეხება, პრაქტიკულობიდან გამომდინარეც ვაკეთებ არჩევანს, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთან ეკონომიკიც იყოს და ეს ერთმანეთთან შერწყმული იყოს“

(თბილისი, კაცი, 51 წ).

„ჩემთვის მთავარია ჩემს მოთხოვნილებებს მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს და ენერგიას ნაკლებად ვითვალისწინებ, ავტომობილთან მიმართებაშიც მთავარი უფრო კომფორტია და ამ დროს დაზოგვაზე ვერ იფიქრებ“

(თბილისი, კაცი, 29 წ).



06

გარემოს
რამაზიანებელი
სოციალურ-
ეკონომიკური
აქტივობები/
ვაკაციები



კლიმატის ცვლილება სოციალურ პერსონალის გადა

გარემოს დამაზიანებაზე სოციალურ-ეკონომიკური აქტივობები/ვაკებობები



არის თუ არა თქვენს
რეგიონში/ქალაქში/მუნიციპალიტეტში/
სოფელში ბიზნესი (წებისძიერი, ფერმერული
და საოჯახო ბიზნესების ჩათვლით), რომელიც
გარემოს აზიანებს?

6

ინდივიდის ქცევითი თავისებურებების შემდეგ, დისკუსიის ფოკუსმა გადაინაცვლა იმ ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ აქტივობებზე, რომლებიც უარყოფითად აისახება ბუნებრივ გარემოზე. მსჯელობა დაწყო კითხვით: არის თუ არა თქვენს რეგიონში/ქალაქში/მუნიციპალიტეტში/სოფელში ბიზნესი (ნებისმიერი, ფერმერული და საოჯახო ბიზნესების ჩათვლით), რომელიც გარემოს აზიანებს?

ამ ნაწილში თბილისისა და დედოფლისწყაროს ჯუფებიდან მიღებული ინფორმაცია, ფაქტობრივად, სრულად აისახა ძირითად პრობლემებზე მსჯელობისას, თუმცა განსხვავებული ასპექტები გამოიკვეთა აჭარის რეგიონისა და ახმეტის/თუშეთის ჯუფებში.



6.1.

აჭარა

ძირითად ფაქტორად დასახელდა
საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების
არასათანადო მართვა/“ნაგვის პრობლემა”,
რაც აბინძურებს გარემოს.



კლიმატის ცვლილება
სოციალურ პერსპექტივაში

აჭარის რეგიონის ჯგუფში გარემოს დამაზიანებელ ძირითად ფაქტორად დასახელდა საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების არასათანადო მართვა/“ნაგვის პრობლემა”, რაც აბინძურებს გარემოს.

ფოკუსჯუფების მონაწილეობა ინფორმაციით, ნარჩენების გატანასთან დაკავშირებული პრობლემების, მათ შორის, შესაბამისი ბუნკერებისა და ურნების დეფიციტის გამო, მოსახლეობა, განსაკუთრებით სოფლებში, წვავს ნაგავს ან პირდაპირ მდინარეებში ყრის, რის გამოც ნარჩენები დინების გასწვრივ ვრცელდება და ბათუმამდე ჩადის.



ბათუმში ჰაერის დაბინძურების მიზეზებად ინტენსიურად დასახელდა ნავთობაზის ფუნქციონირება და წარმოება (ქიმიური წარმოების ჩათვლით); გადატვირთული საგზაო მოძრაობა და მშენებლობების ბუმი.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის ჯგუფებს შორის გამოვლინდა განსხვავება გენდერის ნიშნით: თითქმის ყველა კაცი მონაწილე ქალაქის ბუნებრივი გარემოს (წყალი, ჰაერი, ნიადაგი) ერთ-ერთ უმთავრეს დამაბინძურებლად მიიჩნევს ნავთობაზას; ასევე მიუთითებს მდინარეთა დანაგვიანებაზე, რისი შედეგებიც ქალაქსა და სოფელს ერთნაირად ეხება; და ფიქრობს, რომ გარემოს დაბინძურება ამ რეგიონში მრავალფეროვან ფაქტორთა კომპლექსური შედეგია. ქალების პასუხები კი, ჩაძიების მიუხედავად, ძირითადად, გადატვირთული საგზაო მოძრაობითა და მშენებლობათა ბუმით შემოიფარგლება:

6.1.1. ბათუმის აბუზები



კაცის აბუზი:

„ბათუმში, მოგეხსენებათ, რომელიც ქიმიურ მასალებს ამზადებს. აი, მაგალითად, საფეხბავები და ა.შ და ალბათ გამოიწვევს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დაბინძურებას ბათუმში და ასევე მინდა აღვნიშნო, ეგრეთწოდებული ნავთობაზა, რომელიც არის ბათუმის ტერიტორიაზე, ჩემი აზრით ეგ არის ყველაზე დაბინძურებადი საწარმო, ბათუმში კი არა მთლიანად საქართველოში

(ბათუმი, კაცი, 24 წ).

„ძირითადი დამაბინძურებელი არის ნავთობაზა, პორტი... ზღვა ბინძურდება. საწარმოები, არის რომლებიც ძალიან ცუდად არღვევენ სტანდარტებს გამონაბოლქვის ... სოფლებში ძირითადად ხდება წყლების დაბინძურება“

(ბათუმი, კაცი, 41წ).

„ალბათ, მეც გამოყოფდი საწვავის მარაგი სადაც საწყობდება ბათუმში. სუნიც შესამჩნევია და ვფიქრობ, ესაა ერთ-ერთი პრობლემა ქალაქი ბათუმისთვის“

(ბათუმი, კაცი, 37 წ).

„ბაზრის ტერიტორიის უკანა მხარე, ძალიან მოუწესრიგებელია და ესეც აბინძურებს“

(ბათუმი, კაცი, 46 წ).



მოდერატორი: წყალი
როგორ/რატომ
ბინძურდება?

„მერაბი: ბათუმში, როგორ აღნიშნეს ნავთობის საწარმოები, პორტი. სოფლებში უფრო მეტად, ნაგავს და ასეთ რამების რომ წვავენ იმის შედეგად რომ კვამლია, კვამლი აბინძურებს. თუმცა უფრო მეტად სოფლებში წყალი ბინძურდება ვიდრე ჰაერი.

მერაბი: წყალი როგორ და ნაგვისთვის განკუთვნილი ბუნკერები რომ არ არის, უმეტესად მდინარეებში იყრება და მაგიტომ”
(ბათუმი, კაცი, 22 წ).

„ძირითადად ნაგავია პრობლემა, მდინარეს ჩამოაქვს ხოლმე“

(ბათუმი, კაცი, 27 წ).



ქალების ჯგუფი:

„სადაც მე ვცხოვრობ, მიმდებარედ არის ლუდის ქარხანა. ეს გამონაბოლევი, რა თქმა უნდა, აზიანებს ... მოძრაობა არის სასწაულად დიდი ... მანქანების გამონაბოლევი არის დიდი. მშენებლობების ბუმია გარშემო რაც ასევე, იგივე მტკერი, იწვევს გარემოს დაბინძურებას
(ბათუმი, ქალი, 31 წ).

„ნაგვის დაწვას რაც შეეხება, აქ არა, მაგრამ სოფელში ჩემი მეზობლები წვავენ“

(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„გალინა: ისევე როგორც აღნიშნა, მშენებლობები. მტკერზე აღერგიული ვარ. მით უმეტეს მანქანით თუ დავდივარ, ეს გამონაბოლევი და ა.შ...



მოდერატორი:
მშენებლობის
გარდა?

გალინა: მანქანის გამონაბოლევი რომელიც მე ძალიან მაღიზიანებს. ვფიქრობდი და რაიმე სხვა საქმიანობა ჩემს გარშემო ვერ გავიხსენე“

(ბათუმი, ქალი, 52 წ).

„დიახ, მეც დავასახელებდი მშენებლობას და ტრანსპორტის გამონაბოლევს“

(ბათუმი, ქალი, 45 წ).

6.1.2. მაღალმთიანი აჭარის ჯგუფები

ამ ჯგუფებში დადასტურდა წარჩენების გატანის პრობლემები. ამასთან, დასახელდა ინერტული მასალების გადამუშავებელი საამქროები, კარიერის ამოღება მდინარიდან და ხე-ტყის გაჩეხვა:

„ბევრჯერ დამიწვავს წაგავი, რადგან სოფელში არ არის ურნები, სადაც გადააგდებენ და შემდგომში მოხდება მათი გადამუშავება. ამიტომ, ხშირად ვწვავთ“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ.**)

„წაგვის დაწვა კი, ვაკეთებ“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 53 წ.**)

„ჩვენთან ინერტული მასალების გადამამუშავებელი საამქროები აბინძურებენ გარემოს“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ.**)

„ერთადერთი, ის შემიძლია ვთქვა, რომ როცა გასათბობად მოვიხმართ შემას, დიდი რაოდენობით ხე-ტყე იჩეხება“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 26 წ.**)

„აქ აღინიშნა, რომ გათბობისთვის იყენებენ შეშას. რა თქმა უნდა, სოფელში მცხოვრებ ხალხს კანონიერად მოგვაქვს შეშა, მაგრამ გარკვეული ერთეული შემთხვევები ხდება. გაუთვალისწინებელი ხარჯები როდესაც არის, მალულად ხდება შეშის გაჩეხვა, რაც საბოლოო ჯამში აზიანებს ბუნებას, გარემოს“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ.**)



მოდერატორი:
რომელი მდინარიდან?

„**მედეა:** მე ვთვლი, რომ არის ასეთი ბიზნესი. თუ არ ვცდები, ეს არის კარიერის ამოღება მდინარიდან, რომ იღებენ ქვიშას, რომელიც ყველაზე დიდ ზიანს აყენებს, მე მგონი, ჩვენს ბუნებას ამ მომენტისათვის

მედეა: მდინარე აჭარისწყლიდან“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ.**)

„ერთ-ერთი იყო უკანონოდ ხე-ტყის ჭრა რომელიც ამ ბოლო წლებში კარგად კონტროლდება“

(**მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ.**)

თუშეთთან მიმართებით ამ ნაწილში ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიყვეთა: კინაიდან ვერ ხერხდება ცხვრის მატყლის რეალიზაცია (რომელიც, თეორიულად, ამ რეგიონის სიმძიდობე უნდა იყოს), დიდი რაოდენობით დაგროვებულ პროდუქტს, ფაქტობრივად, მესაქონლეობის ნარჩენის საზით წვავენ ან მდინარეში ყრიან მეცხვარეები, ეს კი უარყოფით/დამაბინძურებელ გავლენას ახდენს გარემოზე:

6.1.3. ახმეტა/ თუშეთი

„თუშეთში მეცხვარებს, რომლებიც მატყლს პარსავენ ცხვარს და ფასი არ აქვს და არ იყიდება,ჩამოტანა ზედმეტი ხარჯია,ან ადგილზე წვავენ ან სამწესარიც მდინარეში ყრიან. ეგ არის საზიანო ბუნებისთვის ძალიან ... დაახლოებით მესამედი-მეოთხედი არის მოხმარებული,დანარჩენი იყრება“

(თუშეთი, კაცი, 25წ).

თუშეთის გზაზე, დაახლოებით, 7-8 თვის განმავლობაში გადადგილება შეუძლებელია, ამიტომ ასეთ პერიოდში გადაადგილების ძირითადი საშუალებაა ვერტმფრენი, რაც, თავისთვად, უარყოფითად აისახება გარემოზე.

თუშები მტკიცნეულად განიცდიან გზის ასეთ მდგომარეობას და მიიჩნევენ, რომ მისი მოწესრიგება ძალიან სასარგებლო იქნებოდა ამ რეგიონისთვის:

იროდი: არა, რა თქმა უნდა, თუ გზა უკეთესი იქნება.ჯერ ერთივერტმფრენის შენახვაძვირიულდებათ სახელმწიფოს ბიუჯეტს და გზა რომ უკეთესი იყოს უფრო მომგებიანი იქნებოდა როგორც კუთხისთვის და მოსახლეობისთვის, ისე სახელმწიფოსთვის

(ახმეტა, კაცი, 55 წ).

„
მოდერატორი: თქვენ როგორ ფიქრობთ, თუ გზა გაკეთდება, ვერტმფრენით იგივე სიხშირით ისარგებლებენ ადამიანები?
“

აბრაში: ალბათ არა, იმიტომ რომ გზა რომ ნორმალური იყოს და ხალხს ნორმალურად შეეძლოს წასვლა, გზას უფრო მეტი დატვირთვა მიეცემოდა და შეიძლებოდა ვერტმფრენი საერთოდ საჭირო აღარც ყოფილიყო
(ახმეტა, კაცი, 20წ).

იასონი: დიახ, მეც ვეთანხმები, ვერტალიოტი გახდებოდა მეორეხარისხოვანი, ჩემი აზრით, თუ გზა იქნებოდა და მოსახლეობაც მეტად დამკვიდრდებოდა თუშეთში ზამთარში

(ახმეტა, კაცი, 32 წ).

„მე როგორც ვიცი რეაბილიტაციაზე იყო გარკვეული პროექტები, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, მე მგონი, ეს პროექტები აღარ ხორციელდება, რაღაც ახალ გზასთან დაკავშირებით“

(ახმეტა, ქალი, 42 წ).



ემოციები და
გზავნილები

ეფუძნება: თავის რიობაში

კლიმატის ცვლილება სოციალურ პერსპექტივაში

ემოციები და გზავნილები

მონაწილეთა ემოციები და გზავნილები შეესაბამება კლიმატის ცვლილებისადმი და მოკედებულების ძირითად ტენდენციებს. დისკუსიის ამ ნაწილის შედეგებით ვაკვნით, რომ მონაწილეები აცნობიერებენ კლიმატის ცვლილების, როგორც გლობალური გამოწვევის მნიშვნელობას. აღნიშნული მოვლენა მათში იწვევს საფრთხისა და შიშის განცდას, რომელიც უფრო სიფრთხილისა და მოქმედებისკენ უბიძგებთ, ვიდრე უიმედობისკენ, ან პესიმიზმითა თუ უსუსურობით გამოწვეული უმოქმედობისკენ.

7

■ კლიმატის ცვლილებისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ გამოვლინდა მრავალფეროვანი და ძალიან მძაფრი ემოციური დამოკიდებულებები.

■ პასუხები კითხვაზე - რა ემოცია გეუფლებათ, როდესაც კლიმატის ცვლილებაზე ფიქრობთ/მსჯელობთ? - მოწმობს, რომ დადებითი და უარყოფითი განცდები თითქმის თანაბრად და მძაფრად არის გამოხატული. გულგრილი, ინდიფერენტული დამოკიდებულება არცერთ მონაწილეს არ გამოუვლენია.

■ დასახელებულ ემოციებს/განცდებს/განწყობებს შორის შიში და მოქმედების სურვილი ყველაზე აქტუალურია. მინიმალისტურად არის წარმოდგენილი ენბორივი კონსტრუქციები, რომელიც სკეპტიციზმს გამოხატავს ადამიანის ძალის ხმევის მიმართ კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად; თუმცა, ამ შემთხვევაშიც ზოგადი დამოკიდებულება იქით იხრება, რომ მიზანშეწონილია მოქმედება რაიმეს შესაცვლელად.

შეინიშნება განსხვავება გენდერის ნიშნით:

■ ქალები უფრო მეტად და ემოციურად მსჯელობენ საკუთარ შიშებზე ამ კუთხით; მათი მსჯელობები უფრო აბსტრაქტულია და, ხშირ შემთხვევაში, მომავალზე ორიენტირებული;

■ კაცების უარყოფითი განწყობები უფრო კონკრეტულია და ეფუძნება აწმყოს, ამჟამად არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს.

7.1.

ემოციები



დაბნეულობა უიმედობა ბრაზი
ღმერთის იმედი გაურკვევლობა
გულისძაწყვატკ მოქმედების სურ

კლიმატის ცვლილება
სოციალურ პერსპექტივში



კლიმატის ცვლილებისადმი ემოციურ დამოკიდებულებაზე
დასაკვირვებლად და საჭირო დისკუსიის წამოსაწყებად,
გზამკვლევში შევიდა კითხვა:

ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ კლიმატის ცვლილებასა
და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე. რა განცდა,
ემოცია ან სურვილები გიჩნდებათ, როდესაც ამ საკითხზე
ფიქრობთ? მოქმედების სურვილი, შფოთი, შიძი, უიმედობა
(მაინც ვერაფერს შევცვლით), სიფრთხილის განცდა თუ
რაიმე სხვა?

განვიცდი იმედგაცრუება
ზრუნვა შფოთვა სიფრთხილე
ვილი სიფრთხილე

დისკუსიის ამ ნაწილში ყველაზე ინტენსიურად ფიბურირებდა სიტყვები: „შიში“, „ძვოთი“, „სიფრთხილე/გაფრთხილება“, „მოქმედება“ და „მოვლა“(ბუნების):



ბათუმი, ქალების ჯგუფი

„**შიში**, თუ რა შეიძლება მოჰყვეს კლიმატურ ცვლილებებს, შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში“

(ბათუმი, ქალი, 45 წ).

„**უფრო, ჩემი აზრით, სიფრთხილე**, რომ წინასწარ მოვიფიქრო როგორ შეიძლება ამ შემთხვევაში მოვიქცე“
(ბათუმი, ქალი, 27 წ).

„მთავარი არის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და **რაც შეგვეძლება გავაკეთოთ**“
(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„**მე მაინც გვინდიარომ მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელია ცვლილების მოხდენა**, თუ მოვინდომებთ მაგრამ ძირითადად უძინვრესს ვერ გადავწყვეტო ამ შემთხვევაში. რაც შეეხება, განცდებს უფრო პოზიტიურად მივუდგები და ვიტყვი, რომ თუ უნდა მოხდეს და გარდაუვალია და არაფერი არ შეიცვლება ნაკლებად ვინერვიულება, იმიტომ რომ არ ღირს ნერვიულობა. თუ მოგვარდება, ესეც ნაკლებ სანერვიულოა, იმიტომ რომ მოგვარდება. **მთავარი არის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და რაც შეგვეძლება გავაკეთოთ**“
(ბათუმი, ქალი, 27 წ).

„**მეუფლება სიფრთხილე ალბათ, და შეიძლება ცოტა შიშიც**“
(ბათუმი, ქალი, 38 წ).

„**მე ვიტყოდი, რომ განცდა იძისა, რომ არაფრის შეცვლა არ შეიძლია.** ანუ, იმდენად შეუქცევადი პროცესია რომ მე ერთი ადამიანი ყველაფერს ვერ მოვერევი. ეს განცდა მაქვს. იმდენად, გლობალურია ეს ყველაფერი“
(ბათუმი, ქალი, 31 წ).



ბათუმი,

კაცების ჯგუფი

„უფრო შიში, რა თქმა უნდა“

(ბათუმი, კაცი, 43 წ.).

„უფრო სიფრთხილე, იმიტომ რომ ანუ გარემოს უფრო უნდა მოუფრთხილდეთ“

(ბათუმი, კაცი, 22 წ.).

„რა თქმა უნდა, სიფრთხილე. აბა, შიში რას იზამს?!“

(ბათუმი, კაცი, 46 წ.).

„ალბათ შვოთვა“

(ბათუმი, კაცი, 37 წ.).

„უფრო განცდა, რომ ძალიან მნიშვნელოვან რაღაცაზე ნაკლებს ვფიქრობთ“

(ბათუმი, კაცი, 41 წ.).



მაღალმთიანი აჭარა,

ქალების ჯგუფი

„უფრო შიშის, შვოთვის. ძალიან ვნერვიულობ ამ ყველაფერზე, როგორ იქნება მომავალი, როგორ წარიმართება და ა.შ.“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ.).

„რა თქმა უნდა, გვეშინია. მომავალი თაობა მოდის და შიშის განცდა გვაქვს ყველაზე მეტად“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ.).

მაკა: „შიშის განცდა ძალიან დიდი, რადგან მეწყერსასიძი ზონაშიც ცხოვრობსჩემისოფელიდა თითქმის ყოველდამეა ეს ჩემი შიში“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ.).

„ყველანაირი, სხვათა შორის - შიშის, მოქმედების. თუ ვხედავ, რომ გზაზე წყალი გადმოდის, შემიძლია, ჩავიცვა „ვალინკები“, თოხი ავიღო ხელში და წყალს მივცე დიდი წვიმის დროს მიმართულება. ისეთი რამე თუ არის, რა თქმა უნდა, შიშის. ბავშვები გვყავს ოჯახში, სახლია, რა ვიცი... ყველაფერი“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ.).

„მე მგონი, არავინ არ გაჩერდება. უნდა იმოქმედო და რაღაც გაკეთო“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ.).



მაღალმთიანი აჭარა, კაცების ჯგუფი

„უფრო სიფრთხილის განცდას დავარქევდი“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ.).

„ეს იქნება უფრო იმედგაცრუება, რადგან შენს ბიზნესს რომ ზიანს მიაყენებს, იმედები გაგიცრუვდება და მთელი შრომა წყალში ჩაგეყრება“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ.).

„ეს არის განცდა, შიში. როდესაც სეზონის შესაბამისი კლიმატი არ იქნება, მერე გეუფლება შიშის განცდა, ეს გამოიწვევს ნაკლებ მოსავლიანობას, დაბალ ხარისხს“.

„უფრო მეტი სიფრთხლით უნდა ვიყოთ“
(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ.).

„შიში ალბათ“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ.).

„სიფრთხილის განცდა მეუფლება, როდესაც კარგი ამინდია, მაშინ ვმუშაობ ფუტკართან“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ.).

„ალბათ შიში და იმედგაცრუება“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 53 წ.).



ახმეტა/ თუშეთი, ქალების ჯგუფი

„ცოტა შიში, პირველ რიგში, ალბათ, მერე ის, რომ იქნებ ძეც რაიმე წვლილი შევიტანო ამ პროცესში... იქნებ რაიმე შეიცვალოს, გაუმჯობესდეს“

(ახმეტა, ქალი, 42 წ.).

„განცდააა... ხო, რაღაც კუთხით, მოძავლის შიშიც, მაგრამ ერთადერთი? ჩვენ, ადამიანებმა [ყველაფერი] უნდა გავაკეთოთ, რომ რაც შეიძლება ნაკლებად გამოვიწვიოთ ეს ყველა პრობლემა და, რა თქმა უნდა, ყველაფრის თავი არის ადამიანი“

(ახმეტა, ქალი, 55 წ.).

„ღმერთის იმედი მაქვს“

(ახმეტა, ქალი, 57 წ.).



ახმეტა/ თუშეთი, კაცების ჯგუფი

ზვიადი: „**მოქმედების სურვილი და ბრაზი**“.

მოდერატორი: ბრაზი რატომ?

ზვიადი: „იმიტომ რომ, ამ **ყველაფერს ვიწვევთ ჩვენ,**
ადამიანები“

(ახმეტა, კაცი, 25 წ.).

„**მე უფრო გაურკვევლობის განცდა** მეუფლება, იმიტომ,
რომ არავინ ვიცით, 20 ან თუნდაც 40 წლის შემდეგ რა
მოვლენები განვითარდება, მაგალითად, თუშეთში“

(ახმეტა, კაცი, 20 წ.).

„**მე უფრო გულდაწყვეტა**, რომ ასე ხდება“

(ახმეტა, კაცი, 27 წ.).



დედოფლისწყარო, ქალების ჯგუფი

„**ეს არის საფრთხე, ანუ რეალური საფრთხის განცდა.**
კლიმატი იცვლება ყოველთვის. ზოგჯერ ძველიც აღდგება
ხოლმე. მაგალითად, ტბაში წყალი ისევ მოვიდა. ამბობენ
ადრეც იყო ასე: დაშრა და მოვიდაო. ანუ, დარწმუნებულიც
არ ხარ ამ ყველაფერში, მაგრამ მაინც **უნდა გავაკეთოთ
ყველაფერი, რაც შეგვიძლია**“

(დედოფლისწყარო, ქალი, 45 წ.).

„**შიში, შვილი, შვილები გვყავს, შვილიშვილები**“

(დედოფლისწყარო, ქალი, 52 წ.).

„**უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ლამაზ ბუნებას**“

(დედოფლისწყარო, ქალი, 67 წ.).

„**მეშინია, მაგრამ ჩვენზეც ხომ არის რაღაც
დამოკიდებული? ყველაზე!**“

(დედოფლისწყარო, ქალი, 36 წ.).

„**შიში და სიფრთხილე**“

(დედოფლისწყარო, ქალი, 29 წ.).



დედოფლისწყარო, კაცების ჯუფი

„საშიშია, რაც ხდება, მაგრამ უნდა ვიმოქმედოთ“
(დედოფლისწყარო, კაცი, 29 წ.).

„უფრო სიცრთხილე“
(დედოფლისწყარო, კაცი, 51წ.).

„მოქმედება“
(დედოფლისწყარო, კაცი, 27 წ.).

„უფრო შვილი“
(დედოფლისწყარო, კაცი, 45 წ.).



დედოფლისწყარო

„ყურადღებით უნდა ვიყოთ ძალიან“

კაცი, 57 წ.



თბილისი, ქალების ჯუფი

„შიშის განცდა მიჩნდება, თუ ამ საკითხზე ვიფიქრებ, მოსალოდნელ შედეგებზე“
(თბილისი, ქალი, 40 წ.).

„უფრო ფრთხილი და ვცდილობ, ჩემი პატარა წვლილი შევიტანო პრობლემის მოგვარებაში“
(თბილისი, ქალი, 22 წ.).

„შიშის, ალბათ, პირველ რიგში და შემდეგ - მოქმედების, მაგრამ რომ არ ვიცით, რა ვიმოქმედოთ“
(თბილისი, ქალი, 52 წ.).

„მოქმედების განცდა მეუფლება“
(თბილისი, ქალი, 60 წ.).



თბილისი, კაცების ჯუფი

„მოქმედების სურვილი, რომ ნაკლებად დავანაგვიანო
გარემო“

(თბილისი, კაცი, 51 წ.).

„ალბათ, კონკრეტულ წვრილმანებზე ზრუნვა, რითაც
შევძლებ ამ სიტუაციის გამოსწორებას“
(თბილისი, კაცი, 29 წ.).

პაპუნა: „მოქმედების სურვილი და შიშიც ალბათ.
დარწმუნებული ვარ, ყველა მალე ჩაერთვება ამ
პროცესებში.“

მოდერატორი: რატომ ხართ დარწმუნებული?

პაპუნა: „ენერგიის განახლებადი წყაროების სწრაფმა
ზრდამ დამარწმუნა“

(თბილისი, კაცი, 32 წ.).

„ისეთი არაფერი განცდა არ მაქვს“

(თბილისი, კაცი, 62 წ.).

„საერთო ჯამში, საზოგადოებამ უნდა ვიმოქმედოთ,
მაგალითი მივცეთ სხვებს და ეტაპობრივად შევძლოთ
მოგვარება“

(თბილისი, კაცი, 51 წ.).

„მოქმედების სურვილი“

(თბილისი, კაცი, 29 წ.).

„მოქმედების სურვილი და ალბათ ცოტა შიშიც“

(თბილისი, კაცი, 26 წ.).

7.2.

გზავნილები

„არ ბუნება და შემდეგ - ჯიბუ!“



კლიმატის ცვლილება
სოციალურ პერსპექტივი

მონაწილეთა გზავნილებთან დაკავშირებული დისკუსია დაიწყო შემდეგი მიმართვით: ბოლოს მინდა გთხოვთ, მოკლედ ჩამოაყალიბოთ ფურცელზე, რას ეტყოდით ადამიანებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ დღეს განხილული სირთულეების მოგვარებაში.

მონაწილეთა გზავნილები ორიენტირებულია დროულ რეაგირებაზე, დაუყოვნებლივ ქმედებაზე, და გამოხატავს მზაობას პროცესებში თანამონაწილეობისთვის (მათი დიდი ნაწილი ფორმულირებულია პირველ პირში). ეს გზავნილები ადამიანსა და ბუნებრივ გარემოს უმეტესწილად ერთიან კონტექსტში მოიაზრებს ზრუნვისა და დამოკიდებულების კუთხით და მიუთითებს მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობაზე საკვლევ საკითხთან მიმართებით.

ეს შედეგები რაოდენობრივი კვლევის დასკვნების სასარგებლოდ მეტყველებს. გარკვეულ შემთხვევაში, მონაწილეები სოციალურად სასურველი პასუხის გაცემითაც რომ იყვნენ მოტივირებულნი (და ბოლომდე არ იყვნენ გულწრფელნი), ეს მაინც მიანიშნებს, რომ ბუნებრივ გარემოზე ზრუნვა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება სოციალური მასშტაბით აღიარებული ღირებულებაა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ ცნობიერების ამაღლებისა და კომუნიკაციის სტრატეგიის დაგეგმვისას, მაქსიმალურად გაითვალისწინონ სასტარტო პირობები სოციალური პასუხისმგებლობის შემდგომი განვითარებისა და ამაღლებისთვის. საკვლევ საკითხთან მიმართებით უფრო დაბალ ხარისხზე გათვლილი ღონისძიებების დაგებმვა/განხორციელება შეიძლება ნაკლებეფექტური იყოს, ან რეგრესის რისკფაქტორიც კი აღმოჩნდეს.



ბათუმი, ქალების ჯგუფი

უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები კლიმატის ცვლილების
შესამცირებლად

(ბათუმი, ქალი, 38 წ.).

„იმოქმედეთ!“

(ბათუმი, ქალი, 52 წ.).

„დროული მოქმედება!“

(ბათუმი, ქალი, 45 წ.).

„აქ ბევრმა გამოთქვა სურვილი, რომ თუკი დაიგეგმება
რაიმე ღონისძიება, ჩავერთვებოდით აქტიურად და მე
ვეტყოდი, რომ მოიფიქროს რაიმე პროექტი, სადაც თუნდაც
ამ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს ჩაგვრთავს და მოგვცემს
საშუალებას, კლიმატის ცვლილების კვალდაკვალ რაღაც
მნიშვნელოვანი და კარგი საქმე გავაკეთოთ. ანუ, მანაც
ჩვენთან ერთად“

(ბათუმი, ქალი, 38 წ.).

„ვეტყოდი ალბათ, რომ გავუფრთხილდეთ გარემოს და
მოტივაცია მივცეთ ერთმანეთს ადამიანებმა“

(ბათუმი, ქალი, 38 წ.).

„მეტი დიდი კაშხალი აღარ გვინდა! ... ვფიქრობ, რომ
უსაფრთხო გარემოში მცირე მასშტაბიანი კაშხლის
მშენებლობა არ იქნება ისეთ საფრთხის შემცველი,
როგორიც დიდი კაშხალის შემთხვევაში. იმიტომ, რომ,
რეალურად დიდი კაშხლების შემთხვევაში, დიდი წყლების
დაგუბება ხდება, რისი აორთქლებაც ხდება შემდგომ
და უკან ნალექის სახით დაბრუნდება და, ეს რა თქმა
უნდა, შესაბამისად მთელ რიგ პრობლემებს იწვევს, იმ
გეოგრაფიულ გარემოში, სადაც ეს ყველაფერი ხდება.
აი, თუნდაც, მაგალითად რაჭაზე იყო საუბარი, რომ
რაჭაში თუ კაშხალი აშენდება, ხვანჭებარა ისეთი აღარ
იქნება როგორიც იყო. თუ მცირემასშტაბიანი კაშხლის
მშენებლობა მოხდება, უსაფრთხო გარემოში, ვფიქრობ, ეს
დიდად არ დააზარალებს გარემოს და ამ მიმართულებით
თუ იმუშავებენ კარგი იქნება. ესაა ჩემი დილეტანტური
აზრი“

(ბათუმი, ქალი, 31 წ.).



ბათუმი, კაცების ჯგუფი

„კი მე ვეტყოდი მხოლოდ ერთი სიტყვით, რომ იმოქმედონ“
(ბათუმი, კაცი, 41 წ).

„არ დაიშურონ ძალები და ფინანსები ასე რო ვთქვათ რაც
შეუძლიათ რომ გააკეთონ ხალხისათვის და დავუშვათ
ბუნებისა და გარემოსათვის“

(ბათუმი, კაცი, 43 წ).

„რომ მეტი იზრუნოს გარემოზე და ხალხზე“
(ბათუმი, კაცი, 37 წ).

„რომ გავუფრთხილდეთ ბუნებას და უფრო მეტად
მივაქციოთ ყურადღება“

(ბათუმი, კაცი, 22 წ).



მაღალმთიანი აჭარა, ქალების ჯგუფი

„ვეტყოდი რომ გავუფრთხილდეთ გარემოს და
გავუფრთხილდეთ ერთმანეთს“
(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 43 წ).

„მიიღოს ზომები რომ ვიზრუნოთ გარემოზე თითოეულმა
ჩვენგანმა“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 35 წ).

„გავუფრთხილდეთ დედამიწას“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 41 წ).

„უფრო მეტი ცნობიერება, რომ ამაღლდეს ხალხში,
საზოგადოებაში დაკიდევერთი ბუნებას გავუფრთხილდეთ.
ხალხი მარტო თავის ბიზნესზე და ჯიბის გასქელებაზე არ
უნდა ფიქრობდეს. უნდა იფიქრონ, რომ ჯერ ბუნება და
შემდეგ - ჯიბე“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 54 წ).

„რა თქმა უნდა, მეც იგივე აზრის ვარ. უნდა გავუფრთხილ-
დეთ გარემოს, ბევრად“

(მაღალმთიანი აჭარა, ქალი, 37 წ).

„მეტი ტრენინგები, ა.შ ... ბიზნესის დაზღვევის
უზრუნველყოფის მექანიზმები მემთაბარეობის
შენარჩუნების მიზნით“

(მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 19 წ).



მაღალმთიანი აჭარა, კაცების ჯგუფი

„მიაქციონ ყურადღება ბუნებას!“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 41 წ.**)

„ყურადღება მიაქციონ ადამიანურ რესურსს და ნაკლებად ფაბრიკა/დანადგარებს! ...გავუფრთხილდეთ ადამიანის სიცოცხლეს!“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 34 წ.**)

„ჩვენ წინ თაობა გველის!“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 26 წ.**)

„გეშინოდეთ სიკვდილის!“

(**მაღალმთიანი აჭარა, კაცი, 55 წ.**)



ახმეტა, ქალების ჯგუფი

„ყველა ერთად გავუფრთილდეთ ბუნებას“

(**ახმეტა, ქალი, 42 წ.**)

„უფრო ახლოს მივიდეთ ხალხთან და ამის შესახებ კი არ ვუთხრათ, ვიყვიროთ, რომ უკეთესად გავაგებინოთ“

(**ახმეტა, ქალი, 57 წ.**)

„ეხლა ვფიქრობ, და... მეტი გამწვანება და ნაკლები გამონაბოლქვი“

(**ახმეტა, ქალი, 26 წ.**)

„გავერთიანდეთ და გავუფრთხილდეთ ერთად ბუნებას“

(**ახმეტა, ქალი, 50 წ.**)

„ყველა ერთად უნდა გავუფრთხილდეთ იმ გარემოს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ“

(**ახმეტა, ქალი, 55 წ.**)



ახმეტა, კაცების ჯგუფი

„ალბათ სასმელი წყლის შემოწმება მთაშიც და ბარშიც“
(ახმეტა, კაცი, 55 წ).

„ერთხელ და სამუდამოდ თუშეთის გზა გახდეს უსაფრთხო“
(ახმეტა, კაცი, 20 წ).

„აბრამიმა რაც თქვა იმის თქმა მინდოდა მეც. თუშეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. უსაფრთხოება. და ელემენტა-რული რთულ მონაკვეთებში საგზაო ნიშნები რომ დადგან. საგზაო ნიშნები არ დგას ყველაზე საშიშ გზებზე და ცოტა უცნაურია ეს ყველაფერი“

(ახმეტა, კაცი, 27 წ).



დედოფლისწყარო, ქალების ჯგუფი

„დაევალოს ყველა ადამიანს გაუფრთხილდეს მის ირგვლივ მდებარე საძოვრებს თუ ქარსაცავ ზოლებს“
(ახმეტა, კაცი, 25 წ).

„გავუფრთხილდეთ გარემოს, ბუნებას“
(დედოფლისწყარო, ქალი, 67 წ).

„სწრაფი მოქმედების დროა“
(დედოფლისწყარო, ქალი, 29 წ).



დედოფლისწყარო, კაცების ჯგუფი

„მეტი ყურადღება და მოქმედება!“
(დედოფლისწყარო, კაცი, 51 წ).

„სანამ დროა, მიხედეთ ბუნებას“
(დედოფლისწყარო, კაცი, 57 წ).

„გავუფრთხილდეთ ადამიანებს და ბუნებას!“
(დედოფლისწყარო, კაცი, 45 წ).

„მივხედოთ ქვეყანას!“
(დედოფლისწყარო, კაცი, 27 წ).

„იმოქმედეთ!“
(დედოფლისწყარო, კაცი, 57 წ).



თბილისი, ქალების ჯგუფი

„ალბათ, ეცადონ არ დააბინძურონ გარემო ეს ყველაფერი ალბათ რეგულაციების ბრალია, თუ არ გვაქვს რეგულაცია და არ გვაქვს წესრიგი“
(თბილისი, ქალი, 52 წ).

„მეტი დრო დახარჯოს გარემოს მოვლაზე“
(თბილისი, ქალი, 22 წ).

„თუ ისინი არა შეცვლიან არაფერს, საზოგადოება და ინდივიდები მარტო ვერაფერს ვერ გააკეთებენ დამოუკიდებლად“
(თბილისი, ქალი, 18 წ).

„მოუკრონ ბუნებას და თბილისს“
(თბილისი, ქალი, 56 წ).



თბილისი, კაცების ჯგუფი

„მიზედონ გარემოს!“

(თბილისი, კაცი, 35 წ).

„გავუფრთხილდეთ დედამიწას!“

(თბილისი, კაცი, 21 წ).

„ვცადოთ, იქნებ რამე გამოგვივიდეს“

(თბილისი, კაცი, 51 წ).

„გადაარჩინეთ თბილისი. მალე მარტო კორპუსები
დარჩება“

(თბილისი, კაცი, 62 წ).

„იზრუნეთ ქვეყანაზე და ბუნებაზე!“

(თბილისი, კაცი, 26 წ).



ደንብአስተ



ლანგაზონი

პრიბი


პობის შესახებ დისკუსიამ შესავალ ნაწილში ერთდროულად ორი ფუნქცია შეასრულა:

(1) ხელი შეუწყო მონაწილეთა ურთიერთგაცნობისა და „გახსნის“ პროცესს; და

(2) საშუალება მოგვცა, დაკავირვებოდით საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

■ მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის შემდგომ ნაწილებში ტრანსპორტის გამონაბოლევი არაკლიმატიზებოდრულ ქცევად და ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა, ავტომობილთან დაკავშირებული აქტივობები რამდენიმე მონაწილემ დაასახელა სხვადასხვა ჯგუფში;

■ გამოვლინდა ტრადიციული ასიმეტრია „უფრო ქალისა“ და „უფრო კაცისთვის“ შესაფერის ქცევებს ძორის.



განაგო 2

ვოკუსჯგუფის შემაზებელობა



თბილისი, ქალები

#	სახელი	ასაკი	საქმიანობა
1	ფატი	53 წ.	კერძო კომპანიის დიასახლისი
2	მზია	60 წ.	ამჟამად უმუშევარი, წარსულში - ბიოლოგიის პედაგოგი
3	ელმირა	52 წ.	ამჟამად დიასახლისი, წარსულში - რესტავრატორი
4	ქეთევანი	40 წ.	ამჟამად უმუშევარი, პროფესიით ქიმიის პედაგოგი
5	სალომე 1	22 წ.	საჯარო უსდ-ს სტუდენტი
6	ქეთი	32 წ.	კერძო კომპანიის ოფისმენეჯერი
7	ნატა	56 წ.	დროებით უმუშევარი, პროფესიით ექთანი
8	სალომე 2	18 წ.	კერძო უსდ-ს სტუდენტი



თბილისი, კაცები

#	სახელი	ასაკი	საქმიანობა
1	თამაზი	35 წ.	კერძო კომპანიის ტელერეჟისორი
2	დანიელი/ დანი	21 წ.	დროებით უმუშევარი, პროფესიით შეფუძნარეული
3	პაპუნა	32 წ.	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი კერძო კომპანიაში
4	ლაშა	26 წ.	რესტავრატორი, დროებით უმუშევარი
5	ლადო	45 წ.	გეოლოგი, საჯარო რეესტრის თანამშრომელი
6	მერაბი	64 წ.	კერძო კომპანიის დაცვის სამსახურის წევრი
7	დიტო	51 წ.	ავტომობილების ასისტენტი/კონსულტანტი, თვითდასაქმებული
8	იდაიათი	29 წ.	ფინანსური მენეჯერი, თარჯიმანი ორ კერძო კომპანიაში

ახმეტა, კაცები

#	სახელი	ასაკი	საქმიანობა
1	იროდი	55 წ.	აგროშენაქო, მეფუტკრე
2	აბრამი	20 წ.	საჯარო უსდ-ს სტუდენტი
3	იასონი	32 წ.	ფერმერი, მესაქონლე
4	ლაშა	27 წ.	ტურიზმის მენეჯერი
5	ზვიადი	25 წ.	საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი
6	ჭობა	62 წ.	ვეტერინარი, კერძო პრაქტიკა

ახმეტა, ქალები

#	სახელი	ასაკი	საქმიანობა
1	ნანა	57 წ.	ხელსაქმის სახელოსნოსა და სასტუმროს თანამშრომელი
2	ზატია	26 წ.	კოლეჯის სტუდენტი
3	ლენა	50 წ.	საოჯახო სასტუმროში დასაქმებული
4	ნატო	55 წ.	საჯარო სკოლის მასწავლებელი
5	ნონა	42 წ.	საჯარო ამბულატორიის ექიმი

მაღალმაღალმთიანი აზარა, კაცები

#	სახელი	ასაკი	საქმიანობა
1	ნიკა	19 წ.	დროებით უმუშევარი
2	როინი	41 წ.	საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი
3	სოსო	55 წ.	აგრონომი კერძო სექტორში
4	როლანდი	53 წ.	ფერმერი
5	რამაზი	41 წ.	საჯარო სკოლის მასწავლებელი
6	ჯამბულ/ ჯაბა	26 წ.	საჯარო უსდ-ს სტუდენტი
7	ივერი	34 წ.	თვითდასაქმებული (უმაღლესი განათლებით)

მაღალმაღალმომთიანი აჯარია, ქალები

#	სახელი	ასაკი	საქმიანობა
1	ჯეირანი	41 წ.	დიასახლისი
2	ცირა	37 წ.	ფერმერი
3	მედეა	54 წ.	დიასახლისი
4	ნაირა	36 წ.	ბიბლიოთეკარი საჯარო დაწესებულებაში
5	თინა	43 წ.	ფერმერი, მცირე მეწარმე
6	მაკა	35 წ.	საჯარო სკოლის მასწავლებელი

ბათუმი, კაცები

#	სახელი	ასაკი	საქმიანობა
1	ბექა	27 წ.	დროებით (პანდემიის გამო) უმუშევარი, მიმტანი
2	მერაბი	22 წ.	კერძო ქსელური სუპერმარკეტის კონსულტანტი
3	თამაზი	46 წ.	საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებელი
4	მალხაზი	43 წ.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის/მიკროავტობუსის მძღოლი
5	თემური	37 წ.	კერძო კომპანიის მშენებელ-ინჟინერი
6	მამუკა	41 წ.	თვითდასაქმებული
7	გიორგი	24 წ.	მცირე ბიზნესის მფლობელი

ბათუმი, ქალები

#	სახელი	ასაკი	საქმიანობა
1	გალინა	52 წ.	გიდი, თვითდასაქმებული
2	ქეთი	45 წ.	მაღაზიის კონსულტანტი
3	სოფო	31 წ.	დროებით უმუშევარი, წითელი ჯვრის მოხალისე
4	ნინო	38 წ.	მცირე ბიზნესის მფლობელი
5	თეონა	38 წ.	კერძო უსდ-ს სტუდენტი
6	ინეზა	27 წ.	დიასახლისი

ლანგაზონი 3

ურკუსჯუფის სახელმძღვანელო

შესავალი



(4-5 წუთი)

მოგესალმებით, დიდი მადლობა მობრძანებისთვის

ჩემი სახელია _____

დღეს ვისაუბრებთ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე - ბუნებრივ გარემოზე, რომელიც ვცხოვრობთ, მასში მიმდინარე ცვლილებებსა და ჩვენს დამოკიდებულებაზე ამ მოვლენათა მიმართ.

ჩვენ გვსურს თქვენი გულწრფელი მოსაზრებების გაგება; აქ არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხები - თითოეული თქვენგანის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ ვიწერთ ამ საუბარს, რათა გვანსოვდეს, თუ რა ითქვა, თუმცა საუბარი კონფიდენციალურია: თქვენი სახელი არ გასაჯაროვდება.

გთხოვთ, ხმამაღლა ილაპარაკოთ, რათა კარგად გავიგოთ თქვენი ნათქვამი (ხაზგასმით).

გთხოვთ, ისაუბროთ რიგრიგობით; შეეცადეთ, თქვენი პასუხები უკავშირდებოდეს საუბრის თემას (ხაზგასმით).

კითხვა ბევრია, ამიტომ შეიძლება, ხანდახან შეგაწყვეტინოთ, რათა ყველა კითხვაზე მივიღოთ პასუხი - გთხოვთ, ეს არ მიიღოთ საწყენად (ხაზგასმით).

გთხოვთ, გამორთოთ მობილური ტელეფონები.

კომფორტულად იგრძენით თავი - იმედია, შეხვედრა საინტერესო და სასიამოვნო იქნება თქვენთვის.

გთხოვთ, რიგრიგობით გვითხრათ თქვენი სახელი - მხოლოდ სახელი (და არა გვარი), ასაკი, სად ცხოვრობთ (გვითხარით მხოლოდ ქალაქის/მუნიციპალური ცენტრის, სოფლის სახელი და არა ზუსტი მისამართი), რას საქმიანობთ; რა არის თქვენი ჰობი.

ნაწილი 1 – ქცევა

[თითოეული კითხვის შემთხვევაში დაინტერესდით როგორც პირადად რესპონდენტით, ისე მის ირგვლივ მყოფებით]

 (25-30 წთ)

1. პირადად თქვენ და თქვენ ირგვლივ მყოფი ადამიანები (ოჯახის წევრები, მეზობლები, ნაცნობ-შეგობრები):

- 1.1. იყენებთ საზოგადოებრივ ტრანსპორტს?
- 1.2. დადისართ ფეხით შორ დისტანციაზე?
- 1.3. გადაადგილდებით ველოსიპედით? რა მიზნით?
- 1.4. ყიდულობთ ბიოლოგიურად სუფთა საკვებ პროდუქტებს - ბიოპროდუქტებს? როგორ განასხვავებთ ბიოპროდუქტს სხვა პროდუქტისგან?
- 1.5. იყენებთ ენერგოეფექტურ ნათურებს?
- 1.6. აკონტროლებთ, რომ ნათურა არ იყოს ჩართული, როდესაც საჭირო არ არის?
- 1.7. იყენებთ პარკებს, რომელთა ეკოლოგიურად გადამუშავებაც შესაძლებელია? სხვა ტიპის პარკებს (როგორს)?
- 1.8. ათავსებთ პლასტიმასის ბოთლებს სპეციალურ ურნებში შემდგომი გადამუშავებისათვის?
- 1.9. საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისას ითვალისწინებთ ელექტროენერგიის ეკონომიურ მოხარებას? რა ტექნიკა შეიძინეთ ბოლო დროს? როდის? [ჩაეძიეთ და განასხვავებინეთ სასურველი რეალურისაგან]
- 1.10. ავტომობილის შეძენისას ითვალისწინებთ, რამდენად ეკონომიურად მოიხმარს საწვავს? [ჩაეძიეთ და განასხვავებინეთ სასურველი რეალურისაგან]

2. სახლში ან ბიზნესში თუ იყენებთ ენერგიის განახლებად წყაროებს (მაგ: მზის პანელებს)?

[თუ იყენებს, ჩაუღრმავდით დასაზუსტებლად] რამდენად კმაყოფილი ხართ? რატომ? აპირებთ უფრო ინტენსიურ გამოყენებას ან გამოყენების არეალის გაფართოებას? რატომ?

[თუ არ იყენებს] რა შემთხვევაში გამოიყენებდით?

3. რით თბებით ზამთარში? [თუ შეშით] რა შემთხვევაში არ გამოიყენებდით შესას?

4. გაქვთ თუ არა ენერგოიზოლაცია სახლში?

[თუ აქვს] რა სახის?

[თუ არ აქვს] აპირებთ გაკეთებას?

[თუ აპირებს] კონკრეტულად რა გაქვთ დაგეგმილი?

[თუ არ აქვს და არ აპირებს] რა შემთხვევაში გააკეთებდით ენერგოიზოლაციას?

5. რაიმე ფორმით ზოგავთ ელექტროენერგიას?

[თუ ზოგავს] როგორ?

[თუ არ ზოგავს] რატომ?

რა შემთხვევაში დაზოგავდით?

6. რაიმე ფორმით ზოგავთ წყალს?

[თუ ზოგავს] როგორ?

[თუ არ ზოგავს] რატომ?

რა შემთხვევაში დაზოგავდით?

7. რაიმე ფორმით თუ ამუშავებთ ნარჩენებს?

კომპისტირების მეთოდს თუ იყენებთ?

[თუ „დიახ“] როგორ?

[თუ „არა“] რატომ?

რა შემთხვევაში გადაამუშავებდით ნარჩენებს?

გამოიყენებდით კომპისტირების მეთოდს? როგორ?

წვავთ თუ არა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს/ნაგავს თქვენ ოჯახში? მეზობლები? [თუ წვავენ] რა შემთხვევაში არ დაწვავდით?

[თუ არ წვავენ] სად/როგორ გაგაქვთ ნარჩენები/ნაგავი?

8. არის თუ არა თქვენს ქაღაქში/მუნიციპალიტეტში/

სოფელში ბიზნესი (წებისძიერი, ფერმერული თუ

საოჯახო ბიზნესის ჩათვლით), რომელიც გარემოს

აძინდურებს? კიდევ არის? [მიიღეთ რაც შეიძლება

კონკრეტული ინფორმაცია]

**9. [თუ არის] როგორ ცდილობთ ამ სირთულესთან
გამკლავებას?**

ვის/რომელ ორგანიზაციას მიმართეთ/აპირებთ,
მიმართოთ?

[შეეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება ზუსტი ინფორმაცია,
კონკრეტული აღწერა, სახელები, სახელწოდებები]

10. [თუ სირთულის მოგვარების მცდელობა წარმატებული იყო] რა არის გარანტი, რომ მომავალში მსგავსი პრობლემა აღარ წარმოიქმნება? ვინ/რა ორგანიზაცია აგებს ჰასუხს აძაზე?

11. [თუ სირთულის მოგვარების მცდელობა წარუმატებული იყო] რატომ? ვინ/რა ორგანიზაცია აგებს აძაზე ჰასუხს? რას აპირებთ მომავალში? თქვენი აზრით, რატომ არ გვარდება ეს პრობლემა? რა შემთხვევაში მოგვარდება?

ჭრიან თუ არა თქვენს ქალაქში/მუნიციპალიტეტში/სოფელში ტყეს „უკანონოდ“? [თუ ჭრიან] გთხოვთ, მითხრათ ტყის/ტყეების სახელი.

12. [თუ ჭრიან] როგორ ცდილობთ ამ სირთულესთან გამკლავებას? ვის/რომელ ორგანიზაციას მიმართეთ/აპირებთ მიმართოთ? [შეეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება ზუსტი ინფორმაცია, კონკრეტული აღწერა, სახელები, სახელწოდებები] თქვენი აზრით, რატომ არ გვარდება ეს სირთულე? რა შემთხვევაში მოგვარდება?

ნაწილი 2

ფოკუსირება ტერმინზე და მისი მნიშვნელობის გაცნობიერება



(25-30 წთ)

1. თქვენი აზრით, რა ძირითადი სირთულეების წინაშე დგას დღეს მსოფლიო? კიდევ? კიდევ? [ჩაღრმავება] [ჰკითხეთ მხოლოდ იმ გამოწვევებზე, რომლებსაც არ დასახელებენ]

რას იტყვით საკითხებზე, როგორიცაა: საერთაშორისო ტერიტორიული, სიღარიბე, საკვების ნაკლებობა, სასმელი წყლის ნაკლებობა, ინფექციური დავადებები, ბირთვული იარაღის გავრცელება, შეიარაღებული კონფლიქტები, მსოფლიო მოსახლეობის მზარდი რაოდენობა?

2. რა ძირითადი სირთულეების წინაშე დგას დღეს საქართველო? კიდევ? კიდევ? [ჩაღრმავება]

3. რა ძირითადი სირთულეების წინაშე დგას დღეს თქვენი მუნიციპალიტეტი? სოფელი? უბანი? ოჯახი? პირადად თქვენ? კიდევ? კიდევ? [ჩაღრმავება]

4. [4 (ა) ჰკითხეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაასახელდება „კლიმატის ცვლილება“ დარწმუნდით, რომ რესპონდენტებს სწორად ესმით მისი მნიშვნელობა და შედეგები, ან/და განუმარტეთ ისინი]

4 (ა) რას გულისხმობთ კონკრეტულად კლიმატის ცვლილებაში? თქვენი აზრით, რით განსხვავდება კლიმატი ამინდისგან?

[4 (ბ) ჰკითხეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არავინ დაასახელებს „კლიმატის ცვლილებას“]

4(ბ) გსმენიათ თუ არა კლიმატის ცვლილების შესახებ? რა გსმენიათ? რით განსხვავდება ის ამინდისგან?

[მოისმინეთ რესპონდენტების პასუხები და წაუკითხეთ შემდეგი ტერმინები]:

განმარტებისას გამოიყენეთ შემდეგი დებულებები:

კლიმატი - ატმოსფეროს ქვედა ფენების, მასთან დაკავშირებული წყლის ფენებისა და მიწის ზედაპირის საშუალო მდგომარეობა დროის შედარებით დიდ მონაკვეთებში.

ამინდი - ატმოსფეროს მუდმივად ცვალებადი მდგომარეობა, რომელიც, როგორც წესი, განიხილება დროის მცირე მონაკვეთში.

კლიმატის ცვლილებაზე მსჯელობა შეიძლება ათეული-დან ათასობით წლების პერიოდში, ამინდი კი იცვლება სწრაფად (მაგ: რამდენიმე საათის ან ერთი დღის განმავლობაში).

კლიმატის ცვლილებას უკავშირდება:

- დედამიწაზე საშუალო ტემპერატურის მატება;
- მყინვარების დნობა;
- ექსტრემალური/პიკური ტემპერატურები;
- შტორმები, წყალდიდობები, გვალვები, სითბური ტალღები, მეწყერი, სეტყვა, ქარიშხალი, მიწის დეგრადაცია/გამოფიტვა.

დაურიგეთ წინასწარ
მომზადებული ფურცლები
და სთხოვეთ, შეაფასონ
5-ჯულიან სკალით, სადაც
1 ნიმუშავს „სრულიად
უძნიშვნელოა“, ხოლო 5 –
„ძალიან მნიშვნელოვანია“

5. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ კლიმატის ცვლილებასა და
მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე. ახასიათებს თუ არა
რომელიმე მათგანითქვენს რეგიონს? მუნიციპალიტეტს?
სოფელს? რომელი? კიდევ? კიდევ? [ჩაეძიეთ, ეცადეთ,
მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები]

5.1. რამდენად მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილე-
ბის საკითხი მსოფლიოსთვის? საქართველოსთვის?
თქვენი რეგიონისთვის, მუნიციპალიტეტისთვის,
ოჯახისთვის, პირადად თქვენთვის?

ნაჩიღი 3

ლოკალური დონის გამოწვევები



(20-25 წთ)

1. რა გავლენას ახდენს თქვენ მიერ დაასახელებული
მოვლენები რეგიონის, მუნიციპალიტეტის, სოფლის,
პირადად თქვენსა და თქვენი ოჯახის ცხოვრებაზე? რატომ?
როგორ? [ჩაეძიეთ, ეცადეთ, მოიყვანონ კონკრეტული
მაგალითები]

1.1. ყოველდღიურ ცხოვრებაზე? [პკითხეთ, თუ არ
დაასახელებენ; ჩაეძიეთ, ეცადეთ, მოიყვანონ კონკრეტული
მაგალითები]

1.2. ეკონომიკურ ცხოვრებაზე? [პკითხეთ, თუ არ
დაასახელებენ; ჩაეძიეთ, ეცადეთ მოიყვანონ კონკრეტული
მაგალითები]

2. როგორ უმკლავდებით სირთულეებს? [ჩაეძიეთ,
ეცადეთ, მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები]

3. გებმარებით თუ არა ამ სირთულეების მოგვარებაში
შემდეგი ორგანიზაციები? როგორ? [პკითხეთ, თუ არ
დაასახელებენ; ჩაეძიეთ, ეცადეთ, მოიყვანონ
კონკრეტული მაგალითები]

- ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები?
- ფონდები?
- არასამთავრობო ორგანიზაციები?
- საერთაშორისო ორგანიზაციები?
- ბიზუესორგანიზაციები?
- კიდევ ხომ არ გაიხსენებდით?

[პკითხეთ ყოველი დასახელებული შემთხვევისთვის]

- კონკრეტულად რა სახის დახმარება მიიღეთ?

[პკითხეთ რელევანტურ შემთხვევაში]

- კონკრეტულად რა სახის სამუშაოები შესრულდა?
- ვინ/რომელმა ორგანიზაციამ შეასრულა სამუშაოები? მონაწილეობდა თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა რაიმე სახით (დაქირავებული მუშახელი, მოხალისები და ა.შ.)?
- რამდენად კამაყოფილი ხართ შესრულებული სამუშაოებით? გაუმჯობესდა ამით რეგიონის/მუნიციპალიტეტის/სოფლის/პირადად თქვენი ან თქვენი ოჯახის სიტუაცია? რატომ?
- ახლა რა მდგომარეობაა, ვინ/რომელი ორგანიზაცია აგებს პასუხს მოვლა-პატრონობაზე, შენარჩუნებასა და განვითარებაზე?

4. თუ გსმენიათ, რომ თქვენს რეგიონში, მუნიციპალიტეტსა ან სოფელში ითხოვეს დახმარება, მაგრამ ვერ მიიღეს? პირადად თქვენს ოჯახს/თქვენ ხომ არ გქონიათ მსგავსი შემთხვევა?

[პკითხეთ, თუ დასახელდება მსგავსი შემთხვევა; ეცადეთ, მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები]

- ვის/რომელ ორგანიზაციას მიმართეს დასახმარებლად?
- რატომ არ დაეხმარნენ?
- ახლა რას აპირებენ?

[პკითხეთ, თუ დასახელდება]

5. თუ გსმენიათ თქვენს რეგიონში, მუნიციპალიტეტსა ან სოფელში რაიმე პროექტის განხორციელებაზე რომელიმე ამ პრობლემის მოსაგვარებლად? პირადად ხომ არ გიმუშავიათ რაიმე პროექტზე?

[პკითხეთ, თუ დასახელდება; ეცადეთ, მიიღოთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული ინფორმაცია]

- კონკრეტულად რა სამუშაოები შესრულდა?
- ვინ/რომელი ორგანიზაცია იყო ფინანსური დონორი?
- ვინ/რომელმა ორგანიზაციამ შეასრულა სამუშაოები? მონაწილეობდა თუ არა ადგილობრივი მოსახლეობა სამუშაოებში რაიმე სახით (დაქირავებული მუშახელი; მოხალისე და ა.შ.)?
- რამდენად კმაყოფილი ხართ შესრულებული სამუშაოებით?
- გაუმჯობესდა ამით რეგიონის/მუნიციპალიტეტის/ სოფლის/პირადად თქვენი ან თქვენი ოჯახის სიტუაცია? რატომ?

ნაწილი 4

ინფორმაცია/ცოდნა: წყაროები და დამოკიდებულება



(10-15 წთ)

1. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება კლიმატის ცვლილების შესახებ? რატომ?

2. ჩვეულებრივ, რა წყაროებით იღებთ ინფორმაციას კლიმატის ცვლილების შესახებ? კიდევ? კიდევ? თუ შეიძლება დააკონკრეტოთ წყარო; რა ინფორმაცია მიიღოთ? იყო თუ არა ინფორმაცია საკმარისი?

3. [შეახსენეთ, თუ არ დასახელებენ]

- ტელევიზიია, რადიო, ინტერნეტმედია, სოციალური მედია, ჟურნალები, გაზეთები, სამეცნიერო ლიტერატურა, ბრომურები/ლიტლეტები, პოსტერები; სმს შეტყობინებები;
- ბიზნესპარტნიორები (მათ შორის ფერმერები, ფერმერთა მომსახურების წარმომადგენლები და ა.შ.);
- ოჯახის წევრები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები; ექსტენციის/საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი; ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის ორგანოები; არასამთავრობო ორგანიზაცია; საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ტრენინგები.

4. რა სიხშირით იღებთ ინფორმაციას კლიმატის ცვლილების შესახებ? ბოლოს როდის მიიღეთ ინფორმაცია კლიმატის ცვლილების შესახებ?

5. რამდენად საკმარისია ინფორმაცია, რომელსაც კლიმატის ცვლილების შესახებ იღებთ?

6. თუ გჭირდებათ ან დაგჭირდებათ ინფორმაცია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, ვის მიმართავდით? რატომ? მიგიმართავთ თუ არა უკვე პირადად თქვენ/თქვენს ოჯახს/ახლომდებას?

- [თუ მიუმართავთ] რა ინფორმაცია გაინტერესებდათ? მიიღეთ თუ არა საჭირო ინფორმაცია?
- [თუ მიიღეს] რა სახის იყო ეს ინფორმაცია? იყო თუ არა საკმარისი? რატომ?
- [თუ არ მიიღეს] რატომ ვერ მიიღეთ საჭირო ინფორმაცია?

7. რა წყაროებით/კიდევ რა წყაროებით ისურვებდით ინფორმაციის მიღებას კლიმატის ცვლილების შესახებ? რატომ?

8. პირადად თქვენ, დასწრებისართ თუ არა ტრენინგებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით?

9. [თუ დასწრებია] ვის/რომელი ორგანიზაციის მიერ იყო ორგანიზებული ტრენინგები? კონკრეტულად რა საკითხებს ეხებოდა? რამდენად სასარგებლო იყო დასწრება? პირადად თქვენ რა სარგებელი მიიღეთ ამით? როგორ მოხვდით ტრენინგზე? რამდენად მოგეწონათ ტრენერი? რა მოგეწონათ? რა არ მოგეწონათ?

ნაწილი 5

ჩართულობა და საჭიროებები

[მიიღეთ რაც შეიძლება ზუსტი ინფორმაცია; ეცადეთ, გაიხსენოს რაც შეიძლება შეტი კონკრეტული დეტალი]

1. ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ კლიმატის ცვლილებასა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე. რა განცდა, ემოცია ან სურვილები გიჩნდებათ, როდესაც კლიმატის ცვლილებაზე ფიქრობთ: მოქმედების სურვილი; შვილი; სიფრთხილის განცდა თუ რაიმე სხვა?

2. როგორ ფიქრობთ, კლიმატის ცვლილება ადამიანისგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესია, რომელზეც ადამიანი მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს, თუ ადამიანი თავისი საქმიანობის/ბიზნესის და ყოველდღიური საჭიროებებიდან გამომდინარე ზეგავლენას ახდენს კლიმატის ცვლილებაზე”? [წაახალისეთ, რომ რაც შეიძლება მეტად ჩაებან დისკუსიაში, მოიყვანონ არგუმენტები და კონკრეტული მაგალითები]

3. როგორ ფიქრობთ, ვინ/რა სტრუქტურებმა უნდა იზრუნოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგარებაზე? სახელმწიფომ, ბიზნესმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საერთაშორისო სტრუქტურებმა, საზოგადოებამ თუ სხვა?

გასკვნა გზავნილები



[15 წთ]

1. მას შეძლებ, რაც დღეს მოისმინეთ, შეგეცვალათ თუ არა აზრი, დამოკიდებულება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით? რატომ? როგორ?
2. რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი მთაბეჭდილება დღეს განხილული საკითხებიდან?
3. არის რამე მნიშვნელოვანი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, რასაც დღეს არ შევხებივართ, ზოგადად არ ახსენებენ ან უბულებელყოფენ, მაგრამ მნიშვნელოვანია?
4. ბოლოს მინდა გთხოვთ, მოკლედ ჩამოაყალიბოთ ფურცელზე, რას ეტყოდით იმ ადამიანებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ აյ განხილული სირთულეების მოგვარებაში, ახლა რომ იძყოფებოდნენ ჩვენთან ერთად.

გმადლობთ პასუხებისთვის.

ეს პუბლიკაცია შექმილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია კავკასიის რეგიონული გარემოს-დაცვითი ცენტრი (REC Caucasus) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის შესედულებებს.



#EU4Climate